ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი    სამშაბათი 18 ნოემბერი 2003 №219 (1990)    ფასი 50 თეთრი




გადრი კეთილაძის ფოტო



## დინამო არის თავისთვის, თბილისი ქუთაისისთვის

გადრი კეთილაძის ფოტო

## კალაძე ნელა-ნელა მოდის



გადრი კეთილაძის ფოტო

იტალიური „მილანის“ ქართველი კახა კალაძე სამთვიანი იძულებითი დასვენების შემდეგ გუნდს დღეს დაუბრუნდება და ივარჯიშებს.

ჩვენიანი მცველი კლუბის ექიმებს გუშინ ერთხელაც გაესინჯა და სრული დატვირთვით წვრთნის ნება მიიღო. ერთი კვირაა, კახა „მილანის“ სხვა ტრავმირებულ ფეხბურთელებთან ერთად გუნდისგან ცალკე, ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა, დღეიდან კი საქმეს ძველებურად შეუდგება.

— მგონი, ყველაფერი კარგადაა, ფეხი აღარ მაწუხებს, ექიმებმაც მნახეს, გულდასმით გამსინჯეს და მოედანზე გასვლის ნება დამრთეს. თუმც, ვფიქრობ, აჩქარება არ მარგებს, გუნდს კი შევუერთდები, მაგრამ დატვირთვებს ნელ-ნელა გავზრდი, ასე მირჩიეს ჩემზე გამოცდილმა ფეხბურთელებმაც — გვითხრა კახა კალაძემ.

მომავალ ტურში „მილანი“ „კიევოს“ სტუმრობს და შესაძლოა, კახა მოედანზე ამ უქმეებზევე ვიხილოთ, თუ არა და, კახას სერია ა-ში დაბრუნება შემდეგ ტურამდე გადაიდება. გააჩნია, ჩვეულ ფორმას როდის აღიდგენს.

კობა ინასარიძე



REUTERS სიდნეიდან

## ახალი ზელანდია ისევ დაიკარგა

იქნებ ახალი ზელანდია უფრო დაამშვენებდა მსოფლიოს თასის ფინალს, მაგრამ ნახევარფინალში „შავებმა“ თავადვე გამოუტანეს თავს განაჩენი, ზედიზედ მეოთხე თასზე წააგეს პრინციპული მატჩი და მსოფლიოს ყველაზე სარაგბო ერის რჩეული შვილები კვლავ ხელცარიელი დაბრუნდებიან შინ. დაიკარგა წლები, შრომა და, რაც მათ ყველაზე მეტად დასწყვეტთ გულს, უნიჭიერესი თაობა.

მსოფლიოს ჩემპიონმა და თასის მასპინძელმა ავსტრალიამ შაბათს სიდნეის „ტელსტრაზე“ ჭკუით და მუყაითობით აჯობა მსოფლიოს ყველაზე ხელმარჯვე ნაკრებს. „ოზების“ გამოცდილმა თავკაცმა ედი ჯონსმა ეშმაკობით აჯობა „კივების“ ახალგაზრდა მწვრთნელ ჯონ მიტჩელს.

მფრინავი რაგბის მოყვარულებს კი არცთუ სანახაობრივი ფინალი ელით, რაკი მეორე ნახევარფინალშიც მუშა და პრაგმატულმა ინგლისმა ჯონი უილკინსონის 24 ქულით დასცა ლალი, მაგრამ იმ დღეს საკუთარი უილჯობის გამო ბინძურად მობურთალი ფრანგები და მეორედ გავიდა თასის ფინალში. ხოლო ისტორია გვახსენებს, რომ ინგლისს თავისი პირველი ფინალი 1991 წელს იმ ავსტრალიასთან წააგია, ამ შაბათს რომ შეასკდება.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

## თურქს რა უნდა და, ბნელი ღამე, რუსს რა უნდა და, ჩივილი

თურქმა ამინდი დაიწუნა... თურქმა მინდორი დაიწუნა... თურქმა მსაჯობა დაიწუნა.

ამინდს და მინდორს რაღა ეშველებოდა, ფრანგ მსაჯ ჟილ ვესიეს კი თურქის რისხვა დაატყდა თავს. ევრო 2004-ის შესარჩევი ეტაპის პლეი ოფში ლატვიასთან შერცხვენილი ჩვენი მეზობლები ვესიეს მატჩის დასრულებისთანავე საქმის გასარჩევად მიეჭრნენ, სად, ვინძლო ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს — სად და, რიგის სტადიონის გვირაბში. გვირაბში ჩხუბი რომ თურქებს კარგად ეხერხებათ, ინგლისთან 11 ოქტომბრის მატჩის გახსენებაც იკმარებს. ლატვიელმა პოლიციელებმა ოსმალოთ ფრანგის ცემა არ დაანებეს და ახლა ამ საქმეს უეფა გაარჩევს.

ევროპული ფეხბურთის მთავარ ოფისს საჩივრით მიადგნენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებიც, რომლებმაც უელსთან საშინაო ფრე იუკადრისეს და, აბა, ისე როგორ იქნებოდა, საკუთარი უნიათობა სხვისთვის არ გადაებრალებინათ. აქაოდა, რაიან გიგზმა ვადიმ ევსეევი ჩაგვიმუჯლუგუნა, გასაძევებელი იყო და იქნებ სამართალი დაგვიდგინოთო. უეფელები მატჩის ვიდეოფირს კი ჩაუსხდებიან, ოღონდ გიგზის დასჯა-არდასჯის საქმე, სავარაუდოდ, ხვალ გასამართ საპასუხო მატჩამდე ვერ უნდა მოესწროს. არადა, რუსთა მიზანი ხომ გიგზის მოცილებაა.



REUTERS მოსკოვიდან

რაიან გიგზი: მტრის ხატი რუსებისთვის

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 პირველი ჩემპიონატი ლიგა ეტაპი

# 18 ტური

# ღმერთმა მოგცეს გამარჯვება ტყებუჩავა არსენა

გოჩა ჟანაშია ფოთიდან

მოგების იმტაზე მოვიდა „კოლხეთი". „ვიტ ჯორჯიასთან" საკვირველი საგარეო მოგების შემდეგ კოლხებმა შინაც იმარჯვეს, თანაც ისეთ მეტოქესთან, ქულები რომ ჰაერივით სჭირდება.

ლუის ცაკარიასის გუნდმა საკმაოდ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. ასეთი თამაშით ზეექვსეულში მოხვედრა ნამეტანი ფუფუნება იქნება რკინიგზელთათვის. ფაქტობრივად, „კოლხეთმა" ისე მოიგო, დიდად არც გასჭირვებია.

ულიმღამოდ დაწყებულ შეხვედრაში სწრაფი გოლი მოულოდნელიც კი იყო, კოლხებმა პირველივე იერიში გოლად აქციეს. საჯარიმოს რკალთან ჩინებულად გაისარჯა ქობულაძე, ბურთი მოიხელთა თუ არა, ორი მცველი ფინტით ჩამოიცილა და აუღებელიც დაჰკრა.

შეიდ წუთში „ლოკომოტივი" შოკში აღმოჩნდა — ფოთელთა მეორე შეტევა და მეორე გოლი. აქაც ქობულაძემ დაიდო წილი. ღლანიძის ეფექტურად გატარებული ბურთი მან მარცხნივ გაქცეულ თაყაძეს გადაუგდო, ამანაც საჯარიმოში შორეულ ძელთან ჩაჰკიდა; იქ კი ტანმორჩილმა მარგალიტაძემ ზამთარაძეს წამით დაასწრო და ვარდნით თავით გაიტანა.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ ლუის ცაკარიასს სასწრაფო შეცვლა განახორციელებინა: ერთადერთ გამოკვეთილ ფორვარდს, განელ ნანას ხომერიკი შეუწყვილა. ამან რკინიგზელთა თამაშს სიმწვავე კი შემატა, მაგრამ მასპინძლებს მესამედაც შეეძლოთ გატანა.

32-ე წუთზე ღლანიძემ საჯარიმო ჩვეულად „ჩააწუჭუჭა". მიწაზე დაცემული უხერხული ბურთი ხაჩირაშვილმა ხელში ვერ შეიმაგრა და ხურცილავას სამიოდ მეტრიდან დამატებულზე გატანა მართებდა. თუმცა მან უხეიროდ მოიქნია ფეხი და სუსტი დარტყმული „ლოკოს" მეკარემ კუთხურზე გადააგდო.

ვერგატანილმა „კოლხეთი" მალე დასაჯა. დაახლოებით 27 მეტრიდან სიჭინავამ ცოცხალ კედელში გაატარა საჯარიმო ბურთი, რომელიც ერთ-ერთ კოლხს შეეხო, მიმართულება ოდნავ იცვალა და ბათიაშვილის კარშიც აღმოჩნდა.

რკინიგზელებმა შვება იგრძნეს, სიჩქარესაც უმატეს, მაგრამ შესვენებამდე სახეირო ვერაფერი შექმნეს. თამაში მათივე უპირატესობით განახლდა და ჯერ სოსელიამ დაარტყა ჯარიმა სახიფათოდ, მერე კი, ხუთიოდ წუთში, სირაძემ ხელსაყრელი პოზიცია ვერ გამოიყენა. ორივე შემთხვევაში ბათიაშვილმა ივარგა.



მიხეილ ქობულაძე

აშკარად ჩაავდო მატჩი ნანამ, რომელსაც კაპიკის სალირალი არ გაუკეთებია. თუმც არც სხვებს უკრეფიათ ვარსკვლავები და „კოლხეთიც" აუღელვებლად იცავდა თავს. დრო გადიოდა, სტუმართა უპირატესობას შედეგი ვერ მოჰქონდა, თუმც 78-ე წუთზე მასპინძლები აშკარა გოლს გადაურჩნენ. სოსელიას ჩაწოდებულს ხომერიკმა თავი დაუხვედრა და ბათიაშვილის კარი ხარიხამ იხსნა.

იქვე პენალტს ითხოვდნენ რკინიგზელები. მიქაძის წინააღმდეგ სვანაძემ რომ წესი დაარღვია, ეს ფაქტი იყო. ოღონდ ჩვენ ვერ დავიჩემებთ, ეს ეპიზოდი საჯარიმოს ხაზს გარეთ იყო თუ შიგნით. თუმც, ესეც რომ არა, მეშკოვს წესების დარღვევა სულაც არ შეუნიშნავს.

აქედან მოყოლებული, „ლოკომოტივმა" შტურმი მოაწყო, ბოლო წუთამდე გამუდმებული იერიშები დაატყდათ თავს მასპინძლებს, თუმცა ეს საკმაოდ ერთფეროვნად კეთდებოდა და კოლხებმა სასურველი შედეგი შეინარჩუნეს.

ნამატჩევს *ლუის ცაკარიასი* უკმაყოფილო იყო. ტყუილად არ ვაფრთხილებდი ჩემს შეგირდებს, რომ „კოლხეთი" სერიოზული ძალაა. სამაგიეროდ, კმაყოფილებას ვერ მალავდა *ჯუმბერ ტყებუჩავა*. მან თავისი გუნდი არსენას მიაძღვნა, მდიდარს ვართმევთ, ღარიბს ვაძლევთო.



ლუის ცაკარიასი ფოთიდან უქულო და უკმაყოფილო წამოვიდა

ფოთი. 17 ნოემბერი. 15 საათი. ფაზისი. 500 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 2:1 ლოკომოტივი

1:0 ქობულაძე (16), 2:0 მარგალიტაძე (23), 2:1 სიჭინავა (35)

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, თაყაძე, ქუტიძე, მინდაძე, მ. ქობულაძე, ჯ. შალამბერიძე (სვანაძე 70), ღლანიძე (დ. ნარსია 90), შ. ლონდაძე, მარგალიტაძე, ხურცილავა, კრასოვსკი (გ. ტყებუჩავა 79)
*სათადარიგონი:* ჩემია; ბალათურია
**მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა

**ლოკომოტივი:** ხაჩირაშვილი, ზამთარაძე (ხომერიკი 27), გაშაკიძე (ქოქიაშვილი 46), ლ. სალუქვაძე, ორბელაძე (მიქაძე 68), უგრეხელიძე, სიჭინავა, ქმოკლიძე, სოსელია, სირაძე, ნანა
*სათადარიგონი:* ბოდოკია; რ. ონიანი, გოგინაშვილი, კობახიძე
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**გაფრთხილება:** უგრეხელიძე (51), შალამბერიძე (54), სოსელია (65)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. ახკაროღლი (ქარელი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი; **დირექტორი:** დ. გოგია

ჯარიმა: 24-16; კუთხური: 3-6; კარისკენ დარტყმა: 1-4; კარში დარტყმა: 5-4; თამაშგარე: 2-2

ქუთაისი. 17 ნოემბერი. 15 საათი. ტორპედო. 1 000 (ტევადობა 19 600)

## ტორპედო 2:0 მერცხალი

1:0 პოროშინი (38), 2:0 ქუთათელაძე (40)

**ტორპედო:** სტურუა, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, გამეზარდაშვილი, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე (ნ. ნადირაძე 56), ნერგაძე, ზ. ქუთათელაძე, ახალკაცი (დარსაძე 84), პოროშინი (მუშკუდიანი 67)
*სათადარიგონი:* გ. სომხიშვილი; ლ. ძელიძე, გ. ჩხეტიანი, გოგოლაძე
**მწვრთნელი:** ჟოაო კამპუში

**მერცხალი:** გია გოგუა, კობაური, გ. ილურიძე, ქალიაშვილი, გ. წიფწივაძე, მეავანაძე, ბართია, ხუჭუა (სიამაშვილი 43), მებონია, კალანდაძე, გაბედავა
*სათადარიგონი:* როხაძე; ასკურავა, მაღლაფერიძე, დონაძე
**მწვრთნელი:** აკაკი ათუაშვილი

**გაფრთხილება:** ილურიძე (59), ბაბუნაშვილი (66)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ბ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია; **დირექტორი:** შ. ხინჩიკაშვილი

ჯარიმა: 15-16; კუთხური: 6-1; კარისკენ დარტყმა: 9-0; კარში დარტყმა: 3-2; თამაშგარე: 3-4

# ბაიანო, კუტე, კვეტე, ნუ აყვირებთ ჟოაოს! ბაბუს გაუმარჯოს შენნაირს

კახა შალამბერიძე ქუთაისიდან

ერთი თვეა, ქუთაისის „ტორპედოს" „რეჟისორი" ჟოაო კამპუშია და ბრაზილიელიც დღითიდღე უფრო მეტ ინტერესს იწვევს. ენერგიული, ემოციური და მოუსვენარი ჟოაო ლამის ფეხბურთელებზე დიდ ენერგიას ხარჯავს თამაშისას და რა გასაკვირია, გუშინაც თუ ასე იყო. კამპუში წამდაუწუმ ითხოვდა შეგირდებისგან მისი მითითებების შესრულებას და ამან მალე ისე შეახურა, სუსხიან ამინდში სპორტული ქურთუკიც გაიხადა. სხვა საქმეა, რა და როგორ გამოუვიდათ რიონისპირელებს, თუმც „ტორპედომ" მოიგო და ექვსეულში მოსახვედრი შანსი დაიტოვა. ახლა მთელი ქუთაისი კონკურენტ „თბილისთან" მოახლოებულ მატჩს ელის. ამბობენ, ჩვენი ბედი იქ გადაწყდება და ასეც არის, თუმც ჯობს, მკითხაობას შევეშვათ და „ტორპედო" — „მერცხალის" მატჩზე ვთქვათ.

მასპინძლები რომ ლიგის მაჩანჩალას დაამარცხებდნენ, ეჭვს არ იწვევდა. ქუთათურებმა თავიდანვე გაილაღეს და სტადიონიც გოლის მოლოდინში გაირინდა. ძალიან კი დააგვიანეს კამპუშის ბიჭებმა. თითქმის მთელი პირველი ტაიმი უშედეგოდ თელეს „მერცხალის" საჯარიმოს მისადგომები.

გუშინდელ მატჩს იუბილარი ჰყავდა — შოთა ბაბუნაშვილს 23 წელი შეუსრულდა. ჰოდა, სწორედ მისგან იწყებოდა „ტორპედოს" ყველა შეტევა. „ბაბუ", როგორც მას კამპუში ეძახის, მოედნის ბატონ-პატრონი იყო.

ტორპედოელთა უშედეგო შეტევებმა ბრაზილიელი მწვრთნელი გააცოფა. „ბაიანო", „კუტე", „კვეტე", „მიჰო"... მისი შეძახილები მთელ სტადიონს ესმოდა. კამპუშმა 38-ე წუთზე გაიხარა: ქუთათელაძის თავურს პოროშინმა ფეხი მიახმარა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა. ვინ იფიქრებდა, ბურთი კარში თუ აღმოჩნდებოდა — გია გოგუამ წაიკუდიჩინა და ეს მუხთალი მრგვალი საგანი საკუთარ კარში ჩაჭრა — 1:0.

ორ წუთში „ტორპედომ" ბოლო მოუღო „მერცხალს" და ეს გოლიც სრულიად ალოგიკური გამოდგა — სევასტი თოდუას ასევე სუსტად დარტყმულ ბურთს ქუთათელაძემ ქუსლი შეახო და... მეკარე უძლური აღმოჩნდა. ამ ორი მომენტის გარდა, ქუთათურებს მეტოქის კარში ბურთი არც დაურტყამთ. ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, მეორე ნახევარში ამდენჯერაც ვერ მოახერხეს ამის გაკეთება.

მეორე ტაიმი კი საინტერესო სხვამხრივ გამოდგა — 56-ე წუთზე მაყურებლებმა ტაშით ხელები დაისიეს: მოედანზე 16 წლის ნიკა ნადირაძე შევიდა. დღეს მთელი ქუთაისი ამ ჯერაც ბავშვზე ლაპარაკობს. თამაშში აქტიურად ჩართული ჩია და მსუბუქი ნადირაძის რამდენიმე უმწვავესი პასი მისმა თანაგუნდელებმა რიონს გაატანეს.

მესამე გოლის გატანა „ტორპედოს" მაინც შეეძლო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა მუშკუდიანმა გზაში იმდენი დრო დახარჯა, რომ...

ერთი სიტყვით, „ტორპედომ" მოიგო და ნამატჩევს „თბილისის" და „ლოკომოტივის" მარცხებითაც გაიხარა. ქუთაისს ექვსეული უნდა.

ბოლოს კი ეს ამბავი: გუშინდელი „ტორპედო" — „მერცხალის" განმსჯელი ალექსანდრე შილაკაძე ამ დილით შვეიცარიაში გაფრინდა — იგი უეფას მსაჯთა სამდღიან სემინარში მიიღებს მონაწილეობას.



ნიკა ნადირაძე

### ინგლისი
III დივიზიონი. XVIII ტური
ნორთჰემპტონი 2:1 სუონსი

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი
კრინსი 2:1 სიონი

### იტალია
სერია C/B. XII ტური
ვიტერბეზე 3:1 სორა

### ირლანდია
პრემიერლიგა. XXXV ტური
ბოჰემიანსი 1:1 ლონგფორდი
შელბურნი 2:0 დროჰედა

თბილისი. 16 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი. 200 (ტევადობა 25 600)

## სპარტაკი 1:4 ვიტ ჯორჯია

0:1 ლაბაძე (4), 0:2, 0:3, 0:4 გოცირიძე (28, 30, 69) 1:4 ჟვანია (90)

| | |
|---|---|
| **სპარტაკი:** მამალაძე, წურწუმია (ჯანგიძე 29), ჟვანია, დონდოლაძე, ჩიკვილაძე, ა. იმნაიშვილი (ფირცხალავა 69), ბოლქვაძე, გ. თოდუა, ალადაშვილი, ტატანაშვილი (თ. იმნაიშვილი), კოტრიკაძე | **ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ვ. გოჩაშვილი, ზვ. ლაბაძე, ინწკირველი, იმედაშვილი (მარცვალაძე 42; ე. მერებაშვილი 61), დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გველესიანი, დეკანოსიძე, ადამია, რ. გოცირიძე (ბერელიძე 80) |
| *სათადარიგონი:* შეყრილაძე; გ. დოლიძე, ებრალიძე, ფირცხალავა | *სათადარიგონი:* მამარდაშვილი; კვახაძე, დ. დოლიძე, დათუნაიშვილი, |
| **მწვრთნელი:** ვასილ ქეიშვილი | **მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე |

**გაფრთხილება:** ტატანაშვილი (38)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ი. კახიანი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** რ. ლორთქიფანიძე

ჯარიმა: 9-7; კუთხური: 3-4; კარისკენ დარტყმა: 7-2; კარში დარტყმა: 7-4; თამაშგარე: 1-1

# სისხლიანი მატჩი



დავით იმედაშვილმა ტკივილსაც გაუძლო

# ადამიური რეფლექსები

**დავით თავართქილაძე**

**„ვიტ ჯორჯიას“** წინა სამი თამაში ვერ მოეგო და „სპარტაკს“ პირველსავე წუთებზე ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპივით ეძგერა. ვერ გეტყვით, რამდენი თავი ჰქონდა ამ გველეშაპს, მაგრამ „სპარტაკი“ მათი მომჭრელი ნაღდად არ იყო.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი აუტსაიდერებში კია, მაგრამ უსიმპათიურო გუნდი ნამდვილად არ ეთქმის — „სპარტაკს“ ბრძოლა შეუძლია, მაგრამ ამ მატჩის პირველ ტაიმში მისავათებულ გლადიატორს ჰგავდა.

„სპარტაკის“ დაწიოკება გიორგი ადამიამ დაიწყო — ეს ფეხმალი გარემარბი მოსვენებას არ აძლევდა მასპინძელთა დაცვას. პირველი გოლიც მის ჩამოწოდებულ კუთხურს მოჰყვა — ზვიად ლაბაძე ჰაერში გაწვა და ეფექტური თავური გაიტანა.

ბურთის შეგდება ვლადიმერ გოჩაშვილმაც მოიწადინა — მან სოლორეიდი იკისრა, მაგრამ პირისპირ ზურაბ მამალაძეს ველარ აჯობა — ბოლო ხანს გოჩაშვილს ძალიან არ უმართლებს კარის დალაშქვრაში.

ადამია კი არა და არ დაოკდა — გიორგიმ კიდევ ორი საგოლე გადაცემა მოახერხა — რევაზ გოცირიძემ ჯერ თავით გაიტანა, მერე ფეხით. ვიტელთა ცენტრფორვარდს პირველ ტაიმში კიდევ ორი გოლი უნდა მიეთვალა, მაგრამ ერთხელ მამალაძემ იმარჯვა, მერე კი გოცირიძემ ფაქტობრივად ცარიელ კარს აალილა ახლოდან.

იყო უსიამოვნო ეპიზოდებიც — დავით იმედაშვილს ბურთისთვის ბრძოლაში ტატანაშვილმა სახეში ფეხი მიარტყა. სპარტაკელს ეს განზრახ არ უქნია, მაგრამ იმედაშვილს თქრიალით წასკდა სისხლი წარბიდან და შესაცვლელი შეიქნა.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯია“ დამშვიდებული ჩანდა, ხოლო „სპარტაკმა“ თამაში გამოასწორა და რამდენიმე მწვავე იერიშიც მიიტანა მირზა მერლანის სამფლობელოზე. დიმიტრი ტატანაშვილმა ახლოდან ისე ლაზათიანად დააძგერა ბურთს თავი, ყველას ნაღდი გოლი ეგონა, მაგრამ მერლანმა სასწაული რეაქცია გვიჩვენა — დარტყმა მოიგერია.

სპარტაკელთა გამოღვიძებამ „ვიტ ჯორჯია“ სამეორეტაიმოდაც გაახელა, ხოლო მამალაძემ მერლანზე არანაკლებ იჩაუქა — მასპინძელთა მეკარემ ლაშა ნოზაძეს აული და არც ადამიას დაანება დამატებაზე გატანა. თუმც „სპარტაკი“ მალე მეოთხედაც გატყდა, როცა ნოზაძემ კარის გასწვრივ ჩააწოდა და გოცირიძემ საჰეთრიკო დარტყმა შეასრულა.

„სპარტაკი“ მაინც ვერ ისვენებდა, უტევდა, რაღაცას ცდილობდა და გარჯა დაუფასდა კიდეც — პრესტიჟის გოლს გამორჩა — გიგა ჟვანიამ ნაკუთხურალი ბურთი ახლოდან თავურით შეაგდო შეხვედრის ბოლო წუთზე. უკანასკნელ წამებზე კი „სპარტაკი“ დიდი ანგარიშით წაგებას უნდა გადარჩენილიყო, მაგრამ კოტრიკაძემ შანსი გაფლანგა.



„სპარტაკის“ მეკარე ზურაბ მამალაძემ თავი არ დაზოგა, მაგრამ არც ვიტელებმა დაზოგეს





ორი დაუოკებელი: გიორგი ადამია და რევაზ გოცირიძე

იმედაშვილი იმედია

# ზურაბ ბერიძე

# მარსკვლავს დაგვპირდა

## პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს



*„ვიტ ჯორჯიამ“ ნავსი ბოლო ტურში გატეხა, თორემ მანამდე მიჯრით სამი თამაში ვერ მოეგო. ვიტჯორჯიელთა დამრიგებელ ზურაბ ბერიძესთან საუბარი სწორედ აქედან დავიწყეთ და მერე სხვა თემებსაც გადავწვდით*

**— ზედიზედ სამი ვერმოგებული მატჩის შემდეგ „სპარტაკს“ 4:1 მოუგეთ — პატარა ჩავარდნა უკვე დაძლეულია?**

— ამ სამ ვერმოგებულ თამაშს ჩავარდნას არ დავარქმევდი. „დინამოსთან“ ფრის შემდეგ „ტორპედოსთან“ წავაგეთ, თუმც ქუთაისში ბრწყინვალედ ვითამაშეთ — მარცხი შემთხვევითი იყო. მომდევნო მატჩში „კოლხეთთან“ დიდ უპირატესობას ვფლობდით, ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ გავიტანეთ და დავისაჯეთ. ამ ორ მარცხს მხოლოდ უიღბლობას არ ვაბრალებ, ალბათ ჩვენც რაღაც დავაკელით, მაგრამ ეს ჩავარდნა არ ყოფილა.

**— ბევრს მიაჩნია, რომ ეს იმით იყო განპირობებული, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მეგოლე ცენტრფორვარდის პოზიციაზე პრობლემები აქვს — იზიარებთ ასეთ შეხედულებას?**

— ჩვენი ცენტრფორვარდი რევაზ გოცირიძე 11 გოლით ბომბარდირთა დავაში მე-2-მე-3 ადგილებზეა, თუმც ბევრ საგოლე მომენტს ვერ იყენებს. ასე რომ, „ვიტ ჯორჯიას“ ცენტრფორვარდი არ ჰყავსო, ხმამაღალი ნათქვამია. გოცირიძე კარგა ხანს უთამაშებელი იყო, მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილას დადგება. ისიცაა, რომ ცენტრფორვარდს აუცილებლად ესაჭიროება ისეთი პარტნიორი, ვინც მომენტს შეუქმნის — გოცირიძეს ასეთად ახლა გიორგი ადამია გამოუჩნდა.

**— თქვენი გაწვრთნილი „ვიტ ჯორჯია“ ორი ცენტრფორვარდით არ თამაშობს — არ გიყვართ ასეთი სტილი?**

— პირიქით, ძალიან მიყვარს, მაგრამ ვლადიმერ გოჩაშვილი უკანა ხაზში დაგვჭირდა და იძულების გამო ხშირად ვათამაშებთ მარჯვენა ფლანგზე.

**— გიორგი ადამია ახსენეთ — როგორ დაახასიათებდით ამ ფეხბურთელს და რას იტყოდით მის შესაძლო ტრანსფერზე თბილისის „დინამოში“, რაზეც ახლა ბევრს ლაპარაკობენ?**

— ლაპარაკი კი არის, მაგრამ რეალურად საკითხი ასე ჯერ არ დამდგარა — ეს კლუბების გადასაწყვეტია. მე კი მსურს, რომ ადამია ჩვენთან დარჩეს. ტრავმის შემდეგ ეს-ესაა, ფორმაში შევიდა და თანდათან კიდევ მოუმატებს. ზეექვსეულის მატჩებში ადამია ძალიან დაგვჭირდება. ის ნამდვილი სპორტსმენია, აქვს სისწრაფე, სწრაფი აზროვნების უნარი და მოედნის ხედვა — ამით ყველაფერია ნათქვამი.

**— ამ სეზონში „ვიტ ჯორჯიაში“ ერთობ დაწინაურდა ოთარ მარცვალაძე, თუმც ბოლო დროს მან უკლო თამაშს. რისი ბრალია ეს?**

— მარცვალაძეზე იმდენი ვილაპარაკეთ, რომ მისი ქება ზედმეტი მოგვივიდა და თამაშს რომ უკლო, ამის ბრალია, თორემ მარცვალაძეს შრომისთვის არ მოუკლია. ოთარი „სპარტაკთან“ არ დავაყენე ძირითადში და სწორადაც მოვიქეცი. ვფიქრობ, ის ამისგან სწორ დასკვნებს გააკეთებს.

**— დავით დილმელაშვილი უკვე კარგა ხანია, „ვიტ ჯორჯიას“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია — როგორ ფიქრობთ, არ არის იმის დრო, რომ სხვა გუნდში გადავიდეს?**

— გამიხარდება, თუ დილმელაშვილი ევროპის რომელიმე გუნდში გადავა. ის ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და ამას იმსახურებს. მიკვირს, რომ ეროვნულ ნაკრებში დღემდე არ მიუწვევიათ. ასეთი სტილის ფეხბურთელი ყველა ნორმალურ გუნდს სჭირდება.

**— ვინ არის ყველაზე ძლიერი საყრდენი ნახევარმცველი საქართველოს ჩემპიონატში — დილმელაშვილი თუ ალეკო გოგობერიშვილი?**

— ამ შეკითხვაზე პასუხს გაცემისგან თავს შევიკავებ.

**— თქვენი გუნდის დაცვის ხაზშიცაა გამორჩეული ფეხბურთელი — თენგიზ კობიაშვილი.**

— ის მაღალი კლასის მცველია — დაცვაში ასეთი ლიდერი აუცილებელია. მაგრამ მას ტრავმები დასჩემდა და ახლა დაცვის ლიდერი ლექსო ინწკირველია.

**— დავით იმედაშვილზე რას იტყოდით?**

— სულ ცოტა ხანში ის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი იქნება — ასეთ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ — უნდა ველოდოთ, რომ ის დიდი ფეხბურთელი დადგება.

**— პირველი წრე სადაცაა დასრულდება — ამ ჩემპიონატში რომელი გუნდი და ფეხბურთელები მოგწონთ ვიტჯორჯიელების გარდა?**

— მომეწონა „თბილისი“ და „დინამო“, რომელიც კლასიან ფეხბურთს თამაშობს. ფეხბურთელებიდანაც დინამოელებს გამოვარჩევდი — რატი ალექსიძე, გიორგი შაშიაშვილი, ალეკო გოგობერიშვილი და ლადო ბურდული.

**დავით თავართქილაძე**

გორი. 16 ნოემბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 1 000 (ტევადობა 8 000)

## დილა 5:1 მცხეთა

1:0 ხანიშვილი(35), 2:0 ბ. ჩიტაია (46), 2:1 ჩაჩუა (55), 3:1 ოლგესაშვილი (70), 4:1 სულთანიშვილი (71), 5:1 ბ. ჩიტაია (73)

**დილა:** სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გ. ჩიტაია, ლომიძე, ზ. ლაცაბიძე (მასურაშვილი 76), მარლიშვილი, ოლგესაშვილი, ხანიშვილი (ქარქუზაშვილი 83), სულთანიშვილი (გ. კაიდარაშვილი 75), ბ. ჩიტაია
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; ელიკაშვილი, დ. ნადირაძე
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**მცხეთა:** ცინაძე, ჯაფარიძე, სიამაშვილი, ძაგნიძე, რაქვიაშვილი, ავალიანი, თირქია (სუბელიანი 56), ჩაჩუა (ხიდაშელი 83), ბ. ნოზაძე (ჩიტაური 65), ლ. ჩხაიძე, პარამონოვი
*სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; მუშუქია, გვენცაძე, გ. ქებაძე
**მწვრთნელი:** ვლადიმერ გუცაევი

**გაფრთხილება:** ბ. ჩიტაია (42), ჩაჩუა (58)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); მ. მალაღურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში; **დირექტორი:** ა. გრეკოვი

ჯარიმა: 15-10; კუთხური: 4-1; კარისკენ დარტყმა: 4-4; კარში დარტყმა: 8-4; თამაშგარე: 3-0

# საბაური წესია და აქაური

## თქვენ კი გეცინებათ, ცინაძეს ეცინება?!

**ვაჟა ხუციშვილი** გორიდან

**მატჩზე** თიხრობას შეხვედრის მიწურულს მომხდარი სახალისო ეპიზოდით დავიწყებ: მცხეთელმა მცველმა ცინაძეს ფეხით დაუბრუნა ბურთი, რომელსაც მეკარემ თავი შეაგება და... ზურგსუკან, საკუთარი კარისკენ გაგზავნა. ცინაძე მერე შებრუნდა, ბურთი კარის ხაზიდან მაკრატელათი მოედნის ცენტრისკენ მოისროლა, გოლის მომლოდინე გორელმა ქომაგებმა კი გულიანად იცინეს.

მასპინძელთა გულშემატკივრებს სამხიარულო მიზეზი ნამდვილად ჰქონდათ. ზემოთ აღწერილ მომენტამდე მცხეთელთა კარის დარაჯმა „დილას“ ორი გოლი (მეოთხე და მეხუთე), ხონჩით მიართვა, თუმცა ამ საქმეში სტუმართა მცველების ბრალეულობაც აშკარა იყო. რამდენჯერმე გაუმართლებლად დაუბრუნეს ბურთი მეკარეს, რომელმაც თავის მხრივ უწყინარ ვითარებაში შესცოდა და დაისაჯა.

მცხეთელთა მცველ-მეკარის შეცდომათა მთავარი მიზეზი გორელი სულთანიშვილი გახლდათ. „დილას“ მეცხრე ნომერმა ხუთიდან ოთხ გოლში „საბას წილი“ დაიდო.

ბოლნისური შეხლა-შემოხლა გორელებისთვის ერთგვარ გამაღიზიანებლად იქცა და სამმატჩამოუგებელმა „დილამ“ წყურვილი „მცხეთის“ ძლევით მოიკლა. მასპინძლებს ორი მთავარმეგოლე, ალექსანდრე კაიდარაშვილი და მერაბ ძოძუაშვილი არ ჰყავდათ, მაგრამ ჭაპანი ახალგაზრდებმა გასწიეს, რომლებსაც გამოცდილი როინ მარლიშვილი მეთაურობდა.

შეხვედრა, რასაკვირველია, ხორგუაშვილის შეგირდთა შეტევებით დაიწყო და დაახლოებით ოცი წუთის მანძილზე მათ მეტოქის საჯარიმო განდაგან დასერეს. „მცხეთა“ დამხვდურთა იერიშებს გაჭირვებით აუმკლავდა, მაგრამ მასპინძლებმა ტემპს რომ უმატეს, სტუმრების სიმწყობრე ნელნელა მოიშალა. ბექა ჩიტაია, რომელსაც მომენტების შექმნის და მათი გაცუდების განსაკუთრებული ნიჭი აქვს, ცინაძესთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა ბურთი ვერ დაიმორჩილა.

ამ ეპიზოდს საჯარიმოში სულთანიშვილის შეჭრა მოჰყვა. მან მეურვეს თავბრუ დაახვია, ხანიშვილს ბურთი თავზე დაასვა და გორელ ნახევარმცველს ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

მცხეთელთა საპირველტაიმო შეტევებზე სათქმელი არფერია, რადგან ოდენ პარამონოვის იმედზე მყოფ სტუმრებს „დილას“ დაცვა იოლად უმკლავდებოდა.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა პირველივე იერიში შედეგიანად დასრულდა. მარცხენა ფლანგიდან, კუთხურის ალმის სიახლოვიდან ოლგესაშვილმა ახლო ძელთან ჩაჰკიდა და ბექა ჩიტაიამ თავით ზუსტად დაჰკრა. ჩიტაიას გოლმა გორელები ორმაგად გაახარა, რადგან ბევრის გამცუდელებმა ნავსი გატეხა.

ორბურთიანმა სხვაობამ „დილაზე“ ძილის წამალივით იმოქმედა. ისინი ოდნავ მოეშვნენ და საპასუხო უმალ მიიღეს. საკუთარ საჯარიმოში მცხეთელ ჩხაიძეს თავისუფლება უბოძეს, რომელმაც მცველებისგან მიტოვებული ჩაჩუა მოძებნა და მანაც ახლოდან თავურით შეაგდო.

ერთ მატჩში თავით გატანილი ზედიზედ სამი გოლი ჩვენი ჩემპიონატისთვის იშვიათი ხილია და ეს შეხვედრა ამ მხრივაც გამორჩეული იყო.

ანგარიშში სხვაობის შემცირებამ მცხეთელები შეტევის იშტაზე მოიყვანა. მათ მეტოქის ნახევარზე ბურთის გორებას მოუხშირეს და ამასობაში ზურგი მოიშიშვლეს, რითაც „დილამ“ უმალ ისარგებლა.

საბა სულთანიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოს ხაზის წინ განივად გაირბინა, მარცხენა ფრთიდან დროულად ჩართულ ოლგესაშვილს ბურთი წაუმძღვარა, რომელმაც ცინაძისგან ახლო მაღალ კუთხეში ცაციით შეაჭიკარტა.

გორელთა მესამე გოლიდან წუთი იყო გასული, მცხეთელთა მეკარე პირველად რომ შეცდა. საჯარიმოს გარეთ გასულმა ცინაძემ მცველისგან უკან დაბრუნებული ბურთი იქვე მოხეტიალე სულთანიშვილისკენ მოიგერია და საბამ დაუცველ კარში იოლად გაიტანა.

სტუმართა კარის დარაჯმა იგივე მალე გაიმეორა — ამჯერად ბექა ჩიტაია დაასაჩუქრა და მან ცარიელ კარში მეხუთე შეაგდო.

გორელმა ქომაგებმა გაიხსენეს, რომ 2001 წლის 11 აპრილს, როცა ცინაძე სამტრედიის „იბერიას“ მეკარე იყო, სტუმრად „დილასთან“ შვიდი გოლი გაუშვა და გამეორებას ელოდნენ, მაგრამ ამაოდ.

აღსანიშნავია კიდევ ის, რომ 83-ე წუთზე „დილას“ სკოლის აღზრდილი, 15 წლის გივი ქარქუზაშვილი გამოჩნდა, რომელმაც მარჯვენაფლანგელობა გასწია.







გორული გოლები — პირველი, მეორე და მესამე: დავით ხანიშვილი ალავერდს ბექა ჩიტაიასთან და არჩილ ოლგესაშვილთან გადავიდა

ბათუმი. 16 ნოემბერი. 15 საათი. დინამო. 1 500 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 0:0 სიონი

**ბათუმი:** ქვაჩახია, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, ბესიკ თედორაძე, გალოგრე, დუმბაძე (ფურცხვანიძე 88), მახარაძე, მანჩხავა, ი. შენგელია (დარჩიძე 40), სირბილაძე (კობიძე 40), კაკალაძე
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; რომანაძე, ცანავა, ბეჟანიძე
**მწვრთნელები:** ვალერიან ჩხარტიშვილი და ასლან ბალაძე

**სიონი:** ვოლკოვი, ხუჯაძე, ბაქრაძე, ჭიჭვეიშვილი, ფანჩულიძე, გუჩუა (გ. შენგელია 82), გილაური, გაბიდაური, გაბისკირია, კოშკაძე, გონჩაროვი
*სათადარიგონი:* ავ. ლაბაძე; დარსანია, ისიანი
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **დირექტორი:** გ. ჯიშკარიანი

ჯარიმა: 25-22; კუთხური: 0-2; კარისკენ დარტყმა: 1-2; კარში დარტყმა: 3-5; თამაშგარე: 0-1

# აბორტი სახალხოდ

**გოჩა ჯანაშია** ბათუმიდან

**კვირას** აჭარის მთავარქალაქში ზეექვსეულის მოსურნე „ბათუმი“ უკვე იქ მოხვედრილი და ერთგვარად გულდაარხეინებული „სიონის“ წაქცევას ცდილობდა, მაგრამ მძიმე და დაძაბულ თამაშში ვერას გახდა. თვალსასეირო ნაღდად არ ეთქმოდა ამ დაპირისპირებას. ჭადრაკის პარტიასავით ფრთხილი ტაქტიკა ირჩიეს ორივე გუნდის მწვრთნელებმა და დაცვაზე აქცენტმა გოლი ვერა და ვერ შვა.

ოთარ გაბელიამ თავიდანვე იფრთხილა და ერთი ფორვარდით დაიწყო თამაში. ბათუმულ მწვრთნელთა ტანდემს ამგვარ სისტემაზე გადაწყობა პირველი ტაიმის ბოლოსკენ იძულებით მოუხდა. ირაკლი შენგელიას კუნთის დაჭიმვამ მასპინძლებს გეგმები აურია და შუა ხაზის ძალის შენარჩუნების აუცილებლობამ ისედაც ჩრდილში მყოფი სირბილაძე შეიწირა.

მანამდე კი მეტოქეებმა თითოთითო სახიფათო მომენტი გაცვალეს. მეათე წუთზე გატანის პირველი და ალბათ ყველაზე რეალური შანსი მასპინძლებს მიეცათ. ბესიკ თედორაძემ უნაკლო პასით „ბათუმის“ მთავარი მეგოლე კაკალაძე მეკარეს მარტო შეატოვა. კაკალაძემ ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ პირდაპირ ვოლკოვს გაარტყა.

სტუმრებმა გვიან, თუმც არანაკლებ მწვავედ უპასუხეს. ტაიმის გასრულებას ათიოდ წუთი უკლდა, მარჯვენა ფლანგიდან გილაურმა საჯარიმოში რომ ჩაჰკიდა ბურთი. სამეკარეოში მას გონჩაროვი გამოეხმაურა და შვიდიოდ მეტრიდან დაარტყა. ივარგა ქვაჩახიამ და შესაშური სიმარჯვით უკუაგდო ბურთი.

შესვენებამდე მეტი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ეპიზოდს, მეოცე წუთზე „სიონი“ პენალტს რომ ითხოვდა. კოშკაძემ ბეგლარ თედორაძესთან ჭიდილში ტანის ჩადგმა კი მოასწრო, მაგრამ მცველმა ვარდნით ააცალა ბურთი და კოშკაძის საყრდენი ფეხი თან გაიყოლა თუ არა, ვერ გეტყვით, კვარაცხელიამ კი ჟესტით ანიშნა ფეხბურთელებს, თამაში გააგრძელეთო.

მეორე ტაიმის დასაწყისში თამაშს გამოცოცხლება დაეტყო, თუმც მხოლოდ ხუთიოდ წუთით. დროის ამ მონაკვეთში სტუმარ-მასპინძელმა შორიდან დაარტყეს. მახარაძის გასროლილს ვოლკოვი მშვიდად დაუხვდა, გაბისკირიას მყისიერ პასუხზე არც ქვაჩახიამ შეირცხვინა თავი.

აქედან ორიოდ წუთში მანჩხავა ჭკვიანურად ცდილობდა ბურთის მცველებშუა გაძვრენას. აკი მოახერხა კიდეც, მაგრამ ვოლკოვს ვერაფერი დასტყუა.

ეს იყო და, „ბათუმმა“ ბურთი დაიჭირა, შეტევის ორგანიზებას მიეძალა, მაგრამ მშვიდად და ორგანიზებულად მოქმედ მეტოქეს ძვრაც ვერ უყო. სტუმართაგან მონდომება არ განელებია იური გაბისკირიას. ამ უბერებელ ფეხბურთელს სხვებზე მეტი ენერგია შემორჩენოდა და ხან გონჩაროვს ამაგრებდა პასებით, ხან კი შორიდან იჩხვლიტებოდა. ბოლო ოც წუთში მან ორჯერ დაუმიზნა მასპინძელთა კარს, თუმც ორჯერვე ააცილა.

ბოლო წუთებში მაყურებელი ამაოდ ელოდა „ბათუმის“ შტურმს, ასეთი არაფერი მომხდარა, თუმც ბოლო წამებზე მასპინძლებმა კინაღამ სამ ქულას გამოჰკრეს ხელი. საკმაოდ აქტიურმა კაკალაძემ კუთხურის ალამთან შორიახლოს თითქოს დაკარგული ბურთი შეინარჩუნა და კარის გასწვრივ ჩააწოდა კიდეც. ამას კარის ხაზიდან სამიოდ მეტრში მდგომი კობიძე ნაღდად არ ელოდა, თორემ მარტო მყოფი ბურთის გაჩერებას ან მყისიერად კარში დარტყმას მოახერხებდა.

*ოთარ გაბელია, „სიონის“ მწვრთნელი:* მძიმე გრუნტზე „დილასთან“ თამაშმა დიდი ძალები წაგვართვა. ტრავმებმაც თავისი ქნა. ბიჭების მადლობელი ვარ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში გაძლეს. კოშკაძეზე შეიძლებოდა პენალტის დანიშვნა, მაგრამ მსაჯმა არ ინება.

*ასლან ბალაძე „ბათუმის“ მწვრთნელი:* „სიონი“ კარგად დაბალანსებული გუნდია. გახსნილი თამაში რომ არ იქნებოდა, კარგად ვიცოდი. შენგელიას ტრავმამ გეგმები აგვირია და შეტევა დაგვისუსტა. მოთამაშეებმა მაქსიმუმი კი გაიღეს, თუმცა მოსაგებად ეს საკმარისი არ იყო. დასანანი ორი ქულა დავკარგეთ, ვნახოთ, შანსები ჯერ კიდევ გვაქვს.

თბილისი. 17 ნოემბერი. 15 საათი. ეროვნული. 1 000 (ტევადობა 70 900)

## დინამო 3:0 თბილისი

1:0 ბურდული (31), 2:0, 3:0 გოგობერიშვილი (44, 61)

**დინამო:** გვარამაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, წერეთელი, გოგობერიშვილი, დარასელია, ბურდული, იაშვილი (ანჩაბაძე 67), ალექსიძე
*სათადარიგონი:* ზოიძე; კანდელაკი, სახვაძე, ბობოხიძე, კაშია; მელქაძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**თბილისი:** ივარდავა (ნაჭყებია 46), ლოლაძე (გოგიტა გოგუა 67), კვარაცხელია, მიქიაშვილი, ელიავა, გ. ნუგ. ჭელიძე, მესხი, ხოჯავა, აფციაური, დ. ოდიკაძე, გ. ნოდ. ჭელიძე (დავითაშვილი 52)
*სათადარიგონი:* ყველაშვილი, გენაძე, მიკუჩაძე, სიდამონიძე
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**გაფრთხილება:** ხიზანეიშვილი (14), ლოლაძე (73)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე

ჯარიმა: 24-19; კუთხური: 4-8; კარისკენ დარტყმა: 7-6; კარში დარტყმა: 12-6; თამაშგარე: 2-2

# თბილისი ტორპედომდე დინამოს გამსინჯა

**კობა ინასარიძე**

**პარასკევს** „თბილისს" მნიშვნელოვანი და მეტად პრინციპული მატჩი ელის თანაბარქულიან „ტორპედოსთან", ზეექვსეულში მოსახვედრად გადამწყვეტი, შეიძლება ასეც ითქვას. ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ „თბილისმა" თანაქალაქელ ლიდერს უძლიერესი შემადგენლობა არ დაუპირისპირა, ძირითადის ოთხი ფეხბურთელი სათადარიგოდ შემოინახა და „ტორპედომდე" მათ ძალა დაამზოგინა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, ბოლო დროს მოღონიერებული „თბილისი" „დინამოსთან" თავს წინასწარ განწირულად თვლიდა. აკი თქვა კიდეც ნამატჩევს სტუმართა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა, გუნდში ბევრი ახალგაზრდა გვყავს და თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის უკეთესი შანსი სწორედ დღეს ჰქონდათ, მათი თამაშით კმაყოფილი დავრჩიო.

განსაკუთრებით კმაყოფილი თავისი გუნდით გიორგი დევდარიანი საწყისი ოცი წუთისას იქნებოდა. სტუმრებმა თამაში მაღალ ტემპში დაიწყეს, ზუსტად თამაშობდნენ მცველები, შეტევებს ამწვავებდნენ ნახევარმცველები, ბევრს მოძრაობდნენ ფორვარდები, თუმც სწორედ მათ გააცუდეს კიდეც სამი ნაღდი მომენტი. მათგან პირველი, მე-3 წუთზე შექმნილი რაღაც სასწაულით არ დაგვირგვინდა გოლით: აფციაურის ჩინებული პასით ოდიკაძე „დინამოს" საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა და ბურთი ცარიელი კარის გასწვრივ ნოდარის-ძე ჭელიძეს გაუგორა. სტუმარს ხელისშემშლელი არავინ ჰყავდა, გოლი ალბათ დარტყმამდე გატანილად ჩათვალა, წამოხტნენ „თბილისის" სათადარიგოთა სკამიდანაც, თუმც... ბურთს მიმართულება არ შესცვლია, ჭელიძემ ფეხის დახვედრება ვერ მოახერხა. 15 წუთში უკვე ლოლაძეს ჰქონდა ნაღდი გასატანი შანსი, მან მეორე ჭელიძეს კედელი გაუთამაშა, გვარამაძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ დარტყმა უხეირო გამოუვიდა, მეკარემ ბურთი ფეხით მოიგერია. ეს იყო და, „დინამომაც" გამოიღო ხელი: ივარდავა დარასელიამ შეაწუხა. რამდენიმე წუთში კი მასპინძლები დაწინაურდნენ. გოლი მოულოდნელი იყო: ბურდულმა საკმაოდ შორიდან, თანაც მოედნის კიდიდან საჯარიმო შეასრულა, თან ჩააწოდა, თან დაარტყა. საბოლოოდ ბურთი ივარდავას ზურგსუკან, ცხრიანში შეფრინდა — 1:0.

„დინამომ" საქმის ნახევარი ნახევარი ძალით გააკეთა. მერე ალექსიძესაც ჰქონდა მომენტი, მაკრატელათი ლამაზად და სახიფათოდ დაარტყა, ივარდავამ იყოჩაღა, თუმც ორიოდ წუთში... „დინამომ" თავისი უპირატესობა ცოტა არ იყოს, კურიოზული გოლით გაზარდა: გოგობერიშვილმა სადღაც კუთხურის ნიშნულიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთი კარის შორეულ კუთხესთან დაეშვა, ივარდავამ მოგერიება სცადა, მაგრამ, ეტყობა, ტრაექტორია ვერ მოზომა და „დინამო" მეორე გოლით „დაასაჩუქრა". თამაში უკვე გაკეთებული იყო. არც ამ გოლისთვის დახარჯა ლიდერმა მაინცდამაინც ბევრი ენერგია, თანაც ერთ წუთში ანიაშვილმა ტაიმიც დაამთავრა.

შესვენების შემდეგ ფსიქოლოგიურად გატეხილი ივარდავას ნაცვლად სტუმართა კარში ნაჭყებია გამოჩნდა. თამაშის განახლებიდან რამდენიმე წუთში კი დევდარიანმა გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა — დავითაშვილი ჩართო საქმეში. ბომბარდირმა ერთ-ორიც დაარტყა, თუმც გვარამაძეს მოგერიება არ გასჭირვებია.

„დინამოს" არც მეორე ნახევარში მოუკლავს თავი სირბილით, მით უმეტეს, მე-60 წუთზე მასპინძლებმა მესამეც გაიტანეს: ალექსიძე-კვირკველიას გათამაშებულ ბურთს გოგობერიშვილმა საჯარიმოს ხაზიდან დაჰკრა — ნაჭყებია უძლური იყო.

დინამოელებს ამის შემდეგაც ჰქონდათ რამდენიმე კარგი საგოლე შანსი, მაგრამ ველარ გაიტანეს.

*გიორგი დევდარიანი, „თბილისის" მწვრთნელი:* ბიჭები გამოუცდელობამ, კლასის ნაკლებობამ დაალალატა, მათ ასპროცენტიანი მომენტები გააცუდეს. წაგების მიუხედავად, გუნდის მადლობელი ვარ, ლაღი, შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ. ყველა საქმეში ცოტა უნდა გაგიმართლოს კიდეც. ჩვენ არ გაგვიმართლა. მეტოქემ კი, თავადაც ნახეთ, როგორი გოლები გაგვიტანა. დღეს ექსპერიმენტი ჩავატარე, არ ვნანობ, ბიჭების შესაძლებლობებში დავრწმუნდი.

*ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:* კარგია, რომ მოგებათა სერია განვაგრძეთ. „თბილისი" საკმაოდ ამბიციური, ტექნიკური გუნდია და დღესაც დამტკიცდა, რომ მისი აღმასვლა შემთხვევითი არ არის. თავიდან მოდუნებულნი ვიყავით, მეტოქემ ამით ისარგებლა და რამდენიმე მომენტი შექმნა, თუმც ნელ-ნელა დავლაგდით და ჩვენი ძალაც გამოვიყენეთ. შესვენების შემდეგ მცველები უფრო ყურადღებით თამაშობდნენ. იაშვილის კმაყოფილი ვარ, მან ბევრი იბრძოლა, მეტოქეს ამოსუნთქვას არ აცლიდა. ის ნიჭიერი ფეხბურთელია, თუმც დაუღვინებელი.



ბაჩანა კუთალიას ფოტო

„თბილისის" მეკარე მანუჩარ ივარდავა დინამოელებმა მაგრად დატვირთეს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 12 | 4 | 2 | 38:6 | 40 |
| სიონი | 18 | 10 | 7 | 1 | 26:11 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 29:11 | 32 |
| დილა | 18 | 9 | 3 | 6 | 27:18 | 30 |
| თბილისი | 18 | 7 | 4 | 7 | 29:23 | 25 |
| ლოკომოტივი | 18 | 7 | 4 | 7 | 26:21 | 25 |
| ტორპედო | 18 | 7 | 4 | 7 | 17:18 | 25 |
| ბათუმი | 17 | 7 | 2 | 8 | 21:19 | 23 |
| მცხეთა | 18 | 6 | 2 | 10 | 21:43 | 20 |
| კოლხეთი | 18 | 5 | 3 | 10 | 12:23 | 18 |
| სპარტაკი | 18 | 3 | 4 | 11 | 11:42 | 13 |
| მერცხალი | 18 | 2 | 4 | 12 | 16:36 | 10 |



ბაჩანა კუთალიას ფოტო

რატი ალექსიძემ ბურთით წაიცეკვა

# ამერ-იმერი „ამერთან"



ბაჩანა კუთალიას ფოტო

„ამერის" საფეხბურთო სკოლის მოედნებზე დაიწყო საერთაშორისო სახალისო ტურნირი 10-12 წლის ბავშვთა შორის. შაბათ-კვირას პირველი ჯგუფის მატჩები გაიმართა აღმოსავლეთ საქართველოს ექვსი გუნდის მონაწილეობით და პირველი ფინალისტიც გამოვლინდა. წაუგებლად მოთამაშე თბილისელებმა „მცირე ფინალში" თელაველ თანატოლებთან მატჩი ფრედ 6:6 დაამთავრეს, პენალტების სერიით კი 5:4 იმარჯვეს.

დღეიდან სახალისო ტურნირს დანარჩენი რვა გუნდი გააგრძელებს, ექვსი დასავლეთ საქართველოდან და თითოც სომხეთ-აზერბაიჯანიდან. მეორე ჯგუფის გამარჯვებული ფინალში თბილისელებს სპორტის სასახლეში გაეჯიბრება. იქამდე კი, დღეს, 10 საათიდან ბავშვები ისევ „ამერის" ხელოვნურსაფარიან მოედნებზე იხალისებენ.

**კობა ინასარიძე**


ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა

18 ნოემბერი

მეთოთხმეტე ტური

ამერი — გურია

თბილისი ლანჩხუთი

დასაწყისი 15 საათზე. დასწრება უფასოა

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## პლეი ოფი. 15-19 ნოემბერი. პირველი მატჩები

### შოტლანდია 1:0 ჰოლანდია

1:0 მაკფადენი (22)

დუგლასი, მაკნამარა, ნეისმიტი, პრესლი, უილკი, ბ. ფერგიუსონი, ფლეტჩერი, დეილი, დიკოვი (მილერი 66), მაკფადენი (ჰათჩისონი 89), ნ. მაკკანი (პირსონი 71)

ვან დერ სარი, ოიერი, სტამი, ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი (ზეედორფი 46), ვან დერ მეიდე, კოკუ, დავიდსი (ვან დერ ვაარტი 61), ოვერმარსი, ვან ნისტელროი, კლუივერტი (მაკაი 77)

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია). 51 000 მაყურებელი

# მაკფადენმა პორტუგალია გაშანსა


REUTERS

შოტლანდიელთა კაპიტანმა ბარი ფერგიუსონმა ედგარ დავიდსს ლამის ფეხი წააცალა

**შოტლანდიელთა** ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი, რომელიც ძალიან უმნიშვნელოდ ფასდებოდა, გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე" მოპოვებული გამარჯვებით ერთი-ორად გაიზარდა.

ორივე ნაკრების მწვრთნელმა ერთმანეთს სიურპრიზები შესთავაზა. ასე მაგალითად, ბერტი ფოგთსმა შეტევაში კენი მილერს პოლ დიკოვი ამჯობინა. დიკ ადვოკაატს კი, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის წინა დღეებში ჯიუტად ამტკიცებდა, რუუდ ვან ნისტელროის არ ვათამაშებო, მანჩესტერელი ფორვარდი პირველი წუთიდანვე მოედანზე ჰყავდა, თანაც ბარსელონელ პატრიკ კლუივერტთან ერთად. გავიხსენოთ, რომ ადვოკაატი იმასაც ამბობდა, ვან ნისტელროი და კლუივერტი ერთდროულად რომ ვათამაშო, ერთმანეთს მხოლოდ ხელს შეუშლიანო.

მატჩის დაწყებიდან ერთ წუთში ჰოლანდიელებმა პირველი სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან — კლუივერტმა არაზუსტად დაარტყა.

ამგვარმა დასაწყისმა „ჰემპდენ პარკზე" შეკრებილები გაახელა, მათ თავის მხრივ ფეხბურთელები გააბრაზეს და მალე საპასუხო სახიფათო იერიშიც გამოცხვა. იაპ სტამმა ბურთი უხეიროდ მოიგერია, რომელსაც ჯეისონ მაკფადენი დაეუფლა, ედვინ ვან დერ სარის მოტყუება კი ველარ შეძლო.

ამ მოულოდნელ შეტევას სტუმართა სწრაფი კონტრიერიში მოჰყვა, რომელიც ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა, ვან დერ მეიდეს დარტყმულისთვის გარი ნეისმიტს ფეხის დახვედრება რომ ვერ მოესწრო.

პირველი ტაიმის შუაწელისთვის მასპინძლები უკვე ფლობდნენ უპირატესობას და გოლიც გაიტანეს. მაკფადენმა კუთხური ჩააწოდა. ბურთმა კარგა ხანს იტრიალა ჰოლანდიელთა საჯარიმოში და მის სიახლოვესაც. მცველებმა სიტუაციის განმუხტვა ვერაფრით მოახერხეს და ბურთი ისევ მეკუთხურე მაკფადენს მიუვიდა. მან დარენ ფლეტჩერთან კედელი გაითამაშა და ძლიერადაც დაარტყა, სანამ კარში შეფრინდებოდა, ბურთი ფრანკ დე ბურსაც გაეხახუნა.

გოლს ჰოლანდიელთა მხრიდან ჯერ გაოგნება, მერე კი გახელება მოჰყვა. შეტევაში ჩართულ სტამს რობერტ დუგლასმა აუღო, ნეისმიტს გაქცეულმა ვან დერ მეიდემ ოდნავ არაზუსტად დაარტყა, ხოლო ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე დე ბურის დარტყმული ნეისმიტმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა.

პირველი ტაიმის დამთავრებამდე წამებით ადრე კრისტიან დეილიმ გაფრთხილებაც მიიღო, რის გამოც საპასუხო მატჩს გამოტოვებს.

შესვენების მერე მოედანზე გავიდა კლარენს ზეედორფი, რომელმაც ფილიპ კოკუ შეცვალა. მან თამაშში გაამწვავა და ერთი მომენტი თავადაც ჰქონდა. ვან დერ მეიდემ კი ხარიხასაც გაარტყა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, შოტლანდიელებმა თავი ბოლომდე დაიცვეს და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პორტუგალიაში გამგზავრების შანსიც გაიზარდეს.

**ირაკლი ნინიძე**

### ხორვატია 1:1 სლოვენია

1:0 პრსო (5), 1:1 შილიაკი (22)

პლეტიკოშა, შიმიჩი, ნერეტლიაკი, ტომაში, ტუდორი, ჟივკოვიჩი (სრნა 59), მორნარი, ლეკო (როსო 46), პრსო, ნ. კოვაჩი, ოლიჩი (რაპაიჩი 46)

დაბანოვიჩი, ციპოტი, კარიჩი, ვუგდალიჩი, კნავსი, შუკალო, ნ. ჩეჰი (ბულაიჩი 87), პავლინი, აჩიმოვიჩი (კაპიჩი 75), ზაჰოვიჩი, შილიაკი (ჩეშარი 90)

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია). 35 000 მაყურებელი

# თავი თავის წილ

**სლოვენიელებმა** ზაგრებში ფრეს გამოჰკრეს ხელი და ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების მეტი შანსი ახლა სწორედ მათ აქვთ.

სხვათა შორის, ბალკანელთა წინა დაპირისპირებათა ისტორია გვამცნობს, რომ ხორვატები სლოვენიელებს სჯობნიან. წინა ოთხი შეხვედრა ხორვატთა სასარგებლოდ დასრულდა.

მიუხედავად ამისა, ამ მატჩში მასპინძლებმა ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება, რომელიც მათ დადო პრსოს გოლით მოიპოვეს.

ანონსშიც ვწერდით, რომ სლოვენიელები ზაგრებში თავიანთი მხარმტკივანი პირველი მეკარის, მარკო სიმეუნოვიჩის და მუხლნატკენი ფორვარდის, სებასტიან ციმიროტიჩის გარეშე ჩავიდნენ. მასპინძელთაგან კი მატჩის დაწყებას სათადარიგოთა სკამზე შეხვდა მილან რაპაიჩი. დავძინოთ, რომ მასპინძელთა მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა შეტევაში ერთბაშად სამი თავდამსხმელი — დადო პრსო, ივიცა მორნარი, ივიცა ოლიჩი — გაამწესა.

ბარიჩის შემტევმა მოდელმა შედეგი, შეიძლება ითქვას, დაუყოვნებლივ გამოიღო. პრსომ, ვინაც შეგახსენებთ, ჩემპიონთა ლიგაში „დეპორტივოს" ოთხი გოლი გაუტანა, მეხუთე წუთზე გახსნა ანგარიში. ნიკო კოვაჩმა საჯარიმო ჩააწოდა და პრსომ ბურთს თავი დაჰკრა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ხორვატები ძალიან იოლად დაამარცხებდნენ მეზობლებს.

გაშვებულმა გოლმა სლოვენიელები აიძულა, უფრო აგრესიულად ეთამაშათ. ამირ კარიჩის უსწრაფესი კონტრშეტევა მასპინძლებმა რის ვაი-ვაგლახით მოიგერიეს, მაგრამ 22-ე წუთზე ერმინ შილიაკთან ველარაფერს გახდნენ. პირველი გოლის მსგავსად, მილენკო აჩიმოვიჩის ჩაწოდებულ საჯარიმოს შილიაკი თავით გამოეხმაურა.

შესვენებამდე დარჩენილ დროში მასპინძლები მცირე უპირატესობას ფლობდნენ და ისევ წინ გაჭრაც შეეძლოთ. იმავ მორნარის და პრსოს სახიფათო შეტევა სლოვენიელთა მეკარე მლადენ დაბანოვიჩმა აკრობატულ ნახტომში განმუხტა.

ოტო ბარიჩს მოვლენათა ამგვარი განვითარება, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა და შესვენებისას რაღაც-რაღაცეები შეცვალა. კერძოდ, იერკო ლეკომ ადგილი ჯოვანი როსოს დაუთმო, ხოლო დარიო სრნამ ბორის ჟივკოვიჩი შეცვალა. ამით ბარიჩმა კიდევ უფრო გააძლიერა ნახევარდაცვა, თავდასხმაში კი ოლიჩის ნაცვლად ნახევრადჯანმრთელი რაპაიჩი შევიდა.

ამგვარი ცვლილებების მიუხედავად, სლოვენიელები მასპინძელთა შტურმის მოსაგერიებლად მზად აღმოჩნდნენ. ცენტრალური მცველები, ფაბიან ციპოტი და ალექსანდრ კნავსი უშეცდომოდ თამაშობდნენ. ამის გამოც იყო, რომ მეორე ტაიმში ხორვატები რამდენიმე შორეულ დარტყმას დასჯერდნენ.

ბოლო წუთებზე კი გამარჯვების გოლის გატანა სტუმრებს შეეძლოთ. შილიაკმა ხარიხას რამდენიმე სანტიმეტრით გადააცილა.

**ირაკლი ნინიძე**


REUTERS

ივიცა მორნარს სლოვენიელთა დაცვის ბურჯმა, ალექსანდრ კნავსმა არაფერი დაუთმო

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**პლეი ოფი. 15-19 ნოემბერი. პირველი მატჩები**

## რუსეთი 0:0 უელსი

| რუსეთი | უელსი |
|---|---|
| ოვჩინიკოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, ონოპკო, სენიკოვი, სმერტინი (გუსევი 59), ალენიჩევი, ლოსკოვი, მოსტოვოი, ბულიკინი, სიჩოვი (იზმაილოვი 46) | ჯოუნსი, დილანი, ბარნარდი, მელვილი, გაბიდონი, ე. ჯონსონი, სევიჯი, კუმასი, ჰართსონი (ბლეიქი 83), სპიდი, გიგზი |

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია). 30 000 მაყურებელი

# არ აყვეთ პროვოკაციას!

## კოლოსკოვმა გიგზი უეფაში გაგზავნა



რუსები ამტკიცებენ, რაიან გიგზმა ვადიმ ევსეევს სამაგიერო იდაყვის ჩარტყმით გადაუხადაო

**სრულიად** რუსეთი ელოდა, რომ უელსი ირლანდიის, ალბანეთის, შვეიცარიისა და საქართველოს ბედს გაიზიარებდა. მარკ ჰიუზი ჩამოთვლილ ნაკრებთა მწვრთნელებზე ჭკვიანი აღმოჩნდა და მოსკოვიდან სასურველი ფრე წაიღო. სტუმრებმა მხოლოდ მატჩის დასაწყისში შეაწუხეს მეტოქე, დაახლოებით მეთხუთმეტე წუთიდან კი ჰართსონი ეულად წინ დატოვეს და მთელი გუნდით დაცვის ორგანიზებას შეუდგნენ. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ უელსელებმა დავალება ფრიადზე შეასრულეს, რაც ნამატჩევს გახარებულმა ჰიუზმაც აღნიშნა. გიორგი იარცევმა მოედნის ცენტრი ლოსკოვ-მოსტოვოის წყვილს ანდო, მაგრამ მათგან ხეირს ვერ ეწია. დუეტი ერთმანეთს ხელს უფრო უშლიდა, ვიდრე ავსებდა. შეტევაში სიჩოვი და ბულიკინი გაამწესეს. მარსელელმა აშკარად ჩააგდო თამაში და იარცევმა შესვენებაზე იზმაილოვით შეცვალა. აყლარწული ბულიკინის უპირატესობა ჰაერში უელსელმა მცველებმა გააბათილეს.

მასპინძელთა უკანახაზელები თავდამსხმელებს სათანადოდ ვერ ეხმარებოდნენ, ფლანგელებმა კი უმისამართო ჩაწოდებებით „ლოკომოტივზე" შეკრებილი 30 ათასი მაყურებელი მხოლოდ გააღიზიანეს.

ევსეევისა და სმერტინის უფორმობა სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობეს. ევსეევის მცირეწლოვანმა გოგონამ გულის ოპერაცია გადაიტანა, სმერტინის მეუღლე ლარისა კი გასულ კვირას დააყაჩაღეს.

ზოგადად რუსთა ერთფეროვანი ბურთაობა უელსელების მკაცრ დაცვასთან კიდევ უფრო გაუფერულდა. სტუმრებმა ისინი თავის ნახევარზე გადაიპატიჟეს, მაგრამ მასპინძლებს ფანტაზია აკლდათ, რაც მოჭარბებულად არასოდეს ჰქონიათ. ბურთთან თითო რუსს ორ-ორი მეტოქე ეგებებოდა, რაც პასებისას მრავალ შეცდომას იწვევდა, საბოლოოდ კი — ნერვიულობას. შორიდან დარტყმები პოლ ჯოუნსის კარისკენ არცთუ ბევრი იყო და მათ შორის სახიფათო მხოლოდ ორ-სამზე ითქმის. თამაშის შემდეგ ჯოუნსმა თქვა, მატჩის დაწყებიდან 20 წუთში ვირწმუნე, რომ რუსები გოლს ვერ გამიტანდნენო.

პირველი ტაიმის დასრულებისას სერგეი ოვჩინიკოვი აიჭრა. მსაჯმა რომ ჩასტვინა, ბარნარდმა მასპინძელთა კარში ბურთი ცენტრიდან დაარტყა, რომელიც ოვჩინიკოვმა მოიგერია და გაავებული დაემგერა ჯერ ბარნარდს, მერე კი პორტუგალიელ მსაჯს, პროვოკატორს რატომ არ აფრთხილებო. მასპინძელთა მეკარე მსაჯთან კამათში მანამდე ერთხელ უკვე იყო შემჩნეული და ლუსილიუ ბატისტამ იგი ყვითელი ბარათით დააცხრო. ამ მომენტისთვის იარცევი უკვე გასახდელისკენ მიდიოდა და იქ გაიგო, რომ ოვჩინიკოვი კარდიფში ველარ დაეხმარება.

ერთ „უბედურებას" შესვენების შემდეგ მეორე მოჰყვა. ევსეევი გიგზს ეუხეშა, მაგრამ ბატისტამ ვერ შეამჩნია, თუმც გვერდითმა მსაჯმა მომხდარის შესახებ მთავარს ყურში ჩასჩურჩულა. ამ ეპიზოდის გამო მოსტოვოი თვისტომს გამოესარჩლა, თავის მხრივ გიგზს — სევიჯი. პორტუგალიელმა მოსტოვოი და სევიჯი გააფრთხილა და „სელტას" ნახევარმცველი ნაკრების მეკარეს გვერდით მიუსვა.

მოგვიანებით მანჩესტერელმა ევსეევს მსაჯისგან მალულად იდაყვი ჩაჰკრა და სამაგიერო გადაუხადა. ამის გამო ვიაჩესლავ კოლოსკოვმა ნამატჩევს განაცხადა, უეფაში საჩივარს გავგზავნი და გიგზის დისკვალიფიკაციას მოვითხოვო, მაგრამ ამას ალბათ ვერ ელირსებიან, რადგან ხვალვე საპასუხო შეხვედრაა კარდიფში და უეფელებს ვიდეოფირის სატრიალებლად არ ეცლებათ. კოლოსკოვისვე თქმით, ეს ფაქტი მატჩის ინსპექტორმა ოქმში თუ შეიტანა, შანსი გვაქვს, მანჩესტერელის დისკვალიფიკაციას მივაღწიოთო.

**გიორგი იარცევი**: „თავის გასამართლებად არა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ თამაში არცთუ ხელსაყრელ დროს მოგვიწია. სეზონი დასრულებულია და ფეხბურთელების ფუნქციონალური მომზადება არასათანადოა, მიუხედავად ამისა, ბიჭებზე აუგს ვერ ვიტყვი. მოულოდნელი იყო, რომ უელსი, ფაქტობრივად, ფრისთვის ჩამოვიდა და ხეირიანად ერთხელაც არ შემოუტევიათ. ძალიან ცოტა საგოლე მომენტები გვქონდა და ასეთ მატჩებში ერთმა ზუსტმა დარტყმამ შესაძლოა, საბოლოო შედეგი გადაწყვიტოს".

**მარკ ჰიუზი**: „გუნდმა დავალება უმაღლეს დონეზე შეასრულა. მთავარია, რომ გოლი არ გავუშვით. ეს ფრე ნამდვილად დავიმსახურეთ. ფიზიკურად მეტოქემ ვერ გვაჯობა და შემოთავაზებულმა ტემპმა ჩემი მოთამაშეები არ დააბნია. შედეგი კარგია, მაგრამ ფავორიტებად ჩვენი შერაცხვა ჯერ ნაადრევია. რაც შეეხება ევსეევისგან გიგზზე უხეშობას, რუსი აშკარად დასჯას იმსახურებდა, მოგვიანებით კი მსაჯის პროვოცირება სურდა, თუმც არ გამოუვიდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ რუსთა ნაკრები გიგზის გაგდებას ნატრობდა".

მეორე ტაიმის მიწურულს განაწყენებულმა რუსფანებმა მოედანზე ათასგვარი ნივთი ისროლეს, მათ შორის პეტარდებიც, რომლის გამო პორტუგალიელმა მსაჯმა მატჩი რამდენჯერმე შეწყვიტა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ლატვია 1:0 თურქეთი

1:0 ვერპაკოვსკისი (29)

| ლატვია | თურქეთი |
|---|---|
| კოლინკო, სტეპანოვსი, ასტაფიევსი, ლობანიოვსი, ლაიზანსი, კორობლოვსი, ისაკოვსი, ბლეიდელისი, ვერპაკოვსკისი (კოლესნიჩენკო 89), რუბინსი (პუცინსკსი 83), რიმკუსი (შტოლცერსი 86) | რუშთუ, ფათიჰი, ბიულენთი, ემრე აშიქი, იბრაჰიმი, ოკანი (კარადენიზი 84), ემრე ბელოზოღლუ (ტუმერი 86), თუგაი, ერგუნი, ნიჰათი (დენიზი 77), ილჰან მანსიზი |

გაძევება: ემრე აშიქი (73)

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი). 10 000 მაყურებელი

# რა შუაშია ამინდი?!

## თურქებმა მარცხი გიუნეშს მოჰკითხეს

**ლატვიაში** ჩასულ თურქებს თოვლი და ყინვა დახვდათ. ასეთ ამინდში თამაშს მიუჩვეველმა სამხრეთელებმა ბურთი წესიერად ვერ გააგორეს. სანამ ოსმალები ბალტიისპირულ თოშს შეეგუებოდნენ, მასპინძლებმა რუშთუ რეჩბერი გვარიანად გაახურეს. „ბარსელონას" მეკარეს პირველ ტაიმში საქმე არ გამოლევია, მაშინ, როცა ალექსანდრ კოლინკოს შეწუხება სტუმრებმა მხოლოდ შესვენებამდე წუთით ადრე შეძლეს — თუგაი ქერიმოღლუს შორიდან დარტყმული დამხვდურმა მეკარემ მოიგერია.

თურქი მიმომხილველები მარცხს უამინდობას კი არა, შენოლ გიუნეშს აბრალებენ. თუგაი, ოკანი და ერგუნი თავიანთი კლუბების ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან და ნაკრებში რატომ ათამაშებსო.

შეტევაში ილჰან მანსიზისა და ნიჰათ კაჰვეჩის წყვილმაც ვერ გაამართლა. ორივე ახალმოშუშებულია და სათანადო ფორმამდე ბევრი უკლია.

მასპინძლებმა ნახეს, რომ მეტოქეს თოვლი ეუცხოვა და გულმოსულები უტევდნენ. ოსმალოთა დაცვა, კერძოდ კი ემრე აშიქი, ტაიმის შუაწელში გააბითურეს — მარის ვერპაკოვსკისმა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოსკენ მიიწია, მცველს გასცდა და რუშთუ უშანსოდ დატოვა.

გოლამდე ათიოდ წუთით ადრე შენოლ გიუნეშის „შეცდომამ" ლატვიელი გულშემატკივრები გაახალისა. თურქთაგან აუტზე გადასული ბურთი გიუნეშმა მასპინძლებს სწრაფად დაუბრუნა, რასაც შეტევა მოჰყვა და კინაღამ გოლით დასრულდა.

დაწინაურებულ ბალტიისპირელებს ანგარიშის გაზრდა მალევე შეეძლოთ. მეტოქე კონტრიერიშზე გამოიჭირეს და ანდრეის რუბინსს ბოლო წამს დარტყმისას სიზუსტემ უღალატა. ვერპაკოვსკისმა თავის მხრივ დუბლის შესრულების შანსი ვერ გამოიყენა. ლატვიელებს ფათიჰ აკიელის შეცდომითაც უნდა ესარგებლათ, რომელმაც რუშთუს ბურთი ბრიყვულად დაუბრუნა.

შესვენების შემდეგ ოსმალები შედარებით უკეთ ათამაშდნენ. მასპინძლებმა ისინი მოედნის საკუთარ ნახევარზე გადაიპატიჟეს და კოლინკოს კართან საფრთხემ იმატა. 54-ე წუთზე ემრე აშიქმა ოთხიოდ მეტრიდან თავით დაჰკრა და ბურთს ალექსანდრს ისაკოვსი გადაელობა. მოგვიანებით „სოსიედადის" თავდამსხმელმა ნიჰათმა სცადა ბედი, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა. ემრე ბელოზოღლუს შორიდან გასროლილს კი კოლინკო მისწვა და გუნდი იხსნა.

ამ ეპიზოდიდან ერთ წუთში ემრე აშიქმა რიმკუსს სახეში იდაყვი ჰკრა და ჟილ ვესიემ თურქი გააძევა.

კაცნაკლული სტუმრების შეტევები უმალ დაცხრა და ისინი დაცვის გაძლიერებას შეუდგნენ, რათა მეორეც არ გაეშვათ და საპასუხო მატჩის წინ საქმე არ გაერთულებინათ.



მარის ვერპაკოვსკისის ამ გარღვევას ლატვიელთა გამარჯვების გოლი მოჰყვა

ნამატჩევს მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ სტარკოვსი**, ცხადია, გახარებული იყო: „თურქთა თამაში კარგად შევისწავლეთ და ამიტომ მათ სიურპრიზები ვერ შემოგვთავაზეს. სტამბოლში ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენი ტაქტიკა რიგაში თუ მოვახვიეთ თავს, იგივეს განმეორება სტუმრად რატომ უნდა გაგვიჭირდეს?"

**ვიტალის ასტაფიევსი**: „მატჩამდე ვინმეს რომ ეთქვა, 1:0-ს მოიგებთო, ამ ანგარიშზე სიამოვნებით დავყაბულდებოდი, მაგრამ თამაშის შემდეგ ვფიქრობ, მეტს ვიმსახურებდით. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და ამის გამო გულდაწყვეტილი ვარ."

**მარის ვერპაკოვსკისი**: „საკუთარი თამაშით კმაყოფილი არ ვარ, რადგან გატანა კიდევ მმართებდა. გულშემატკივრებს ძალიან ვემადლიერები, მათ მხარდაჭერას ყოველწამს ვგრძნობდი."

**შენოლ გიუნეში**: „ამინდმა ჩვენს თამაშზე იმოქმედა. ბურთი მეტწილად მეტოქეს ჰქონდა, ჩემი ფეხბურთელები კი უნიათოდ მოძრაობდნენ. ლატვიელები შევისწავლე, მაგრამ მაინც გამაოცეს. მსაჯობა მაღალი დონის არ იყო, თუმც სტამბოლში საჭირო შედეგით მოვიგებთ და, დარწმუნებული ვარ, პორტუგალიის საგზურს დავეუფლებით."

**რომან თურქია**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## პლეი ოფი. 15-19 ნოემბერი. პირველი მატჩები



შტეფან ივერსენმა სიტყვა შეასრულა, ესპანეთს გაუტანა

### ესპანეთი 2:1 ნორვეგია

0:1 ივერსენი (14), 1:1 რაული (21), 2:1 ბერგი (85ს.კ.)

| ესპანეთი | ნორვეგია |
| --- | --- |
| კასილიასი, სალგადო, პუიოლი, ელგერა, მარჩენა, ეჩებერია (ხოაკინი 78), ალბელდა, ბარახა, რეიესი (ვისენტე 78), რაული, ფ. ტორესი (ვალერონი 68) | ე. იონსენი, ბასმა, ჰ. ბერგი, ლუნდეკვამი, სოლი, რიისე, ანდრესენი, რ. სტრანდი (ბრატბაკი 25), ტ. ანდერსენი, ივერსენი (ფ. იონსენი 78), ტ. ფლო |

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი). 53 000 მაყურებელი

# ესპანელთა ივერ-სენი

## ბარახას საქმე ბერგმა იკისრა

**53 ათასი** შეცბუნებული ინჩასი ტოვებდა „მესტალიას" ესპანეთ-ნორვეგიის საპლეიოფო ბრძოლის შემდეგ. მიუხედავად დიდი იმედისა, ინაკი საესის ნაკრებმა მომხვდურთა დამარცხება მხოლოდ ერთბურთიანი უპირატესობით შეძლო და 19 ნოემბერს ოსლოს ყინულიან სტადიონზე მარცხით გავეშებულ ვიკინგებთან მოუწევს დაპირისპირება. ნორვეგიელებმა კასტილიელთა უხვგოლიანი დაბომბვა თავიდან აიცილეს და ევრო 2004-ზე მოსახვედრად საკმაოდ მოზრდილი ნაბიჯი გადადგეს. 1:2 სტუმრად ნილს იოჰან სემბის შეგირდებს სავსებით უნდა აკმაყოფილებდეთ, რამეთუ მათი მეტოქის შესაძლებლობა „საშუალო ევროპულ დონეს" ბევრად სცილდება და ნებისმიერი გუნდისთვის ესპანელთა გატეხვა (თუნდაც ღირსეული წაგებით) ფრიად ძნელი საქმეა.

მატჩი მასპინძელთა თავდაჯერებული შეტევებით დაიწყო. „მესტალიურ პაემანამდე" უკვე რამდენიმე ხნით ადრე საესი თავის მოწაფეებს სკანდინავიელთა ვერაგი კონტრიერიშების შესახებ აფრთხილებდა, თუმცა შეხვედრის პირველი წუთებიდანვე გაირკვა, რომ რაულს, ბარახასა და კომპანიას დამრიგებლის დროული მითითებანი სათანადოდ არ გაეთვალისწინებინათ. შეტევებში გართული ესპანელები დაცვის ხაზს ჯეროვან ყურადღებას აღარ აქცევდნენ. უკვე მე-11 წუთზე ფერნანდო ტორესს კარგი საგოლე შანსი მიეცა, მაგრამ მეკარე იონსენთან პირისპირ გასულმა ზუსტად ვერ გაისროლა. მცირე ხნის შემდეგ რაულმა სახიფათოდ დაარტყა, თუმცა ბერგმა გაჭირვებით შეძლო საფრთხის თავიდან აცილება. თითქოს ყველაფერი მასპინძელ ფანთა ფიესტისკენ მიდიოდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა — როაპ სტრანდისა და შტეფან ივერსენის მოულოდნელი თავდასხმა მეთოთხმეტე წუთზე იკერ კასილიასის დამწუხრებით დამთავრდა — ივერსენმა „მესტალიაზე" გამეფებული სამარისებული სიჩუმის თანხლებით ანგარიში გახსნა — 0:1 (გავიხსენოთ, რომ ივერსენმა ესპანეთს 3 წლის წინ ევრო 2000-ის ჯგუფურ ტურნირზეც გაუტანა). პირინეელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწრაფად შეძლეს შოკიდან გამოსვლა — რაულმა რეიესის საჯარიმოს იღბლიანი თავური დაჰკრა — 1:1. მთელი დარჩენილი ტაიმი და თამაშის მეორე ნახევარი კასტილიელების კარნახით წარიმართა, მიუხედავად ამისა, ვალენსიურ მოედანზე შეკრებილმა ქომაგებმა ოდენ ერთხელ გაიხარეს — რუბენ ბარახას დარტყმის შემდეგ ადრე ნაქებმა ბერგმა ავტოგოლით იონსენი დაასაჩუქრა. ინგლისელი გრემ პოლის საფინალო სასტვენმაც სწორედ ეს ანგარიში დაფიქსირა — 2:1 ესპანელთა სასარგებლოდ, რაც იმას ნიშნავს, რომ მატჩის ბედი უცილობლად ოსლოს ოთხშაბათის შეხვედრაში გადაწყდება.

**ლადო ხომერიკი**



ფერნანდო ტორესს ნორვეგიელ მცველებთან გამკლავება უჭირდა

# ნორვეგიამ გაგვაკვირვა, ნორვეგიას გავაკვირვებთ

*ესპანეთ-ნორვეგიის საპლეიოფო შეხვედრა მართალია, მასპინძელთა გამარჯვებით (2:1) დასრულდა, მაგრამ პირინეებზე ნასტუმრებმა ვიკინგებმა შტეფან ივერსენის კენტი გოლით მთელს კასტილიურ ინჩადას მძიმე საფიქრალი გაუჩინეს. ხვალ ევრო 2004-ის საგზურის მოსაპოვებლად ოსლოს ყინულოვან სარბიელზე ნორვეგიელებს ინაკი საესის ბიჭების ძლევის კარგი შანსი ეძლევათ. მიუხედავად ამისა, ესპანელთა გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, სევილიელი ხოსე ანტონიო რეიესი თავისიანთა უცილობელ მოგებაში მტკიცედაა დარწმუნებული. რეიესს ვალენსიური მატჩის შემდეგ „ლიბრე-დირექტოს" ჟურნალისტები გაესაუბრნენ*

**— ნორვეგიელებთან შინ ოდენ 2:1 ესპანეთის ნაკრებისთვის ფრიად მოულოდნელი შედეგია...**

— გეთანხმებით, თუმც „მესტალიას" მატჩი საბოლოოდ მაინც ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა და ნორვეგიაშიც მხოლოდ მოსაგებად გავემგზავრებით. ჩვენ ვიცით, რომ მეტოქე არ არის ის გუნდი, რომელიც ესპანეთს თუნდაც შინ, ოსლოს სტადიონზე დააჩოქებს.

**— ბევრი საგოლე ეპიზოდი გქონდათ, რაც, სამწუხაროდ, ვერ გამოიყენეთ. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?**

— რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი გავაკეთეთ. სტუმრებს ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ ჩვენი უპირატესობა უფრო დიდ ანგარიშში არ გადაიზარდა. სამაგიეროდ, გასვლით შეხვედრაში ადრე დაშვებულ შეცდომებს გამოვასწორებთ და გულშემატკივარიც კიდევ ერთ მნიშვნელოვან, დამაჯერებელ გამარჯვებას იხილავს.

**— გაგაკვირვათ ნორვეგიელთა მიზანდასახულობამ და სიმტკიცემ?**

— მათი თამაშები კარგად გვქონდა შესწავლილი, თუმცა „მესტალიაზე" სულ სხვა ფეხბურთი შემოგვთავაზეს და ვფიქრობ, შინ კმაყოფილნი დაბრუნდნენ. მართალს ამბობთ, სემბის შეგირდებს ამდენი თუ შეეძლოთ, არ გვეგონა.

**— სტუმრებმა თავიანთი ამოცანა მეტ-ნაკლებად წარმატებით გადაჭრეს, მაგრამ დიდი იმედგაცრუება არც მასპინძელთა გუნდს ეტყობოდა...**

— რაც მთავარია, გავიმარჯვეთ. შეხვედრის დაწყებამდე ხომ ბევრი ინჩასი იმაზეც ეჭვობდა, მოვიგებდით თუ არა. ერთობლივი ბრძოლით მეორე, იღბლიანი გოლის გატანა მოვახერხეთ.

**— მოწინააღმდეგის საშინაო ფანდებზე, ანუ ტაქტიკურ გადანაცვლებებზე თუ ფიქრობთ?**

— რა თქმა უნდა, დაზუსტებით ვერ გეტყვით, ნორვეგია ოსლოში როგორ ითამაშებს, თუმცა მიახლოებით მათი „ამოცანა" უკვე ამოხსნილია — მაღალ ბურთებზე თავგანწირული ბრძოლა და მოულოდნელი, სახიფათო კონტრშეტევები. ის ერთადერთი გოლიც ხომ ასე გაგვიტანეს.

**— ესპანეთის ნაკრების შეტევით პოტენციალს როგორ შეაფასებდით?**

— 90 წუთის განმავლობაში ვუტევდით, მხოლოდ ორი ბურთი შევაგდეთ და საკუთარ კარში ერთი მივიღეთ. შედეგი ნამდვილად დამაფიქრებელია, მაგრამ უკვე გითხარით, ვალენსიური უზუსტობანი ნორვეგიაში აღარ განმეორდება და ორი რაუნდის ჯამში გამარჯვებული ჩვენ გამოვალთ. დამიჯერეთ, ასე იქნება.

**— ანუ ინაკი საესის გეგმებში „ჩრდილოური ფრეც" არ შედის?**

— არავითარ შემთხვევაში. ევრო 2004-ის ხელიდან გაშვება ესპანეთისთვის მძიმე დარტყმა იქნება, რასაც გულშემატკივარი ძნელად თუ გვაპატიებს. ფრეც მისაღებია, მაგრამ ესპანეთის ნაკრები სკანდინავიას ულიმლამო დაზავების გამო არ მიაკითხავს.



ხოსე ანტონიო რეიესს (№10) ესპანელთა ოსლოში გამარჯვებისა არც ეეჭვება

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. III ტური



REUTERS

ფრანსისკო მატურანა თანამდებობას ალბათ მალე შეელევა

# გადადგება, მაგრამ როდის?!

## მშიერი რივალდო ლიმაში დაპურდა

ზედიზედ მესამე მარცხის მერე აღარავინ კითხულობს, გადადგება თუ არა კოლუმბიელთა უიღბლო მწვრთნელი ფრანსისკო მატურანა. კითხვა ასე დგას: როდის გადადგება?

კი, შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე კიდევ 15 ტურია დარჩენილი და ყველაფერი დაკარგული არ არის, მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ სამხრეთ ამერიკაში ყველასგან დაბრიყვებული ვენესუელას ვერმომგები მატურანა დარჩენილ 15 მატჩში რამეს გააწყობს.

ხოლო კითხვა, თუ როდის უნდა გადადგეს მატურანა ერთადერთი მიზეზითაა განპირობებული — ხვალ კოლუმბია ჯგუფის ლიდერ არგენტინას ხვდება და იმაზე ბჭობენ, ხვალამდე ახალი მწვრთნელის დანიშვნა მოესწრება თუ არა.

ამ სიტუაციაში უცნაურად ჟღერს თავად მატურანას სიტყვები: „კოლუმბია მსოფლიოს ჩემპიონატზე გავა, ოღონდ ჩემთან ერთად თუ ჩემს გარეშე, ეს კი აღარ ვიცი."

სხვათა შორის, დღეს ყველასგან მოძულებული მატურანა სწორედ ის კაცია, ვინაც კოლუმბია 1990 და 1994 წლების მუნდიალებზე გაიყვანა.

### პერუ 1:1 ბრაზილია

**0:1 რივალდო (21 პ), 1:1 სოლანო (59)**
**პერუ:** იბანიესი, ხ. სოტო, მ. ებოსიო, ჯალიკიო, მ. იდალგო (გ. სალასი 52), სოლანო, ხაიო, სიურლიცა, პალახიოსი (ხ. გარსია 75), ა. მენდოსა, კ. პიზარო
**ბრაზილია:** დიდა, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, ჟილბერტო სილვა, ემერსონი (რენატო 62), ზე რობერტო, კაკა (ალექსი 75), რონალდო, რივალდო (ლუის ფაბიანო 82)
**მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)**
**80 000 მაყურებელი**

მეორე ტაიმში ნოლბერტო სოლანოს გოლმა პერუელებს ქულა გადაურჩინა, ხოლო ბრაზილია ცხრილში პირველი ადგილიდან ჩამოაქვეითა. სოლანომ სტუმართა დაცვა გაარღვია და ახლო კუთხეში დაარტყა. იქამდე ბრაზილია რივალდოს პენალტით იგებდა.

საინტერესო ფაქტია: ორივენი, ნოლბერტო სოლანოც და რივალდოც, თავიანთ კლუბებში — „ნიუკასლ იუნაიტედსა" და „მილანში", სათადარიგო ფეხბურთელები არიან. რივალდოსთვის კი ეს პირველი სანაკრებო გოლი იყო მას მერე, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლისს გაუტანა.

ბრაზილიას შეეძლო პირველ ტაიმშივე მოეთავებინა საქმე. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები ძალუმ უტევდნენ და როგორც ნამატჩევს მათმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ თქვა: „მეტოქეზე ბევრად მეტი მომენტი შევქმენით. პირველ ტაიმში სამიოთხი გოლის გატანა გვმართებდა, ჩვენი მთავარი პრობლემა კი ის იყო, რომ ნახევარდაცვაში ბურთს კარგად ვერ ვაკონტროლებდით."

შესვენების მერე პერუელებმა სწორედ ნახევარდაცვაში მოპოვებული უპირატესობის ხარჯზე მოახერხეს სტუმართა იერიშების განეიტრალება და თავადაც შეუტიეს. ბრაზილიელებს განსაკუთრებით კლაუდიო პიზარომ და ანდრეს მენდოსამ შეუქმნეს პრობლემები. „კი ამბობდა პერუელთა ბრაზილიელი მწვრთნელი პაულო აუტუორი, პიზარომ და მენდოსამ თუ კარგად ითამაშეს, ბრაზილია ვერ დაგვამარცხებსო.

არადა, ბრაზილიელებს ძალიან კარგი მომენტები ჰქონდათ. თამაშის დაწყებიდან ერთი წუთიც არ იყო გასული, რონალდო-კაკას გარღვევა კინაღამ გოლით რომ დასრულდა. მერე რივალდოს დარტყმული ხარიხასაც მოხვდა. ეს ყველაფერი გოლამდელი ამბებია, პენალტი კი ჯონ გალიკიოსგან რივალდოსვე წაქცევისთვის დაინიშნა.

ისე, მატჩი საკმაოდ უხეშიც გამოდგა, რაკი მსაჯმა ოთხ ბრაზილიელს აუფრიალა ყვითელი ბარათი. ერთ-ერთი დასჯილი ჟილბერტო სილვაც გახლდათ, რომელსაც აქამდე სანაკრებო გაფრთხილება არასდროს მიეღო.

რივალდომ კი ნამატჩევს თქვა: „ბედნიერი ვარ, რომ თამაშის შესაძლებლობა მომეცა. 12 ოქტომბრის მერე, როცა იამაიკას შევხვდით, მოედანზე არ გავსულვარ. ოთხშაბათის მატჩისთვისაც სრულ მზადყოფნაში ვარ. ზოგი ფიქრობს, რომ პერუს დამარცხებას რა უნდაო. ასე არ არის, ჩამოდით და სცადეთ ლიმაში თამაში. თუმცა მოგება მაინც შეგვეძლო. პირველ ტაიმში თუნდაც კიდევ ერთი გოლი რომ გაგვეტანა, მოგებას ხელიდან აღარ გავუშვებდით."

ანგარიშის გათანაბრების მერე პერუ დამშვიდდა, ბრაზილიამ კი მოსაგებად გაიბრძოლა, რივალდომ და რონალდომ კიდევ რამდენიმე მომენტი შექმნეს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

### კოლუმბია 0:1 ვენესუელა

**0:1 არანგო (8)**
**კოლუმბია:** მონდრაგონი, ვივეროსი, პერეა, იეპესი, ვალეხო, ბოლანო, აროლდ ლოზანო (არიაგა 54), გრისალესი, ჟ. ერნანდესი (პატინო 46), პაბლო ანხელი, ბეჩერა
**ვენესუელა:** ანგელუჩი, ვალენილია, ჩიკერო, რეი, ხ. ერნანდესი, მ. მეა ვიტალი (ვიელმა 7), ლ. ხიმენესი, ურდანეტა (ე. გონსალესი 57), პაესი, ნორიეგა, არანგო
**მსაჯი: კარლოს ჩანდია (ჩილე)**
**20 000 მაყურებელი**

ბრაზილიამ პერუში რომ ვერ მოიგო, ეს კიდევ არაფერი, დიდ მოულოდნელობად ნაღდად ვერ ჩავთვლით, მაგრამ კოლუმბია? გუნდი, რომელიც შინ ვენესუელას ვერ უგებს...

### არგენტინა 3:0 ბოლივია

**1:0 დალესანდრო (57), 2:0 კრესპო (62), 3:0 აიმარი (70)**
**არგენტინა:** კაბალიერო, კიროგა, რ. აიალა, სამუელი, ხ. ძანეტი, ალმეიდა (კამბიასო 90), კილი გონსალესი, დალესანდრო (სორინი 85), აიმარი, კრესპო (სავიოლა 80), ს. დელგადო
**ბოლივია:** ლ. ფერნანდესი, რალდესი, ო. სანჩესი, პასი, რიკალდი, რიბეირო, ხუსტინიანო, რეიესი, რ. სუარესი (ეჩევერი 70), ბოტერო (ხ. კასტილიო 46), მერკადო (ლ. მენდესი 46)
**მსაჯი: ჟილბერტო იდალგო (პერუ)**
**25 000 მაყურებელი**

უცნაური ამბავია: „რივერ პლეიტის" სტადიონზე" ბილეთის შოვნა ჩვეულებრივ გმირობის ტოლფასი საქმეა, ამ მატჩზე კი იხვეწებოდნენ, იყიდეთო. ეს ფაქტი გულშემატკივართა საპასუხო რეაქცია გახლდათ არგენტინის ნაკრების ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამარცხვინოდ გაძევების გამო და ის სირცხვილი არგენტინელებს არ დავიწყებიათ. სტადიონზე 4 ათასი ბოლივიელი გულშემატკივრის ხმა უფრო ისმოდა, ვიდრე არგენტინელებისა. კიდევ კარგი, რომ მასპინძლებმა იოლად დაამარცხეს მეტოქე, თორემ რისხვა მერე უნდა გენახათ. ამ მოგებით კი მარსელო ბიელსასადმი დამოკიდებულება ცოტათი შეიცვალა უკეთესობისკენ, მაგრამ საბოლოოდ პატიებამდე ჯერ კიდევ შორია.

ბუენოს აირესში ნაწვიმარი იყო და ძლიერი ქარიც ქროდა. ამ გარემოებამ თავისი დაღი დაასვა თამაშსაც და არგენტინელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს ბოლივიელთა გატეხვა. გარდა ამისა, ბოლივია მთელი გუნდით იცავდა თავს და გოლების გატანა ამანაც გაართულა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე არ გაგიკვირდებათ თუ ვიტყვით, რომ სანახაობრივად დიდი ვერაფერი თამაში იყო, თუმცა გოლები გვარიანად ლამაზი გამოდგა — ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე.

მთავარი დასკვნა კი, რომლის გამოტანაც ამ შეხვედრიდან შეიძლებოდა, ასეთი იყო — არგენტინა მომავლის გუნდია, რაკილა მას მართლაც უნიჭიერესი ფეხბურთელები ჰყავს. წარსულის დიდმა ფეხბურთელებმა, ოსკარ რუჯერიმ და რამონ დიასმა, როცა მატჩის კომენტირება სთხოვეს, სწორედ ამაზე მიუთითეს, ანდრეს დალესანდროთი, ფაკუნდო კიროგათი და სესარ დელგადოთი დიდი წარმატებებს მივაღწევთ, ისინი უეჭველად ასახელებენ არგენტინულ ფეხბურთსო.

მარსელო ბიელსამ კი აღნიშნა, მთავარი ის არის, რომ ძველი წარუმატებლობებიდან სწორი დასკვნები გამოვიტანეთო.



REUTERS

თამაშს და გოლს მოწყურებულმა რივალდომ პერუს გაუტანა

### პარაგვაი 2:1 ეკვადორი

**1:0 სანტა კრუზი (30), 1:1 მენდესი (59), 2:1 კარდოზო (71)**
**პარაგვაი:** ვილიარი, არსე, გამარა, ხ. კასერესი, კანისა, ბონეტი (გავილანი 73), ორტისი, პარედესი, ხ. კამპოსი (კუევასი 62), სანტა კრუზი, ხ. კარდოზო (ალვარენგა 88)
**ეკვადორი:** სებალიოსი, დე ლა კრუზი, ი. ურტადო, ესპინოზა, კოროზო, ე. ტენორიო (ა. ფერნანდესი 83), ლ. გომესი, ამბროზი (ფ. სალასი 73), ე. მენდესი, კალა, ორდონესი
**მსაჯი: ხუან კარლოს პანიაგუა (ბოლივია)**
**20 000 მაყურებელი**

პარაგვაელებთან მარცხმა ეკვადორელთა მწვრთნელ ერნან დარიო გომესს ხასიათი ვერ გაუფუჭა და ისევ ამტკიცებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე უეჭველად მოვხვდებითო. დავძინოთ, რომ ეკვადორელებს გომესისა უსიტყვოდ სჯერათ, რაკი გომესი ის კაცია, ვინაც ამ ქვეყნის ნაკრები ერთი წლის წინ პირველად გაიყვანა მუნდიალზე.

„მერე რა, რომ დღეს ვერ მოვიგეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული. გამარჯვებები კი აუცილებლად მოვა — დასძინა გომესმა — პარაგვაელთა მათსავე მოედანზე დამარცხებას თითქმის ვერავინ ახერხებს, ამიტომ ეს წაგება ტრაგედიად არ უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ უამრავი ფეხბურთელი გვაკლდა."

პარაგვაის, შეიძლება ითქვას, ბაიერნელმა როკე სანტა კრუზმა მოაგებინა. მან ანგარიში გახსნა, ხოსე კარდოზოს კი გამარჯვების გოლის გატანაში ასისტენტობა გაუწია. ხოსე კარდოზომ ამ გოლით ბომბარდირობაც გაიყო ურუგვაელ ხავიერ ჩევანტონთან ერთად.

### ურუგვაი 2:1 ჩილე

**0:1 მელენდესი (21), 1:1 ჩევანტონი (31), 2:1 რომერო (49)**
**ურუგვაი:** მუნუა, კ. გონსალესი, დ. ლოპესი, ლაგო, პ. მუნიოსი (მ. რომერო 46), სოსა, რ. ნუნიესი, ლიგერა (რეკობა 70), ჩევანტონი, ბუენო, ფორლანი (ორნოსი 46)
**ჩილე:** ტაპია, როხასი, რამირესი, ოლარა, რ. პერესი, რ. მუნიოსი, მელენდესი, მ. გონსალესი (მიროშევიჩი 54), მარტელი (ორმასაბალი 54), ნავია (ნორამბუენა 75), პინილია
**მსაჯი: კლაუდიო მარტინი (არგენტინა)**
**60 000 მაყურებელი**

ხავიერ ჩევანტონმა 30 მეტრიდან ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა, რითაც ჩილელი როდრიგო მენდესის ათი წუთით ადრე გატანილი გოლი გაქვითა. შესვენების მერე მარსელო რომერომ სწრაფადვე მეორე გოლიც გაიტანა, რითაც ურუგვაი ცხრილში მესამე ადგილზე გადაბარგდა. თუმცა ისიცაა, რომ ხვალ ურუგვაელები ბრაზილიას ხვდებიან და ცხრილშიც ბევრი რამ კიდევ შეიცვლება.

### ძოტე ძეძელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ურუგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| პარაგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| პერუ | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ჩილე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ეკვადორი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ბოლივია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | 3 |
| ვენესუელა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| კოლუმბია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

# ამხანაგური მატჩები

## სანტინის ბენეფისზე ზიზუმ იცეკვა
## ტოტიმ ტრაპატონის კასანო შეაპარა

### გერმანია 0:3 საფრანგეთი

0:1 ანრი (21), 0:2, 0:3 ტრეზეგე (55, 82)

**გერმანია:** კანი, ფრიდრიხი, ნოვოტნი (რემერი 76), ვიორნსი, იერემისი, ფ. ბაუმანი (ფ. ერნსტი 71), ჰინკელი, ბ. შნაიდერი (ფრაიერი 67), ბალაკი, ბობიჩი (კლოზე 67), კურანი

**საფრანგეთი:** კუპე, სანიოლი (გალასი 60), ტურამი, მ. სილვესტრი, ლიზარაზუ, დაკური, მაკელელე, პირესი (ვილტორდი 72), ზიდანი, ანრი, ტრეზეგე (გოვუ 83)

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

53 374 მაყურებელი

საფრანგეთის ნაკრებმა საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა — ზედიხედ მეცამეტე მატჩი მოიგო. საერთოდ კი, ჟაკ სანტინის ხელში „სამფეროვნებმა“ 18 შეხვედრიდან 16-ში იმარჯვეს. ძველი რეკორდი მიშელ პლატინისეულ ნაკრებს ეკუთვნოდა. მისი თავკაცობით ფრანგებს მიყოლებით 12 თამაში მოუგიათ. გერმანელებმა მეზობლებთან ბოლოს 1987 წლის აგვისტოში გაიხარეს. მაშინ „სამფეროვნებს“ 2:1 სძლიეს და იმ მატჩში დუბლი რუდი ფიოლერმა შეასრულა.

ფიოლერისეული ამჟამინდელი ნაკრები ისე განსხვავდება ჟაკ სანტინისეული გუნდისგან, როგორც ზინედინ ზიდანი მიხაელ ბალაკისგან. მათ შორის კი სხვაობა ფრანც ბეკენბაუერის თქმით ასეთია: „მისი დონე დღეს მიუღწეველია. ზიდანი ჩვენი დროის გენიაა. ივი კი არ თამაშობს, ცეკვავს“.

სწორედ ასე, ცეკვა-ცეკვით, გელზენკირხენში სტუმრებმა მასპინძლებს მოუგეს. პირველი სახიფათო გასროლა კევინ კურანიმ მოითვალა, ბურთი ძელს გაარტყა, მაგრამ სულ ეს იყო, რაც ბუნდესნაკრებმა შეძლო. ამის შემდეგ ზინედინ ზიდანის, ტიერი ანრის და დავიდ ტრეზეგეს ჯერი დადგა. „ზიზუმ“ მოედანი მოითვისა და ძალდაუტანებლად უსწორდებოდა მეტოქეებს. პასებს უხვად არიგა და „აუფ შალკეს“ სტადიონზე შეკრებილ 60 ათასამდე ქომაგს ასიამოვნა.

პირველი გოლი ტიერი ანრიმ გაიტანა. მისმა „მეთოფე“ თანაგუნდელმა რობერ პირესმა ორი მცველი მოიტყუა და ბურთი მარცხენა ფრთაზე ჩარბენილ ლიზარაზუს წაუმღერა. საჯარიმოს გვერდით ხაზთან მისულმა „ბაიერნის“ ფეხბურთელმა შორეული ძელთან ჩასაგებად ანრის ჩააწოდა, რომელმაც იენს ნოვოტნის აჯობა და ოლივერ კანს თავით გაუტანა.

პირველ ტაიმში თუ ზიდანი ბატონობდა, შესვენების შემდეგ ანრიმ გაიალა და მეურვეები ჩვეული სისწრაფით დაჩაგრა. განსაკუთრებით ანრი ფრიდრიხი დაიტანჯა ფრანგის ლეგნაში. „მეთოფემ“ საკუთარი ნახევრიდან ბურთი მოედნის ცენტრთან მიიღო, სიჩქარე ჩართო, საჯარიმოში შეენთო და დავიდ ტრეზეგე საგოლე პასით დაასაჩუქრა.

მალე სტუმარ ფორვარდთა წყვილი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ იენს ნოვოტნიმ ანრის პასის ჩაჭრა ამჯერად მოახერხა. ანრიმ თუ ვერა, „ზიზუმ“ მატჩის ბოლოს ტრეზეგეს მონახვა და ზუსტი პასის შესრულება შეძლო და „იუვეს“ მეგოლემ დუბლი მიითვალა.

ბუნდესქომაგები საკუთარ ნაკრებს უსტვენდნენ, რუდი ფიოლერმა კი ნამატჩევს თქვა: „ვაღიარებ, რომ მეტოქემ აშკარად გვაჯობა. 0:2-ის შემდეგ, ფაქტობრივად, შანსი აღარ გვქონდა. ჩემმა ფეხბურთელებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს და ამ ჭრილობის მოშუშება ძალიან ძნელი იქნება“.

### ინგლისი 2:3 დანია

1:0 რუნი (5), 1:1 იორგენსენი (8), 2:1 ჯ. კოული (9), 2:2 იორგენსენი (30პ), 2:3 ტომასონი (82)

**ინგლისი:** ჯეიმსი (პ. რობინსონი 46), გ. ნევილი (გ. ჯონსონი 15), ტერი, აპსონი, ე. კოული (ბრიჯი 46), ბექემი (ჯენასი 66), ბათი (ფ. ნევილი 46), ლამპარდი, ჯ. კოული (დ. მერფი 76), რუნი (პარკერი 66), ჰესკი (ბიტი 46)

**დანია:** სორენსენი, ჰენრიკსენი, ჰელვეგი (პრისკე 46), პ. ნილსენი (ლარდსნი 70), ნ. იენსენი, გრონკიაერი (ლოვენკრანდსი 62), ვიგჰორსტი (დ. იენსენი 29), იორგენსენი (პ. მადსენი 84), გრავესენი, რომედალი (კ. პერესი 70), სანდი (ტომასონი 46)

მსაჯი: ვლადიმირ ჰრინაკი (სლოვაკეთი)

64 159 მაყურებელი

სვენ გორან ერიკსონის ინგლისმა მეოთხე ამხანაგური მატჩი წააგო. შვედის გაწვრთნილი ნაკრები მანამდე ჰოლანდიასთან, იტალიასთან და ავსტრალიასთან დამარცხებულა. სხვა მხრივ, ინგლისელებს მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ბრაზილიასთან მარცხის შემდეგ თამაში არ დაუთმიათ და გასულ უქმეებზე ისინი „ვიკინგებმა“ დაჯაბნეს. ეს დანიელთა რევანში იყო 2002 წლის მუნდიალის მერვედფინალის სანაცვლოდ. მაშინ მორტენ ოლსენის გუნდმა 0:3 წააგო.

მასპინძლები მეტოქეს „ოლდ ტრეფორდზე“ დაუხვდნენ. ინგლისელებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ: მაიკლ ოუენი, სტივენ ჯერარდი, რიო ფერდინანდი, პოლ სქოულზი და სოლ კემპბელი.

შეხვედრა ისევე გულუხვად დაიწყო, როგორც მსოფლიოს წინა ჩემპიონატის მერვედფინალში. უეინ რუნი მცველებისგან უშნოდ მოგერიებულ ბურთს მისწვდა და ტომას სორენსენის კარის ცხრიანში შეჭედა. დანიელებმა უმალ გაათანაბრეს. ნევილის და მარტინ იორგენსენის ორთაბრძოლაში გამარჯვებული სტუმარი დარჩა და დევიდ ჯეიმსს აუღებელი დაურტყა.

მასპინძლებმა ცენტრიდან დაიწყეს და პირველივე შეტევით იხეირეს. უეინ რუნიმ საგოლე პასით ჯო კოული დაასაჩუქრა და ჩელსელმა ინგლისელები კვლავ დააწინაურა.

მეცამეტე წუთზე დენის რომედალი ჯეიმსთან პირისპირ გადიოდა, მეკარემ მეტოქე საჯარიმოს ხაზზე დასცა და მოგვიანებით ტრავმირებული რომედალი შეცვალეს. ჯეიმსი უკნასკნელი იმედის ჯარიმისთვის წითელ ბარათს იმსახურებდა, მაგრამა სლოვაკმა მსაჯმა ვლადიმირ ჰრინაკმა მხოლოდ ყვითელი აკმარა.

„ვიკინგებმა“ პირველ ტაიმში პენალტი მაინც მოინადირეს. მეტიუ აპსონმა იორგენსენი წააქცია და დაზარალებულმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა თავად შეასრულა.

შესვენებისას ერიკსონმა ოთხი, მეორე ტაიმის მსვლელობისას კი კიდევ სამი მოთამაშე შეცვალა, მაგრამ ახალშესულები გუნდში კარგად ვერ ჩაეწერენ.

თავის მხრივ, მორტენ ოლსენის მიერ შერჩეული ფეხბურთელები, რომლებიც მოედანზე შესვენების შემდეგ შევიდნენ, შესანიშნავად შეეწყვნენ თანაგუნდელებს და მასპინძელთა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შექნეს. დევიდ ჯეიმსის შემცვლელი პოლ რობინსონი „ვიკინგებმა“ არ მოასვენეს. მეკარემ რამდენჯერმე იხსნა ნაკრები, მაგრამ ბოლოს დანიელთა იერიშებმა ისიც გატეხეს. მისგან ზედიზედ ორჯერ მოგერიებულ ბურთს იონ დალ ტომასონმა მესამედ ზუსტად დაამატა და გამარჯვებისა გაიტანა.

შვედი სპეციალისტი მარცხის მიუხედავად გულგატეხილი არ იყო და უეინ რუნისთვის საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

### იტალია 1:0 რუმინეთი

1:0 დი ვაიო (58)

**იტალია:** ტოლდო (აბიატი 46), ოდო (პანკარო 86), ფერარი, ფ. კანავარო (მ. კასტელინი 55), პანუჩი (მარკიონი 55), ძამბროტა, ტომაზი (ამბროზინი 46), პეროტა, ტოტი (პირლო 71), კასანო (დი ვაიო 46), ბაცანი (ს. ინძაგი 55)

**რუმინეთი:** ლობონტი, სტოიკანი (პლესანი 72), იენჩი, რადოი, რატი (რადა 72), დუმიტრუ (დიკა 66), პანჩუ (მარიცა 81), დ. მუნტიანუ (მიუ 46), მიტია (კრისტია 90), მუტუ, ბრატუ (რადუჩანუ 46)

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

11 700 მაყურებელი

პოლონეთთან მარცხით გამოწვეული კრიტიკა ჯოვანი ტრაპატონიმ რუმინელთა ძლევით შეამსუბუქა. იტალიელებმა სტუმრებს ანკონაში უმასპინძლეს და პირველივე ტაიმში არაერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნეს. პოლონელებთან მატჩისგან განსხვავებით მასპინძელთა მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში ფრანჩესკო ტოტი გაამწესა და რომაელმა გუნდის თამაში უმალ დაალაგა. ტრაპატონი ვარშავაში გოლის გამტან ანტონიო კასანოს კვლავ ენდო და მას სამპდორიელი ბაცანი შეუწყვილა. სწორედ ამ წყვილს ამარაგებდა პასებით ტოტი და რუმინელთა მეკარე თავადაც არაერთხელ შეაწუხა.

პირველი საგოლე ეპიზოდი რომაელთა კაპიტანმა მეცხრე წუთზევე გამოჩარხა, მაგრამ ლობონტმა ძლიერად დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია. კუთხურიდან ჩაწოდებულს ბაცანი შესწვდა, თუმც თავური გაუცუდდა.

მოგვიანებით ფრანჩესკო ტოტიმ ბაცანი რუმინელ კარის დარაჯთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ სამპდორიელს შეტევის შედეგიანად დასასრულებლად გამოცდილება არ ეყო.

ტაიმის შუაწელში მასიმო ოდომ და ტოტიმ კარგი კომბინაცია გაითამაშეს, თუმც რომაელს დარტყმული ლობონტმა აუღო. გადმოვარდნილ ბურთს ბაცანიმ დაამატა, თუმც კვლავ არაზუსტად.

შესვენების შემდეგ ტრაპატონიმ რვა ფეხბურთელი შეცვალა და მათგან მარკო დი ვაიომ იყოჩაღა: მოედაზე შესვლიდან თოთხმეტ წუთში მომენტების გამნიავებლებს აჩვენა, როგორ უნდა გატანა.

სტუმართაგან ყველაზე მეტად ჩელსელი ადრიან მუტუ გამოირჩეოდა. მას თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს, რადგან ანგელ იორდანესკუს ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ახალწვეული ჰყავდა და ნაკრები სამომავლოდ ჩამოყალიბების პროცესშია.

ნამატჩევს ფრანჩესკო ტოტი თანაგუნდელ ანტონიო კასანოს პროტექტორობდა, იმედი მაქვს ჯოვანი ტრაპატონი მას საპორტუგალიო განაცხადში შეიყვანს, „რომაში“ ერთად ვთამაშობთ და და მოედანზე ერთმანეთს კარგად ვუგებთო.

ტოტის მარკო დი ვაიომ უპასუხა: „რაც უნდა, ის თქვას, მაგრამ ნუ დაივიწყებს, რომ ნაკრებში ჩემი ორივე გოლი სწორედ მისი პასებით გავიტანე“

**ვაჟა ხუციშვილი**



გერმანელთა ცოდვა ზინედინ ზიდანმა დაიდო

REUTERS



უეინ რუნიმ საქმე კარგად იცის

REUTERS

### პორტუგალია 1:1 საბერძნეთი

0:1 ლაკისი (47), 1:1 პაულეტა (60)

ფიგუმ ვერ გაიტანა პენალტი (31, ააცილა)

**პორტუგალია:** რიკარდუ, მ. მონტეირუ, ფ. კოუტუ (ბეტუ სევერუ 70), ჟორჟე ანდრადე (მ. კანეირა 77), რუი ჟორჟე (მატიაში 72), ფიგუ, კოშტინია, დეკო სოუზა, რუი კოშტა, პაულეტა, ბოა მორტე (სიმაო 46)

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, კაპსისი (დაბიზასი 87), დელასი, სეიტარიდისი (გეორგიადისი 77), ზაგორაკისი (კაცურიანისი 71), იანაკოპულოსი (ვენეტიდისი 46), ფისასი, კარაგუნისი, დ. ნიკოლაიდისი (ლაკისი 46), ცარტასი (ბასინასი 46), ხარისტიასი (პაპადოპულოსი 74)

გაძევება: კარაგუნისი (30)

მსაჯი: ხოსე ესკინას ტორესი (ესპანეთი)

32 000 მაყურებელი

### პოლონეთი 4:3 სერბეთი

1:0 ნიედზელანი (27), 2:0 რასიაკი (30), 2:1 დ. სტანკოვიჩი (70), 3:1 კოსოვსკი (73), 3:2 ვუკიჩი (78), 4:2 ჟურავსკი (82), 4:3 ილიევი (87)

### ეგვიპტე 2:1 სამხრეთ აფრიკა

0:1 მაკკარტი (50), 1:1 აბდელ-ჰადი (72), 2:1 მიდო (90)

### სენეგალი 1:0 კოტ დივუარი

1:0 დიუფი (89)

### ალბანეთი 2:0 ესტონეთი

1:0 ალიაი (26), 2:0 ბუში (81)

### ჩეხეთი 5:1 კანადა

1:0 იანკულოვსკი (26პ), 2:0 ჰაინცი (49), 3:0 პობორსკი (55), 4:0 სიონკო (63), 5:0 სკაჩელი (82), 5:1 რაძინსკი (89)

### ჰონდურასი 1:2 ფინეთი

0:1 ტაინიო (60), 0:2 ჰაკანპაა (69), 1:2 ხ. ალვარესი (88)

### მაროკო 1:0 ბურკინა ფასო

1:0 უადუ (24)

## იტალია

### სერია B. XIV ტური

**ატალანტა 2:1 კომო**

0:1 მაკინვა (13), 1:1 მარკოლინი (72პ), 2:1 ბერნარდინი (90)

**აველინო 0:3 ალბინოლეფე**

0:1, 0:2, 0:3 ბონაცი (4, 15პ, 20)

**კალიარი 2:2 ვენეცია**

0:1 მაჩელარი (23ს.კ.), 1:1 ძოლა (40), 1:2 ფანტინი (45), 2:2 სუაცო (61)

**ფიორენტინა 2:2 ჯენოა**

1:0 გრაფიედი (11), 2:0 რიგანო (45), 2:1 ალდაირი (57), 2:2 ბიელანოვიჩი (62პ)

**ლივორნო 2:0 ტრევიზო**

1:0 პროტი (81), 2:0 ლუკარელი (90)

**მესინა 1:0 ვერონა**

1:0 დი ნაპოლი (19)

**პალერმო 4:0 ნაპოლი**

1:0 ფერი (26), 2:0 ტონი (36), 3:0 ძაული (47), 4:0 ტონი (59)

**პესკარა 1:0 პიაჩენცა**

1:0 კალაიო (32)

**სალერნიტანა 2:0 ბარი**

1:0, 2:0 დი ვიჩინო (18, 43)

**ტერნანა 1:1 ასკოლი**

0:1 მასტრონუნცო (7), 1:1 ბორგობელო (37)

**ტორინო 1:0 კატანია**

1:0 ფერანტე (40)

**ტრიესტინა 0:1 ვიჩენცა**

0:1 პადოინი (29)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 14 | 8 | 6 | 0 | 21:9 | 30 |
| პალერმო | 14 | 8 | 5 | 1 | 20:8 | 29 |
| ტერნანა | 14 | 8 | 3 | 3 | 22:14 | 27 |
| ლივორნო | 14 | 7 | 5 | 2 | 18:11 | 26 |
| ტორინო | 14 | 7 | 2 | 5 | 21:15 | 23 |
| კალიარი | 14 | 6 | 4 | 4 | 28:17 | 22 |
| კატანია | 14 | 6 | 3 | 5 | 21:17 | 21 |
| მესინა | 14 | 5 | 6 | 3 | 18:17 | 21 |
| ტრევიზო | 14 | 5 | 5 | 4 | 14:15 | 20 |
| პიაჩენცა | 14 | 5 | 5 | 4 | 11:12 | 20 |
| ალბინოლეფე | 14 | 5 | 4 | 5 | 17:18 | 19 |
| ფიორენტინა | 14 | 4 | 6 | 4 | 13:13 | 18 |
| პესკარა | 14 | 4 | 6 | 4 | 13:15 | 18 |
| სალერნიტანა | 14 | 4 | 5 | 5 | 11:13 | 17 |
| ასკოლი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:18 | 17 |
| ვიჩენცა | 14 | 3 | 7 | 4 | 12:12 | 16 |
| ნაპოლი | 14 | 2 | 10 | 2 | 12:13 | 16 |
| ვენეცია | 14 | 3 | 7 | 4 | 15:18 | 16 |
| ტრიესტინა | 14 | 4 | 4 | 6 | 18:22 | 16 |
| ვერონა | 14 | 3 | 6 | 5 | 19:20 | 15 |
| ჯენოა | 14 | 3 | 5 | 6 | 13:19 | 14 |
| ბარი | 14 | 2 | 4 | 8 | 17:24 | 10 |
| კომო | 14 | 2 | 2 | 10 | 9:23 | 8 |
| აველინო | 14 | 0 | 5 | 9 | 11:25 | 5 |

### სერია C1/A. XII ტური

ლუმეცანე — პრატო 1:0; ნოვარა — ლუკეზე 1:1; პადოვა — სპეცია 0:0; პავია — პიზა 1:2; პისტოიეზე — რეჯანა 3:0; რიმინი — პრო პატრია 2:0; ტორესი — არეცო 0:1; სპალ — ჩიტადელა 1:1; ვარეზე — ჩეზენა 3:1

### სერია C1/B. XII ტური

აკირეალე — კიეტი 1:0; კროტონე — ბენევენტო 1:1; ჯულიანოვა — ფოჯა 0:0; აკილა — ტერამო 1:2; პატერნო — ლანჩანო 0:1; სამბენედეტეზე — კატანძარო 0:0; ტარანტო — ფერმანა 1:2; პეზარო — მარტინა 0:1. ვიტერბეზე — სორა *(იხ. მე-2 გვერდზე)*

## ბელგია

### თასის 1/16 ფინალი

ჰამე — ბევერენი 1:3; სერკლ ბრიუგე — სტანდარდი 2:0; ვერვიერი — ლუვიე 0:2დ.დ.(0:0); ბრიუსელი — ანდერლეხტი 1:5; გენტი — მალდეგემი 2:0; ანტვერპენი — რუზელარე 2:1დ.დ.(1:1); შარლერუა — გეელი 3:4დ.დ.(2:2); ლიერსი — მილენი 3:2; ლოკერენი — კაპელენი 2:2დ.დ.(პენ.-4:2, 2:2); მუსკრონი — ვალონი 4:0; გენკი — ჰეუსდენი 0:2; ტუბიზი — ვესტერლო 1:3; სპორტინგ ვესტი — ბრიუგე 1:3; სენტ ტრუიდენი — ბოშოლი 1:1დ.დ.(პენ.4:5, 1:1); ბეერსხოტი — დაინცე 4:1; მონსი — დენდერმოუტერნი 2:3

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა. XIV ტური

ბადენი — კრიენსი 2:1; ვინტერტური — ბელინცონა 1:2; ვოლენი — კიასო 0:2; შო დე ფონი — კონკორდია 1:2; ლუცერნი — დელემონი 2:1; ანიო — ბულე 2:0; ვადუცი — მეირინი 4:0; ივერდონი — შაფჰაუზენი 1:1

## ინგლისი

### I დივიზიონი გადადებული მატჩები

**დერბი ქაუნთი 2:0 ბარნლი**

1:0 ლ. მორისი (20), 2:0 ტეილორი (90)

**ჯილინგემი 1:2 უიმბლდონი**

0:1 ნოულენდი (22), 1:1 ნოსვორთი (41), 1:2 ეგიმენი (66)

**ნორვიჩი 1:2 უოტფორდი**

0:1 ფიცჯერალდი (24), 0:2 კოქსი (81პ), 1:2 ჯერვისი (88)

**რედინგი 1:0 მილუოლი**

1:0 სალაკო (23)

**კრ. პალასი — ძრიუ** გადაიდო

**როტერჰემი — ძოვენთრი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 17 | 11 | 2 | 4 | 27:16 | 35 |
| შეფილდი | 18 | 10 | 4 | 4 | 29:18 | 34 |
| ნორვიჩი | 18 | 10 | 4 | 4 | 28:19 | 34 |
| უიგანი | 18 | 9 | 6 | 3 | 26:14 | 33 |
| სანდერლენდი | 18 | 9 | 5 | 4 | 22:12 | 32 |
| რედინგი | 18 | 9 | 3 | 6 | 25:19 | 30 |
| ვესტ ჰემი | 17 | 7 | 7 | 3 | 22:15 | 28 |
| იფსვიჩი | 18 | 8 | 4 | 6 | 34:28 | 28 |
| კარდიფი | 17 | 7 | 6 | 4 | 30:17 | 27 |
| პრესტონი | 18 | 8 | 3 | 7 | 26:21 | 27 |
| მილუოლი | 19 | 7 | 6 | 6 | 22:20 | 27 |
| ნოტინგემი | 18 | 7 | 4 | 7 | 30:24 | 25 |
| ქრიუ | 18 | 7 | 3 | 8 | 18:23 | 24 |
| უოლსოლი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:21 | 23 |
| უოტფორდი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:24 | 23 |
| ქოვენთრი | 17 | 5 | 7 | 5 | 22:22 | 22 |
| ჯილინგემი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:31 | 22 |
| ბარნლი | 18 | 5 | 5 | 8 | 24:32 | 20 |
| დერბი | 19 | 4 | 6 | 9 | 20:33 | 18 |
| სტოკი | 17 | 4 | 5 | 8 | 20:25 | 17 |
| კრ. პალასი | 17 | 4 | 5 | 8 | 21:30 | 17 |
| როტერჰემი | 18 | 3 | 7 | 8 | 13:27 | 16 |
| ბრედფორდი | 18 | 3 | 5 | 10 | 16:28 | 14 |
| უიმბლდონი | 18 | 4 | 1 | 13 | 20:42 | 13 |

### II დივიზიონი. XVIII ტური

ბარნსლი — ტრანმერი 2:0; ბლეკპული — ჩესტერფილდი 1:0; ბორნმუთი — პიტერბრო 1:2; ბრაიტონი — ბრისტოლი 1:4; კოლჩესტერი — შეფილდ უენსდი 3:1; გრიმსბი — სტოკპორტი 1:1; ჰარტლპული — რაშდენი 2:1; ლუტონი — რექსემი 0:1; პორტ ვეილი — ნოტსი 1:0; ქუინზ პარკი — პლიმუთი 3:0; უიკომბი — ბრენტფორდი 1:2

### III დივიზიონი. XVIII ტური

ბოსტონი — ლეიტონი 3:0; როვერსი — ბერი 1:2; კემბრიჯი — ოქსფორდი 1:1; კარლაილი — მენსფილდი 0:2; დარლინგტონი — ლინკოლნი 0:0; ჰადერსფილდი — ჰალი 3:1; მაკლსფილდი — სკანთორპი 2:2; როჩდეილი — კიდერმინსტერი 0:1; ტორკი — ჩელტენემი 3:1; იოვილი — საუთენდი 4:0; იორკი — დონკასტერი 1:0. *ნორთჰემპტონი — სუონსი (იხ. მე-2 გვერდზე)*

### კონფერენსლიგა. XVIII ტური

ბარტონი — ჰალიფაქსი 2:2; ჩესტერი — ბარნეტი 1:0; ექსეტერი — მორეკემბი 4:0; ფარნბორო — ნორსვიჩი 2:0; ფორესტ გრინი — ტემუორთი 2:1; გრეივსენდი — შრიუსბერი 0:3; ჰერეფორდი — მარგეიტი 2:1; სკარბორო — ალდერშოტი 1:0; სტივენეიჯი — აკრინგტონი 2:1; ტელფორდი — ლეიფი 5:0; უოქინგი — დაგენემი 0:0

## შოტლანდია

### I დივიზიონი. XIII ტური

კლაიდი — სენტ მირენი 2:0; ფოლკირკი — რეითი 3:2; ინვერნესი — როსი 3:3; ბრეჩინი — სენტ ჯონსტონი 0:1; ქუინი — ეარი 1:0

### II დივიზიონი. XIII ტური

ფორფარი — სტენჰაუზმური 2:0; ალოა — ბერვიკი 2:3; დამბარტონი — ერდრი 2:0; ისტ ფაიფი — მორტონი 0:0

### III დივიზიონი. XIII ტური

ალბიონი — გრეტნა 1:3; კოუდენბითი — ისტ სტირლინგი 2:1; სტირლინგი — ქუინზ პარკი 1:0; სტრანრარი — პიტერჰედი 0:2; ელგინი — მონტროუზი 2:3

## ირლანდია

### პრემიერლიგა XXXIV ტური

ბოჰემიანსი — შელბურნი 0:1; კორკ სიტი — დერი სიტი 1:0; შემროკი — უოტერფორდი 1:1; დუბლინი — დროჰედა 2:1; ლონგფორდი — სენტ პატრიკსი 2:0

## ესპანეთი

### სეგუნდა დივიზიონი. XII ტური

**ლეგანესი 1:2 ეიბარი**

1:0 როდრიგესი (59), 1:1 კარმონა (89), 1:2 ბრიტო (90პ)

**კორდობა 1:0 კადისი**

1:0 რუისი (72)

**ლევანტე 0:0 ალავესი**

**ლას პალმასი 2:2 ალხესირასი**

0:1 აიტორი (13), 0:2 არმენტანო (17), 1:2 პედრო ვეგა (69პ), 2:2 ჩანგუი (83)

**რაიო ვალეკანო 2:1 სპორტინგი**

1:0 ბიაჯინი (1), 1:1 მიგელი (63), 2:1 პერაგონი (75)

**ნუმანსია 7:0 სიუდად მურსია**

1:0 როსუ (8), 2:0 ლაბაკა (31ს.კ.), 3:0 ანტონიო (39), 4:0 როსუ (47), 5:0 პინედა (55), 6:0 კულებრასი (75), 7:0 სესტელო (89)

**ტერასა 0:0 ალმერია**

**ხერესი 1:2 ხეტაფე**

0:1 ალბერტო (41), 1:1 კალე (80), 1:2 მიგელ ანხელი (88)

**პოლი ეხიდო 1:2 მალაგა B**

1:0 საბინო (31), 1:1 ხუანმა (36), 1:2 ურბანო (88პ)

**სალამანკა 1:1 უელვა**

0:1 იკერ ბეგონია (28), 1:1 რაულ სანჩესი (88)

**ელჩე 2:0 ტენერიფე**

1:0 არნალი (56), 2:0 კუელიარი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 12 | 8 | 1 | 3 | 24:10 | 25 |
| ალმერია | 12 | 6 | 6 | 0 | 15:8 | 24 |
| ლევანტე | 12 | 5 | 6 | 1 | 12:4 | 21 |
| კადისი | 12 | 6 | 1 | 5 | 15:12 | 19 |
| ეიბარი | 12 | 5 | 4 | 3 | 11:8 | 19 |
| ელჩე | 12 | 5 | 4 | 3 | 16:14 | 19 |
| ალავესი | 12 | 5 | 4 | 3 | 10:8 | 19 |
| ხეტაფე | 12 | 3 | 8 | 1 | 11:10 | 17 |
| სპორტინგი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:13 | 16 |
| სალამანკა | 12 | 3 | 7 | 2 | 11:10 | 16 |
| ტენერიფე | 12 | 3 | 7 | 2 | 11:11 | 16 |
| კორდობა | 12 | 3 | 6 | 3 | 10:8 | 15 |
| უელვა | 12 | 2 | 8 | 2 | 10:11 | 14 |
| სიუდად მურსია | 12 | 2 | 8 | 2 | 14:20 | 14 |
| ლას პალმასი | 12 | 2 | 7 | 3 | 14:16 | 13 |
| ლეგანესი | 12 | 2 | 7 | 3 | 9:11 | 13 |
| მალაგა B | 12 | 2 | 5 | 5 | 14:16 | 11 |
| რაიო | 12 | 3 | 2 | 7 | 13:19 | 11 |
| ეხიდო | 12 | 2 | 4 | 6 | 11:18 | 10 |
| ხერესი | 12 | 1 | 7 | 4 | 8:15 | 10 |
| ალხესირასი | 12 | 1 | 6 | 5 | 12:15 | 9 |
| ტერასა | 12 | 1 | 4 | 7 | 8:17 | 7 |

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XVI ტური

დორტმუნდი (მ) — ესენი 0:1; ბრაუნშვაიგი — ვატენშაიდი 2:1; ნოიმიუნსტერი — დინამო 0:0; მიუნსტერი — პადერბორნი 3:1; იურდინგენი — ზანკტ პაული 2:1; ვერდერი (მ) — ვუპერტალი 0:1; კიოლნი (მ) — ჰამბურგი (მ) 0:0; ლაიპციგი — კილი 1:1; შალკე (მ) — ქემნიცი 2:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა XVI ტური

ზიგენი — შტუტგარტი 1:0; აალენი — ვეჰენი 0:0; ბაიერნი (მ) — მაინცი 2:2; ეშბორნი — ელვერსბერგი 3:2; ფოიხტი — შვაინფურტი 2:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — ჰოფენჰაიმი 1:4; ოფენბახი — აუგსბურგი 3:1; ზაარბრიუკენი — ერფურტი 2:1; კიკერსი — პფულენდორფი 3:1

## უკრაინა

### თასის 1/4 ფინალი 1 მატჩები

დნიპრო — ტავრია 4:1; მეტალურგი (ზ) — ჩერნომორეცი 1:1; ილიჩევეცი — დინამო 0:8. *სტალ — შახტარი (22 ნოემბერს)*

*საპასუხო მატჩები გაიმართება 29-30 ნოემბერს*

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. XIV ტური

პეჩი — მტკ 1:1; ზალაეგერსეგი — უიპეშტი 2:3; ფერენცვაროში — ბეკეშჩაბა 2:0; ჰალადაში — შიოფოკი 0:4; შოპრონი — დებრეცენი 1:3; დიორ ეტო — ვიდეოტონი 2:2

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XVI ტური

დუბნიცა — რუჟომბეროკი 2:3; ჟილინა — პუხოვი 1:1; პეტრჟალკა — ინტერი 3:0; სლოვანი — ტრნავა 0:4. *ბანსკა ბისტრიცა — ტრენჩინი გადაიდო*

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

### შესარჩევი ეტაპი. პლეი-ოფი. პირველი მატჩები

**ხორვატია 2:0 შოტლანდია**

1:0 ბაბიჩი (6), 2:0 ლიუბოევიჩი (11)

**დანია 1:1 იტალია**

1:0 კალენბერგი (43), 1:1 ს. ანდერსენი (45ს.კ.)

გაძევება: პინცი (71, იტალია)

**ბელარუსი 1:1 პოლონეთი**

1:0 კონცევოი (31), 1:1 სტასიაკი (84)

**შვედეთი 2:0 ესპანეთი**

1:0 ა. ფარნერუდი (55), 2:0 კალსტრიომი (90)

**პორტუგალია 1:2 საფრანგეთი**

1:0 ჟორჟე რიბეირუ (5), 1:1, 1:2 ჟ. სისე (23, 32)

**შვეიცარია 1:2 ჩეხეთი**

1:0 ნეფი (17), 1:1 სვერკოში (32), 1:2 კოუბსკი (41)

**გერმანია 1:0 თურქეთი**

1:0 ბალიტჩი (14)

**სერბეთი 5:1 ნორვეგია**

1:0 ვიდიჩი (2), 2:0, 3:0 დელიბაშიჩი (14, 39), 4:0 კრაშიჩი (47), 4:1 ლუდვიგსენი (55), 5:1 დიალოვიჩი (81)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 18-19 ნოემბერს*



REUTERS

გერმანია — თურქეთი. ახალგაზრდა გერმანელებმა ჰანო ბალიტჩის (მარცხნივ) გოლით იმარჯვეს

## პოლონეთი

### I ლიგა. გადადებული მატჩი

**პოლონია 1:0 სვიტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 12 | 9 | 0 | 3 | 34:15 | 27 |
| ამიცა | 12 | 8 | 2 | 2 | 21:11 | 26 |
| ლეგია | 12 | 6 | 5 | 1 | 19:10 | 23 |
| ლეჩნა | 12 | 7 | 1 | 4 | 14:16 | 22 |
| გროცლინი | 12 | 5 | 4 | 3 | 26:12 | 19 |
| კატოვიცე | 12 | 5 | 3 | 4 | 11:20 | 18 |
| გურნიკი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:13 | 17 |
| პლოცკი | 12 | 5 | 2 | 5 | 19:21 | 17 |
| ოდრა | 12 | 4 | 4 | 4 | 17:20 | 16 |
| ლეხი | 12 | 4 | 2 | 6 | 21:17 | 14 |
| პოლონია | 12 | 2 | 5 | 5 | 10:16 | 11 |
| ვიძევი | 12 | 2 | 4 | 6 | 16:22 | 10 |
| პოლკოვიცე | 12 | 1 | 3 | 8 | 7:19 | 6 |
| სვიტი | 12 | 0 | 4 | 8 | 7:25 | 4 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა გადადებული მატჩები

**ჟიჟკოვი 0:0 სლავია**

**პლზენი 0:1 სინოტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 14 | 9 | 5 | 0 | 28:11 | 32 |
| სლავია | 15 | 8 | 3 | 4 | 19:9 | 27 |
| სპარტა | 14 | 7 | 5 | 2 | 22:8 | 26 |
| სიგმა | 14 | 7 | 3 | 4 | 26:14 | 24 |
| სინოტი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:20 | 22 |
| ტეპლიცე | 14 | 5 | 6 | 3 | 17:14 | 21 |
| ზლინი | 14 | 6 | 3 | 5 | 17:16 | 21 |
| ლიბერეცი | 14 | 5 | 5 | 4 | 15:12 | 20 |
| ბრნო | 14 | 5 | 5 | 4 | 18:17 | 20 |
| ბუდეიოვიცე | 14 | 5 | 3 | 6 | 17:19 | 18 |
| ოპავა | 14 | 5 | 2 | 7 | 15:25 | 17 |
| პრჟიბრამი | 14 | 4 | 2 | 8 | 18:19 | 14 |
| იაბლონეცი | 14 | 2 | 8 | 4 | 10:18 | 14 |
| პლზენი | 15 | 3 | 4 | 8 | 12:24 | 13 |
| ჟიჟკოვი | 15 | 3 | 3 | 9 | 8:21 | 12 |
| ბლშანი | 14 | 2 | 3 | 9 | 15:31 | 9 |

## რუსეთი

### თასის 1/16 ფინალი საპასუხო მატჩი

**ტორპედო 1:0 ტომი (0:3)**

## აშშ

### MLS. პლეი-ოფი

ჩიკაგო — ნიუ ინგლანდი 1:0დ.დ.(0:0); სან ხოსე — კანზასი 3:2დ.დ.(2:2)

## ჰოლანდია

### II დივიზიონი. XV ტური

ვენლო — იგლსი 4:3; კამბური — მაასტრიხტი 1:3; ემენი — დორდრეხტი 0:0; ოსი — სპარტა 0:4; ეინდჰოვენი — გრააფსხაპი 0:0; ჰერაკლესი — ჰაარლემი 4:0; ტელსტარი — სიტარდი 4:2; აპელდორნი — ჰელმონდი 2:2; ექსელსიორი — დენ ბოსხი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 15 | 10 | 2 | 3 | 38:16 | 32 |
| ჰელმონდი | 14 | 9 | 3 | 2 | 31:16 | 30 |
| დენ ბოსხი | 15 | 9 | 3 | 3 | 28:18 | 30 |
| ექსელსიორი | 14 | 8 | 3 | 3 | 21:11 | 27 |
| ვენლო | 14 | 8 | 2 | 4 | 33:19 | 26 |
| ჰერაკლესი | 14 | 7 | 4 | 3 | 30:18 | 25 |
| ტელსტარი | 14 | 7 | 3 | 4 | 27:23 | 24 |
| გრააფსხაპი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:22 | 24 |
| იგლსი | 14 | 6 | 2 | 6 | 33:25 | 20 |
| ემენი | 14 | 5 | 5 | 4 | 16:18 | 20 |
| ოსი | 14 | 4 | 4 | 6 | 22:22 | 16 |
| აპელდორნი | 14 | 4 | 4 | 6 | 22:22 | 16 |
| ვეენდამი | 14 | 4 | 3 | 7 | 16:30 | 15 |
| ჰაარლემი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:25 | 13 |
| დოორდრეხტი | 14 | 2 | 6 | 6 | 14:20 | 12 |
| კამბური | 14 | 2 | 4 | 8 | 11:28 | 10 |
| მაასტრიხტი | 14 | 2 | 4 | 8 | 14:34 | 10 |
| ეინდჰოვენი | 14 | 1 | 6 | 7 | 12:23 | 9 |
| სიტარდი | 14 | 1 | 6 | 7 | 16:32 | 9 |

## მექსიკა

### აპერტურა. XVIII ტური

ტიგრესი — სანტოს ლაგუნა 1:1; მორელია — ხაგუარესი 1:1; კრუზ ასული — ვერაკრუსი 2:3; გვადალახარა — ატლასი 1:0; ნეკაქსა — ამერიკა 1:0; უნამი — ტეკოსი 2:2; ირაპუატო — პაჩუკა 0:1; კერეტარო — ატლანტე 0:2

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XXVIII ტური

ვერდი — ივატა 1:2; სენდაი — კიოტო 3:1; იჩიჰარა — სერეზო 1:0; იოკოჰამა — კაშიმა 1:2; შიმიცუ — ურავა 1:0; გამბა — ტოკიო 1:0; კობე — კაშივა 2:2; ოიტა — ნაგოია 0:0

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.3 | 4.6 | 9.0 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| | [illegible] | [illegible] 0:1 | 1.75 | 3.2 | 3.0 | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4.0 | 3.3 | 1.8 | 1.8 | 1,24 | 1.16 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1,24 | 1.95 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.25 | 3,2 | 3.0 | 1,32 | 1.28 | 1.54 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.45 | 3,2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3.0 | 3.2 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4.0 | 3.3 | 1.8 | 1.8 | 1.24 | 1.16 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3.5 | 3.3 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 5.3 | 3.5 | 1.6 | 2.1 | 1,22 | 1.09 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.1 | 3.2 | 3.3 | 1,26 | 1,28 | 1.62 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 | 3.5 | 5.3 | 1.09 | 1.22 | 2.1 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.45 | 3.8 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.46 |
| | [illegible] | [illegible] 0:1 | 2.1 | 3.1 | 2.45 | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.55 | 3.6 | 5.6 | 1.08 | 1.21 | 2.19 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.05 | 3.2 | 3.4 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.65 | 3.5 | 4.8 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1,35 | 1.25 | 1.46 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1,35 | 1.25 | 1.46 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| | | **[illegible] რეგიონალლიგა (სამხრეთი). XVIII ტური** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.5 | 3.2 | 2.4 | 1.4 | 1,22 | 1.37 |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **იტალია. სერია A. X ტური** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 5.0 | 3.2 | 1.7 | 1.95 | 1.26 | 1.11 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1 | 1.11 | 3.33 |
| | [illegible] | [illegible] 0:1 | 1.7 | 3.1 | 3.3 | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.45 | 2.9 | 2.9 | 1.32 | 1.32 | 1.45 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4.2 | 3.0 | 1.9 | 1.75 | 1.3 | 1.16 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3.8 | 3.1 | 1.95 | 1.7 | 1.28 | 1.19 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.4 | 3.8 | 8.0 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| | [illegible] | [illegible] 0:1 | 2.0 | 3.2 | 2.5 | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.4 | 3.0 | 2.9 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.75 | 3.2 | 4.6 | 1.13 | 1.26 | 1.88 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4.2 | 3.1 | 1.85 | 1.78 | 1.28 | 1.15 |
| | | **იტალია. სერია B. XV ტური** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.45 | 2.5 | 3.2 | 1.23 | 1.38 | 1.4 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.15 | 2.7 | 3.6 | 1.19 | 1.34 | 1.54 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.7 | 2.6 | 2.9 | 1.32 | 1.39 | 1.37 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.3 | 2.6 | 3.4 | 1.22 | 1.37 | 1.47 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.75 | 2.8 | 5.3 | 1.07 | 1.31 | 1.83 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.35 | 2.6 | 3.3 | 1.23 | 1.37 | 1.45 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.65 | 2.8 | 7.0 | 1.03 | 1.33 | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.8 | 2.6 | 2.7 | 1.34 | 1.37 | 1.32 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.2 | 2.6 | 3.6 | 1.19 | 1.36 | 1.5 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.4 | 2.6 | 3.2 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.6 | 2.6 | 2.9 | 1.3 | 1.37 | 1.37 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XII ტური** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 208 | [illegible] | 1,7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 22.30 | 209 | [illegible] | 2.7 | 3.1 | 2.45 | 1.44 | 1.28 | 1.36 |
| 00.30 | 210 | [illegible] | 2.9 | 3.1 | 2.35 | 1.49 | 1.29 | 1.33 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 211 | [illegible] | 2.3 | 3.1 | 3.0 | 1.32 | 1.3 | 1.52 |
| 20.00 | 212 | [illegible] | 2,0 | 3.1 | 3.6 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| 20.00 | 213 | [illegible] | 2.6 | 3.0 | 2.6 | 1.39 | 1.3 | 1.39 |
| 20.00 | 214 | [illegible] | 2.0 | 3.1 | 3.6 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| 20.00 | 215 | [illegible] | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.26 | 1.81 |
| 22.00 | 216 | [illegible] | 1.15 | 6.0 | 14.0 | 1 | 1.06 | 4.19 |
| | 217 | [illegible] 0:1 | 1.35 | 4.0 | 4.2 | | | |
| 24.00 | 218 | [illegible] | 4.6 | 3.2 | 1.75 | 1,88 | 1.26 | 1.13 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 235 | [illegible] | 1,55 | 3.4 | 6.5 | 1.06 | 1,25 | 2,23 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 236 | მონაკო-ლანსი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.00 | 237 | ბასტია-ნანტი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 23.00 | 238 | ბორდო-რენი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 239 | გენგამპ-სოშო | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 23.00 | 240 | ლილი-მარსელი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.00 | 241 | მეცი-ისტრი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 23.00 | 242 | მონპელიე-აიაჩიო | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 243 | ტულუზა-ლე მანი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 244 | პსჟ-ნიცა | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XII ტური** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 248 | ვალვაიკი-გრონინგენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 249 | ტილბურგი-ვოლენდამი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 250 | ტილბურგი-ვოლენდამი 0:1 | 2.05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 22.30 | 251 | ზვოლე-ბრედა | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 23.00 | 252 | ნაიმეგენი-პსვ | 6.5 | 3,6 | 1,5 | 2,31 | 1,21 | 1,05 |
| 23.00 | 253 | ალკმაარი-როდა | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1.19 | 1,22 | 1,74 |
| 23.00 | 254 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 255 | ფეიენოორდი-ვიტესი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 256 | ტვენტე-დენ ჰააგი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 17.30 | 257 | რისენდალი-უტრეხტი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 17.30 | 258 | აიაქსი-ჰერენვენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 259 | აიაქსი-ჰერენვენი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 272 | მონსი-ანდერლეხტი | 7,0 | 4,2 | 1,4 | 2,62 | 1,16 | 1,04 |
| 23.30 | 273 | ბევერენი-ბრიუგე | 5.6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 274 | გენკი-სტ.ტრუიდენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.00 | 275 | ლოკერენი-შარლერუა | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 23.00 | 276 | ლიერსი-მეხელენი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 23.00 | 277 | მუსკრონი-ჰეუსდენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 278 | მუსკრონი-ჰეუსდენი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.00 | 279 | სტანდარდი-ვესტერლო | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 280 | ხერკლი-გენტი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 18.00 | 281 | ლუვენი-ანტვერპენი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 296 | ადმირა-კერნტენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 297 | პაშინგი-ავსტრია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 18.30 | 298 | რაპიდი-ბრეგენცი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 299 | ზალცბურგი-მატერსბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 300 | გრაცერი-შტურმი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 310 | ვილი-სტ.გალენი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.15 | 311 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.15 | 312 | ქსამაქსი-თუნი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.15 | 313 | იანგ ბოისი-სერვეტი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.15 | 314 | ციურიხი-აარაუ | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **არგენტინა. აპერტურა** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.10 | 454 | ბოკა ხუნიორსი-სან ლორენსო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | **საფრანგეთი. თასი. VII ეტაპი** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 512 | ამიენი-სედანი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 513 | რეანი-კრეტეი | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| | | **მს შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 03.00 | 529 | ვენესუელა-ბოლივია | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 06.05 | 530 | ჩილე-პარაგვაი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 01.45 | 531 | ეკვადორი-პერუ | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 03.05 | 532 | ბრაზილია-ურუგვაი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| 06.05 | 533 | კოლუმბია-არგენტინა | 4.0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **ევ. ფლეი ოფი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 536 | სლოვენია-ხორვატია | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 22.30 | 537 | ნორვეგია-ესპანეთი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 22.30 | 538 | თურქეთი-ლატვია | 1,2 | 5,0 | 12,0 | 1 | 1,09 | 3,52 |
| 23.30 | 539 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1,25 | 5.0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.30 | 540 | უელსი-რუსეთი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **ევ. ფლეი ოფი. ფინალურ ეტაპზე გასვლა.** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 6001 | სლოვენია-ხორვატია | 1.6 | 2,0 | | | | |
| 22.30 | 6002 | ნორვეგია-ესპანეთი | 4,0 | 1,15 | | | | |
| 22.30 | 6003 | თურქეთი-ლატვია | 1,35 | 2,3 | | | | |
| 23.30 | 6004 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1,35 | 2,3 | | | | |
| 23.30 | 6005 | უელსი-რუსეთი | 1,9 | 1,6 | | | | |
| | | **ევ (21 წლამდე). ფლეი ოფი. II მატჩები.** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 543 | ნორვეგია(21)-სერბია(21) | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 22.30 | 544 | თურქეთი(21)-გერმანია(21) | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.30 | 545 | შოტლანდია(21)-ხორვატია(21) | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 24.00 | 546 | საფრანგეთი(21)-პორტუგალია(21) | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 547 | ჩეხეთი(21)-შვეიცარია(21) | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2.32 |
| 21.00 | 548 | პოლონეთი(21)-ბელარუსი(21) | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| 24.00 | 549 | იტალია(21)-დანია(21) | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 00.45 | 550 | ესპანეთი(21)-შვედეთი(21) | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 13.00 | 553 | ს.კორეა-ბულგარეთი | 2.05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| 22.45 | 554 | ეგვიპტე-შვედეთი | 3,2 | 3,0 | 2,15 | 1,54 | 1,28 | 1,25 |
| 23.30 | 555 | ირლანდია-კანადა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 14.20 | 556 | იაპონია-კამერუნი | 2,2 | 3,0 | 3,1 | 1,26 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 557 | უნგრეთი-ესტონეთი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 24.00 | 558 | კოსტა რიკა-ფინეთი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 01.15 | 559 | პორტუგალია-ქუვეითი | 1,05 | 7,5 | 17,0 | 1 | 1 | 5,2 |
| 08.00 | 560 | მექსიკა-ისლანდია | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 561 | ლუქსემბურგი-მოლდოვა | 4,6 | 3,4 | 1,65 | 1,95 | 1,21 | 1,14 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 1001 | სიბირი-ნოვოკუზნეცკი | 1.85 | 4,8 | 2,5 | 1,33 | 1,06 | 1,64 |
| 19.30 | 1002 | აკ-ბარსი-სევერსტალი | 2,25 | 4,8 | 2,1 | 1,53 | 1,08 | 1,46 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1030 | ვიტკოვიცე-კლადნო | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 20.00 | 1031 | ზლინი-სპარტა | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| 20.30 | 1032 | პლზენი-ვსეტინი | 1,6 | 4,4 | 3,6 | 1,17 | 1,1 | 1,98 |
| 20.30 | 1033 | ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 2,8 | 4,4 | 1,8 | 1,71 | 1,09 | 1,27 |
| 20.30 | 1034 | ზნოიმო-კარლოვი ვარი | 1,75 | 4,4 | 3,0 | 1,25 | 1,1 | 1,78 |
| 21.00 | 1035 | სლავია-ლიტვინოვი | 1,35 | 4,8 | 5,3 | 1,05 | 1,07 | 2,51 |
| 21.00 | 1036 | ლიბერეცი-ტრჟინეცი | 2,45 | 4,2 | 2,05 | 1,54 | 1,11 | [illegible] |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1054 | პოპრადი-კოშიცე | 2,35 | 4,2 | 2,15 | 1,5 | 1,12 | 1,42 |
| 20.00 | 1055 | ნიტრა-ჟილინა | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,4 |
| 20.00 | 1056 | ზვოლენი-მარტინი | 1,25 | 5,3 | 7,0 | 1,01 | 1,06 | 3,01 |
| 20.00 | 1057 | ტრენჩინი-სლოვანი | 1,65 | 4,2 | 3,3 | 1,18 | 1,1 | 1,84 |
| 20.00 | 1058 | მიკულაში-სკალიცა | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1072 | ინგოლშტადტი-მანჰაიმი | 2,1 | 4,4 | 2,35 | 1.42 | 1,1 | 1,53 |
| 22.30 | 1073 | კიოლნი-ჰანოვერი | 1,4 | 5.0 | 4,6 | 1,09 | 1,07 | 2,39 |
| 22.30 | 1074 | ჰამბურგი-აისბარენი | 2,2 | 4,4 | 2,25 | 1,46 | 1,11 | 1,48 |
| 23.00 | 1075 | იზერლონი-კრეფელდი | 1,95 | 4,4 | 2,5 | 1,35 | 1,09 | 1,59 |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1076 | აუგსბურგი-ფრანკფურტი | 2.15 | 4,4 | 2,3 | 1,44 | 1,11 | 1,51 |
| | | **რაგბი. მსოფლიოს თასი** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 13.00 | 1353 | ავსტრალია-ინგლისი | 2,3 | 17,0 | 1,6 | 2,02 | 1 | 1,46 |
| | 1354 | ავსტრალია-ინგლისი 4:0 | 1,85 | 12,0 | 1,85 | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7001 | ავსტრალია მოიგებს | 1-5 ქულით | 5,0 |
| | ავსტრალია მოიგებს | 6-10 ქულით | 6,0 |
| | ავსტრალია მოიგებს | 11-15 ქულით | 8,0 |
| | ავსტრალია მოიგებს | 16 ან მეტი ქულით | 8,0 |
| | ინგლისი მოიგებს | 1-5 ქულით | 4,0 |
| | ინგლისი მოიგებს | 6-10 ქულით | 4,2 |
| | ინგლისი მოიგებს | 11-15 ქულით | 6,5 |
| | ინგლისი მოიგებს | 16 ან მეტი ქულით | 6,5 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **18 ნოემბერი** | | |
| 03.00 | 5401 | ვენესუელა-ბოლივია | 1,45 | 2,8 |
| 06.05 | 5402 | ჩილე-პარაგვაი | 1,65 | 2,3 |
| | | **19 ნოემბერი** | | |
| 20.30 | 5403 | სლოვენია-ხორვატია | 1,85 | 1,95 |
| 22.30 | 5404 | ნორვეგია-ესპანეთი | 2,1 | 1,75 |
| 22.30 | 5405 | თურქეთი-ლატვია | 1,2 | 4,0 |
| 23.30 | 5406 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1,2 | 4,0 |
| 23.30 | 5407 | უელსი-რუსეთი | 1,8 | 2,0 |
| 01.45 | 5408 | ეკვადორი-პერუ | 1,5 | 2,6 |
| 03.05 | 5409 | ბრაზილია-ურუგვაი | 1,25 | 3,7 |
| 06.05 | 5410 | კოლუმბია-არგენტინა | 2,4 | 1,6 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **18 ნოემბერი** | | | |
| 03.00 | 5501 | ვენესუელა-ბოლივია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 06.05 | 5502 | ჩილე-პარაგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **19 ნოემბერი** | | | |
| 20.30 | 5503 | სლოვენია-ხორვატია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5504 | ნორვეგია-ესპანეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5505 | თურქეთი-ლატვია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5506 | ჰოლანდია-შოტლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5507 | უელსი-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 01.45 | 5508 | ეკვადორი-პერუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 03.05 | 5509 | ბრაზილია-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 06.05 | 5510 | კოლუმბია-არგენტინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 18 ნოემბერი | | |
| 03.00 | 5201 | ვენესუელა-ბოლივია | 1,85 | 1,75 |
| 06.05 | 5202 | ჩილე-პარაგვაი | 1,8 | 1,8 |
| | | 19 ნოემბერი | | |
| 20.30 | 5203 | სლოვენია-ხორვატია | 1,75 | 1,85 |
| 22.30 | 5204 | ნორვეგია-ესპანეთი | 1,8 | 1,8 |
| 22.30 | 5205 | თურქეთი-ლატვია | 2,0 | 1,6 |
| 23.30 | 5206 | ჰოლანდია-შოტლანდია | 2,0 | 1,6 |
| 23.30 | 5207 | უელსი-რუსეთი | 1,8 | 1,8 |
| 01.45 | 5208 | ეკვადორი-პერუ | 1,85 | 1,75 |
| 03.05 | 5209 | ბრაზილია-ურუგვაი | 2,1 | 1,55 |
| 06.05 | 5210 | კოლუმბია-არგენტინა | 1,85 | 1,75 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 ნოემბერი | | | | | | |
| 03.00 | 5001 | ვენესუელა-ბოლივია | 2,15 | 2.2 | 4,8 | 1,08 | 1,48 | 1,5 |
| 06.05 | 5002 | ჩილე-პარაგვაი | 2.4 | 2.1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| | | 19 ნოემბერი | | | | | | |
| 20.30 | 5003 | სლოვენია-ხორვატია | 2.9 | 2.05 | 3,4 | 1.2 | 1,56 | 1,27 |
| 22.30 | 5004 | ნორვეგია-ესპანეთი | 4,2 | 2,05 | 2,45 | 1,37 | 1,54 | 1,11 |
| 22.30 | 5005 | თურქეთი-ლატვია | 1.4 | 3.4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 23.30 | 5006 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1.4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 23.30 | 5007 | უელსი-რუსეთი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1.18 | 1,55 | 1,29 |
| 01.45 | 5008 | ეკვადორი-პერუ | 2,2 | 2,15 | 4,8 | 1,08 | 1,5 | 1,48 |
| 03.05 | 5009 | ბრაზილია-ურუგვაი | 1.55 | 2,9 | 7,5 | 1,01 | 1,28 | 2,09 |
| 06.05 | 5010 | კოლუმბია-არგენტინა | 4,6 | 2.2 | 2,2 | 1.48 | 1,48 | 1,1 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 22.11 16.30 | 5601 | ინგლისი პლ (XIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 22.11 18.30 | 5602 | გერმანია ბლ (XIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 22.11 21.00 | 5603 | იტალია A (X) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 22.11 22.30 | 5604 | ესპანეთი Iლ (XII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 21.11 23.30 | 5605 | საფრანგეთი Iლ (XIV) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 21.11 23.00 | 5607 | ჰოლანდია Iლ (XII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 21.11 23.30 | 5608 | ბელგია Iლ (XIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 03.00 | 5101 | ვენესუელა-ბოლივია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 06.05 | 5102 | ჩილე-პარაგვაი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| | | 19 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 20.30 | 5103 | სლოვენია-ხორვატია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 22.30 | 5104 | ნორვეგია-ესპანეთი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 22.30 | 5105 | თურქეთი-ლატვია | 1,4 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 23.30 | 5106 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 23.30 | 5107 | უელსი-რუსეთი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 01.45 | 5108 | ეკვადორი-პერუ | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 03.05 | 5109 | ბრაზილია-ურუგვაი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 15,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 06.05 | 5110 | კოლუმბია-არგენტინა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2.5 |

ფეხბურთი

## მეორე ეტაპზე გაიმარჯვეს

1 ადგილი - გია ვეშაპიძე

2 ადგილი - ალექსანდრე ნუცუბიძე

3 ადგილი - დიმიტრი ეღენტი

გამარჯვებულები გამოცხადდნენ გაზეთის რედაქციაში პარასკევს, 21 ნოემბერს, 17 საათზე

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ.№37 .
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე" „ფორტე 4 "
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური № 18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"
6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"
8. მეტრო „ახმეტელი" „ფორტე 7"
9. მეტრო „ღრმაღელე" „პლანეტის" ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური № 17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური № 16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური № 15
13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თ[illegible]ეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)

ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობ[illegible]ა მეტროში

## III ეტაპის XI ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | ნინიაშვილი ვაჟა ანდროს ძე | 39 |
| 2-3 | რურუა ჟიულენ ჟანის ძე | 37 |
| 2-3 | სალინაძე გულადი ვარლამის ძე | 37 |
| 4-6 | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 36 |
| 4-6 | ჩანქსელიანი დავით ბორისის ძე | 36 |
| 4-6 | ქიქინაძე გოჩა ოთარის ძე | 36 |
| 7-8 | გოგოლაძე გიორგი ჯამბულის ძე | 34 |
| 7-8 | მეზურნიშვილი დავით გივის ძე | 34 |
| 9-10 | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე | 33 |
| 9-10 | ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე | 33 |
| 11 | ოსიაშვილი ამირან ილიას ძე | 32 |
| 12-17 | გულუა კახაბერ არველოდის ძე | 31 |
| 12-17 | გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე | 31 |
| 12-17 | ვერმიშევი სიმონ გრიგოლის ძე | 31 |
| 12-17 | კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე | 31 |
| 12-17 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 31 |
| 12-17 | ქანტურია სოსო კობას ძე | 31 |
| 18 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე | 30 |
| 19-25 | ალექპეროვი ჰუსეინ საბინის ძე | 29 |
| 19-25 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე | 29 |
| 19-25 | გვინჩიძე გურამ ვალერის ძე | 29 |
| 19-25 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 29 |
| 19-25 | იოსელიანი ლევან ვახტანგის ძე | 29 |
| 19-25 | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 29 |
| 19-25 | ძნელაძე თეიმურაზ კამოს ძე | 29 |

შედეგების გაპროტესტება შეიძლება 24 ნოემბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში, აბლაძის 39ა, მე-3 სართული (გარდა პარასკევისა და კვირისა)

## საქართველოს პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004"

III ეტაპი, XII ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი

რჩება კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 18.11.03

შტამპის ადგილი

III ეტაპი, XII ტური

ჩაბარების ბოლო ვადაა 18.11.03

სახელი, მამის სახელი, გვარი

მისამართი

საკონტაქტო ტელეფონი

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 19.11 | ნიდერლანდები - შოტლანდია | | 23.30 | 19.11 | ნიდერლანდები - შოტლანდია | |
| 20.30 | 19.11 | სლოვენია - ხორვატია | | 20.30 | 19.11 | სლოვენია - ხორვატია | |
| 23.30 | 19.11 | უელსი - რუსეთი | | 23.30 | 19.11 | უელსი - რუსეთი | |
| 20.30 | 19.11 | თურქეთი - ლატვია | | 20.30 | 19.11 | თურქეთი - ლატვია | |
| 22.30 | 19.11 | ნორვეგია - ესპანეთი | | 22.30 | 19.11 | ნორვეგია - ესპანეთი | |
| 23.45 | 19.11 | ესპანეთი - შვეცია (21წ) | | 23.45 | 19.11 | ესპანეთი - შვეცია (21წ) | |
| 19.30 | 19.11 | ჩეხეთი - შვეიცარია(21წ) | | 19.30 | 19.11 | ჩეხეთი - შვეიცარია(21წ) | |
| 24.00 | 19.11 | იტალია - დანია(21წ) | | 24.00 | 19.11 | იტალია - დანია(21წ) | |

III ეტაპი, XII ტური

III ეტაპი, XII ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 19.11 | ნიდერლანდები - შოტლანდია | | 23.30 | 19.11 | ნიდერლანდები - შოტლანდია | |
| 20.30 | 19.11 | სლოვენია - ხორვატია | | 20.30 | 19.11 | სლოვენია - ხორვატია | |
| 23.30 | 19.11 | უელსი - რუსეთი | | 23.30 | 19.11 | უელსი - რუსეთი | |
| 20.30 | 19.11 | თურქეთი - ლატვია | | 20.30 | 19.11 | თურქეთი - ლატვია | |
| 22.30 | 19.11 | ნორვეგია - ესპანეთი | | 22.30 | 19.11 | ნორვეგია - ესპანეთი | |
| 23.45 | 19.11 | ესპანეთი - შვეცია (21წ) | | 23.45 | 19.11 | ესპანეთი - შვეცია (21წ) | |
| 19.30 | 19.11 | ჩეხეთი - შვეიცარია(21წ) | | 19.30 | 19.11 | ჩეხეთი - შვეიცარია(21წ) | |
| 24.00 | 19.11 | იტალია - დანია(21წ) | | 24.00 | 19.11 | იტალია - დანია(21წ) | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 19 ნოემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 19 ნოემბერს)

## მესამე ეტაპი. მდგომარეობა თერთმეტი ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები)

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 288(41-28-43-33-23-38-44-44-37-41-18) |
| 2 | ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე | 283(36-23-41-39-21-44-25-38-41-44-23) |
| 3 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე | 279(41-31-33-31-16-49-41-43-33-39-26) |
| 4 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე | 275(36-28-41-36-20-36-31-44-41-41-29) |
| 5 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე | 272(36-36-41-38-26-36-34-47-34-38-30) |
| 6 | ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე | 266(44-31-36-28-18-0-31-41-42-41-23) |
| 7 | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე | 265(44-25-41-36-15-41-28-36-34-33-33) |
| 8 | გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე | 264(41-26-44-28-10-36-36-38-31-38-21) |
| 9 | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 263(28-23-23-37-33-41-31-40-43-33-36) |
| 10 | კერესელიძე იური პეტრეს ძე | 261(36-15-34-23-5-42-28-46-31-44-26) |
| 11-12 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 260(46-28-35-28-30-35-31-38-39-36-31) |
| 11-12 | სოლოღაშვილი თეიმურაზ შოთას ძე | 260(31-20-41-42-23-38-34-35-34-36-24) |
| 13 | ხუროშვილი გიორგი გელას ძე | 258(28-30-39-31-18-41-42-30-36-39-21) |
| 14 | ქანტურია სოსო კობას ძე | 257(36-0-36-20-0-31-52-33-31-38-31) |
| 15-17 | ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე | 256(33-20-30-28-18-41-33-41-34-44-18) |
| 15-17 | ნინიაშვილი ვაჟა ანდროს ძე | 256(39-10-23-31-23-44-34-33-36-31-39) |
| 15-17 | ნიკლაური მაია ინგურის ას | 256(39-33-36-33-26-38-34-36-37-36-18) |
| 18 | გვინჩიძე გურამ ვალერის ძე | 255(36-28-33-33-18-38-39-40-36-33-29) |
| 19-20 | მირიანაშვილი მიხეილ გიორგის ძე | 254(28-20-38-31-18-44-0-46-31-36-20) |
| 19-20 | ეღენტი დიმიტრი გიორგის ძე | 254(42-33-44-26-28-38-28-30-34-33-26) |
| 21 | სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე | 253(31-23-33-42-15-36-21-36-42-33-0) |
| 22 | სანიკიძე დავით შოთას ძე | 252(31-33-25-33-18-44-28-44-39-28-23) |
| 23-25 | თევდორაძე ვარლამ გივის ძე | 250(33-15-26-31-10-41-29-36-39-41-0) |
| 23-25 | ფაცია გიორგი მურმანის ძე | 250(31-25-39-30-13-36-37-33-33-41-26) |
| 23-25 | ჯორბენაძე სერგი სანდროს ძე | 250(34-28-31-31-15-0-20-43-45-38-18) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# RUGBY WORLD CUP 2003

## ნახევარფინალი 15-16 ნოემბერი

## ავსტრალია 22:10 ახ. ზელანდია

15 ნოემბერი. სიდნეი. «ტელსტრა სთედიუმი»

ავსტრალია: როჯერსი, სეილორი, მორტლოკი (როფი), ფლეტლი, ტუკირი, ლარკემი, გრეგანი (კაპ); ლაიონზი, ვუ, სმიტი (კოკბეინი), შარპი (გიფინი), ჰარისონი, დარვინი (ბაქსტერი), ქენონი (პოლი), იანგი

1ლ: მორტლოკი; 1გ: ფლეტლი; 5ს: ფლეტლი

ახ. ზელანდია: მულიაინა, ჰაულეტი, მაკდონალდი, მეიჯერი, როკოკოკო, სპენსერი, მარშალი (კელეჰერი); კოლინზი (ჰოლა), მაკქოუ, რ. სორნი (კაპ), უილიამსი (ბ. სორნი), ჯეკი, სამერვილი, მეალამუ, ჰიუიტი (მიიუსი, ჰემეტი)

1ლ: რ. სორნი; 1გ: მაკდონალდი; 1ს:მაკდონალდი

მსაჯი: კრის უაიტი (ინგლისი)



ედი ჯონსი ფინალშია...



–ჯონ მიტჩელი კი ნოკაუტში

# ახალმა ზელანდიამ ბურთი დაკარგა. მპოვნელი დასაჩუქრდა

**ИГБАЛИ** და შემთხვევითობა არაფერ შუაშია. ახალი ზელანდია ასეთი თამაშით არ იმსახურებდა ფინალში გასვლას და ვერც გავიდა. სხვა საქმეა, რამდენად ლამაზად და შედეგიანად ირჯებოდნენ „შავები" წინა თამაშებში. მათ ბევრი „ნეიტრალური" ქომაგის გული მოინადირეს, მაგრამ როგორც ყოველ მსოფლიოს თასზე ხდება, გადამწყვეტ მატჩში შავ ჩრდილებს დაემსგავსნენ. ახალი ზელანდია მსოფლიოს პირველი ჩემპიონი და დანარჩენ ოთხ თასზეც უმთავრეს ფავორიტად ჩათვლილი აგერ მესამედ გავარდა ნახევარფინალიდან. შავად გათენებულ 15 ნოემბერს ამ მორაგბე ერისთვის გაიფლანგა კიდევ ოთხი წელი და კიდევ ერთი უნიჭიერესი თაობა.

ავსტრალიასთან შეკახებამდე „შავების" კაპიტანმა რუბენ სორნმა თქვა — ან ახლა ან არასდროსო, ჩვენ ყველანი თავს დავდებთო და ასეთები, თუმც თავად ისე უხეიროდ ითამაშა, როგორც მისი გუნდის წინააღმდეგ თამაშობდნენ იტალიელები, ტონგელები და გინდაც სამხრეთაფრიკელები. ერთადერთი ეპიზოდი, რომელშიც რუბენი დაღებითად შეფასდებოდა, ახალზელანდიელთა ლელო იყო, რომელიც სპენსერმა გამოაცხო და სორნმა გაიტანა. სხვა დროს კი „შავების" კაპიტანიცა და მისი თანამორკინალეებიც ძირითადად იჩაგრებოდნენ ოდნავ მძიმე ავსტრალიელებთან.

ვერც ახალზელანდიური ხაზი ჭრიდა და კერავდა, თავისებურად. იმ ლელოს თუ არ ჩავთვლით, ჯადოსპენსერიც იმ გუნდის ერთი მეთხუთმეტედი იყო, რომლის თამაში თავიდანვე გაშიფრა მეტოქემ.

სპენსერმა წააგო პირადი დუელი ოპონენტ სტივ ლარკემთან. ხოლო კიდევ უფრო აშკარა იყო მწვრთნელებში ავსტრალიელი ედი ჯონსის გამარჯვება ჯონ მიტჩელზე.

ეშმაკმა ედიმ სწორად შეურჩია ტაქტიკა თავის მუშა და პრაგმატულ გუნდს, უფრო სწორად ახალ ზელანდიას მოარგო უღელი. „ვოლაბები" მაქსიმალურად უმალავდნენ ბურთს „შავ" მფრინავებს და გაქანების საშუალებას არ აძლევდნენ. ამიტომაც, როცა ახალზელანდიელებმა პირველი ბომბი დაუკიდეს 22-მეტრიან მოედანში, ავსტრალიელებმა ყოველგვარი პანიკის გარეშე უპასუხეს. არც აუტში გადაუგდიათ ბურთი და მით უმეტეს, არც ზურგში დაუბრუნებიათ ფეხით, ადგნენ და ხელდახელ იწყეს ამოტანა. ცხადია, ამ დროს არც ახალზელანდიელებს ეძინათ და ბურთიანი „ვოლაბები" მთლად თავისუფლად ვერ დაშლიგინობდნენ, მაგრამ გაცილებით ჯანიანი და მუშა შერკინების ხარჯზე ისინი მაქსიმალურად დიდხანს ინარჩუნებდნენ ბურთს და რამდენჯერმე შეტევაში ათ ფაზაზე მეტი გადააბეს.

მთლად უბურთოდ არც ახალი ზელანდია დარჩა და „შავებმა" როგორც სჩვევიათ, იმ თამაშშიც სცადეს შეტევაში გაბატონება, მაგრამ ავსტრალია დაცვაშიც ყოჩაღად იდგა. თანაც ყველაზე მასირებულ შეტევაში თავად სპენსერმა გააფუჭა ყველაფერი. მისიანებს მეტოქე ლელოსთან მიემწყვდიათ და ჰა-ჰა ერთი მარჯვე გაჭრით თავისას მიაღწევდნენ, რომ სპენსერის უხეირო პასი ტრავმამორჩენილმა ოზმა სტირლინგ მორტლიკმა ჩაჭრა და ფეთიანივით მოუსვა მოედნის საპირისპირო ლელოსკენ. ვინაიდან ახალზელანდიელები უკლებლივ შეტევაში დაბანდებულიყვნენ, მორტლოკმა 90 მეტრზე მეტი ისე ირბინა, გზად არავინ გადაჰყრია. მატჩი სულ 9 წუთის დაწყებული იყო და 7:0 დაწინაურებულმა ავსტრალიამ მთელი თამაში მარჯვედ გამოიყენა უპირატესობა. მოგვიანებით სპენსერმა და რუბენ სორნმა ერთი ლელო კი გამოაცხვეს, მაგრამ ის თამაში ახალმა ზელანდიამ ტაქტიკურად და მორალურად მანამდე წააგო და ფავორიტთა ცუდად შრომამ ვერც მეორე ტაიმში მოიტანა შედეგი.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ინგლისი 24:7 საფრანგეთი

16 ნოემბერი. სიდნეი. «ტელსტრა სთედიუმი»

ინგლისი: ლუსი, რობინსონი, გრინვუდი, ქეთი (ტინდალი), კოენი, უილკინსონი, დოუსონი (ბრაქენი); დალალიო, ბეკი, ჰილი, კეი, ჯონსონი (კაპ), ვიკერი,ტომპსონი (ვესტი), ვუდმენი (ლეონარდი)

5ს: უილკინსონი; 3ა: უილკინსონი

საფრანგეთი: ბრუსკე, რუჟერი, მარში, ჟოზიონი, დომინისი (პოიტრინუ), მიშალაკი (მერსერონი), გალტიე; არინორდოკი, მანი, ბესენი (ლაბიტი), ტიონი, პელუ, მარკონე, იბანესი, კრენკა (მილუ)

1ლ: ბესენი; 1გ: მიშალაკი

მსაჯი: პადი ობრაიენი (ახალი ზელანდია)

# მამლებმა თავიც დაკარგეს და მეთაურიც



ჯონი უილკინსონმა ფრანგები დაამამათა

**КОНСЕРВАТОРИ** ინგლისელები არაფრისდიდებით არ შეეხებიან ისეთ „სიწმინდეებს", როგორებიცაა დედოფალი და ჰიმნი, მაგრამ ამ სარაგბო ისტერიაში მათ როგორღაც მაინც შეცვალეს ერთიც და მეორეც. ნახევარფინალამდე ისინი ლამის ლოცულობდნენ და „ღმერთო, დაიფარე დედოფალი!" — ამ სიტყვების ნაცვლად ამბობდნენ — „ღმერთო, დაიფარე უილკინსონი!" სარაგბო განგებამაც დაიფარა „ვარდების" უანდერბიჭუნა და მისმა ინგლისმა მისი წყალობით ნახევარფინალში ისტორიული მოძულე საფრანგეთი დაამარცხა. „მამლებს" გამგმირავი ოცდაოთხივე ქულა უილკინსონის აქტივშია.

ახლა სრულიად ინგლისში საერთო სახალხო ზეიმია. „ჩვენ ჩემპიონები ვართ!", „დიდების დღეც დაგვიდგა!", „ავსტრალიას უნდა გადავუაროთ!", „ვუდვორდი და უილკინსონი გმირები არიან" — ასეთი სათაურებით აჭრელდა ინგლისური პრესა და ვაი „ვარდებს", თუ ფინალში ავსტრალიას ვერ მოუგეს.

ნამატჩევს ინგლისელთა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა ეს თქვა: „ექვსი კვირის წინ რომ გეკითხათ, როგორი უნდა ყოფილიყო „ოცნების ფინალი", გეტყოდით — ავსტრალია VS ინგლისი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ ისტორიულ მატჩში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ვიქნები."

ახლა ფრანგების ვიკითხოთ. ჰქონდათ თუ არა გამარჯვების შანსი? თან ჰქონდათ, თან არა. ჰქონდათ, მატჩი ახალდაწყებული რომ იყო. აღარ ჰქონდათ, როცა პირველი ტაიმის ბოლოსკენ აიჭრნენ, თამაში მიატოვეს და ლამის ყოველ ზედახორაში მუხთალი წიხლაობა გამართეს. მაგრამ ამით ინგლისს ვერ მოუგებ. ყველა „სიკეთესთან" ერთად ვერც ფრანგთა ათიანმა და ტურნირის ბომბარდირმა ფრედერიკ მიშალაკმა ივარგა, რომელმაც არაერთი იოლი ჯარიმა აცილა და სულ ცოტა 9 ქულა აჩუქა მეტოქეს. არადა, ბედასლ ნახევარფინალამდე პრესამ, ფრანგულმაც და არაფრანგულმაც ცაში აიყვანა ყვინჩილა გამთამაშებელი. უილკინსონის მყოლი ინგლისელებიც აღიარებდნენ, რომ მიშალაკი ამ თასზე ყველაზე სრული 10 ნომერიაო, ყველაფერი თანაბრად კარგად ეხერხებაო.

ფრანგებს თამაში რომ არ გამოუვიდათ, უხეშობაში გამოავლინეს თავი და აკი ორჯერ დარჩნენ უმცირესობაში. ჯერ კრისტოფ დომინისი გააძევეს ათი წუთით, რაკი ამან თავისზე ლამის ორჯერ მაღალ მარტინ ჯონსონს თამაშგარე ძიძგილაობისას თვალში თითი ატაკა, მერე კი ჯეისონ რობინსონი რომ ვერ გააჩერა, ფეხით მოცელა. ხოლო მატჩის ბოლოსკენ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით შავ მოთამაშეს სერჟ ბესენსაც შეხვდა ყვითელი ბარათი. ბესენი ჩვეულებისამებრ დაშვებული და დაუშვებელი ხერხებით ნადირობდა უილკინსონზე და ერთხელ ლამის წელშიც გადაამტვრია. ამის მნახველ კლაივ ვუდვორდს ლამის გული გაუჩერდა მაგრამ ჯონი მშვიდობით გადაურჩა სახიფათო ბოჭვას და ვუდვორდთან ერთად ამოისუნთქა სრულიად ინგლისმა. საეთოდაც, ფრანგთა მესამეხაზელები ბესენი, არინორდოკი და მანი მატჩამდეც იმუქრებოდნენ, ჩვენი გრძელი ხელებით უილკინსონს მოვახრჩობთო. შედეგი სახეზეა: ჯონიმ 5 ჯარიმა და 3 მკვლელი არეკნი აჯახა „კეთილ" მეზობლებს.

„როგორ გითხრათ... მარტო მე არ ვარ გმირი. გმირია ყველა ჩემი თანაგუნდელი, რომლებმაც კბილებით დაიცვეს ჩვენი ღირსება და ნაღდ ომში გაიმარჯვეს. თქვენ არ იცით, რა ხდებოდა ნებისმიერი კონტაქტისას მეტოქესთან და მცირედ ზედახორაშიც კი... იქ თავის შეყოფას არავის ვურჩევ. ფრანგებმა ბოლომდე იბრძოლეს, ოღონდ ეს ჩვენი დღე იყო" — ეს ჯონი უილკინსონის კომენტარია.

მატჩის შემდეგ კიდევ ერთი დიდი მორაგბე გამოეთხოვა ნაკრებს — ფრანგთა ლეგენდა ფაბიენ გალტიე. 35 წლის გალტიე 17 წლიდან თამაშობს ნაკრებში და „მამლებს" 64 კაპით ემშვიდობება — „ცხადია, გულდაწყვეტილი მივდივარ, ტირილიც მინდა, რომ ყელში ბურთივით გაჩხერილი ეს წყეული იმედგაცრუება გადმოვაფრქვიო-რას იზამ, ყველა ვერ წავა დიდებით. მაგრამ თავი არ დამიზოგავს და მგონი, ამაზე მეტი დიდება არ არსებობს"

**ბაჩო სვანიძე**

# 2 ცქიტიშვილი ფაჩულია სტეფანია

14 ნოემბერი

**დინვერი 106:101 ორლანდო**

**დინვერი:** მილერი (27), ბერი (6), ენტონი (17), ილარიო (14), კემბი (6); ბოიკინსი (27), ელსონი (4), ლენარდი, ანდერსენი (3), ცქიტიშვილი (5 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა), ბოუენი

**ორლანდო:** ლუ (13), მაკგრეიდი (51), გუდენი (10), ჰოვარდი (6), პანტერი (6); ბოგანსი (5), ჰარვი (4), ფაჩულია (13 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), დეკლერკი (2), უილიამსი (2), გეინისი

15 ნოემბერი

**კლიპერსი 95:92 ორლანდო**

**კლიპერსი:** რიჩარდსონი (31), დულინი, მეჯიტი (17), ვილკოქსი (10), დრობნიაკი; იარიჩი (15), კამანი (8), ელი, მაუსი (12), სიმონსი (2)

**ორლანდო:** ლუ (18), მაკგრეიდი (19), ბოგანსი (12), გუდენი (8), პანტერი (8); ჰოვარდი (22), გეინესი (2), ჰარვი (1), ფაჩულია (2 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა), დეკლერკი

**ნიუ ორლეანი 101:79 პორტლენდი**

**ნიუ ორლეანი:** ბ. დევისი (23), ვესლი (16), ბრაუნი (4), ლინჩი (7), მალუა (12); არმსტრონგი (20), სმიტი (13), ტრეილორი, ვესტი (4), რუქსი (2), დრიუ

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (14), ველსი (19), ვოლესი (19), რენდოლფი (13), დ. დევისი (4); მაკინისი (5), ვუდსი, სტეფანია (8 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება), კეროლი (2), ბუთლორ (1)

ახალი თაობის ორ ყველაზე წარმატებულ ქართველ კალათბურთელს ნიკა ცქიტიშვილსა და ზაზა ფაჩულიას ერთმანეთი ორი წელი არ ენახათ. „ცქიტომ" და ზაზამ ბოლოს 2001 წლის 2 სექტემბერს თბილისში აზერბაიჯანელების წინააღმდეგ რომ ითამაშეს ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის დასკვნით მატჩში, მას შემდეგ ერთმანეთს პირველად დენვერში შეხვდნენ გასულ პარასკევს. ფაჩულიას „ორლანდო მეჯიქი" ცქიტიშვილის „დენვერ ნაგიტსს" შეხვდა და საამსეზონოდ გასამართი 8 „ქართული დერბიდან" ეს გახლდათ ჩვენებურთა პირველი შერკინება.

ძველი მეგობრები მოედანზე მცირე ხნით, მაგრამ მაინც გადაეყარნენ ერთმანეთს. ცუდი კი ის გახლავთ, რომ ფაჩულიასაც და ცქიტიშვილსაც მწვრთნელები ნაკლებად ენდობიან და ორივეს მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევთ ჯდომა.

არადა, სწორედ „ორლანდოსთან" მატჩამდე თქვა დენვერელთა მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა, ცქიტიშვილს თავის გამოჩენის საშუალებას უთუოდ მივცემ, მისი შემტევი პოტენციალი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთო. ტყუილი გამოდგა... ბზდელიკმა „ცქიტო" მხოლოდ 5 წუთით გაიყვანა მოედანზე და ჩვენებურმა ოდენ ორი საჯარიმოს მითვლა მოახერხა.

ფაჩულიამ შედარებით მეტი, 13 წუთი ითამაშა, მაგრამ დიდი სარგებელი არც მას უნახავს. ზაზა პირველი მეოთხედის მე-8 წუთზე მონდომებით ჩაერთო თამაშში, ტრეისი მაკგრეიდის პასით პირველივე სროლა ჩააგდო, მაგრამ შემდეგ მიზანი წაუხდა და მომდევნო 6 ორქულიანიდან ყველა გაუცუდდა.

თითქოს ბედის ირონია იყო, „ორლანდომ" და „დენვერმა" მეორე მეოთხედში ერთდროულად მოახდინეს შეცვლები, რის შედეგადაც მოედნიდან ფაჩულია გავიდა, ცქიტიშვილი კი შევიდა. ქართველები ფიცარნაგზე მაინც შეხვდნენ ერთმანეთს, მესამე მეოთხედის დასრულებამდე 11 წუთით ადრე ნიკა ისევ ჩაერთო თამაშში და წუთნახევარი ფაჩულიასთან ერთად დასვდევდა ბურთს.

უშუალოდ მატჩზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა, ?,ას



ტრეისი მაკგრეიდმა სულ ტყუილად ჩაუგდო „დენვერს" 51 ქულა



ვლადიმერ სტეფანიამ ნიუორლეანელ შონ რუქსს თავზე კაუჭი გადაატარა

ხომ ორივე გუნდისთვის გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა. „დენვერს" ორლანდოელებთან 1996 წლის 12 მატჩის შემდეგ არ ემარჯვა, ფლორიდელებს კი მიჯრით წაგებული 8 საამსეზონო მარცხი აწვათ ზურგზე.

გააფთრებით დაიწყო თამაში ორლანდოელთა ყოჩმა ტრეისი მაკგრეიდმა, რომელსაც საბოლოოდ 51 ქულა მოიხვეჭა, მაგრამ თავისი გუნდი მაინც ვერ იხსნა მორიგი მარცხისგან. მან გასაოცარი შედეგიანობა გამოავლინა და 11 სამქულიანიდან 8 ჩააგდო, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი სამიანი ააცილა. თამაშის დასრულებამდე წამებით ადრე მაკგრეიდის ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ჯუჯა ერლ ბოიკინსმა ორლანდიელთა ლიდერს ენერგიულად უფათურა ცხვირწინ ხელები და გადამწყვეტი სროლა გააცუდებინა.

„არაფერს ვიშურებდი, რომ მაკგრეიდიზე ზეწოლა მომეხდინა. ის დღეს დიდებულად ესროდა და არც მეგონა, რომ ასეთ მნიშვნელოვან სროლას გააფუჭებდა, მაგრამ ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დასრულდა" — თქვა ნამატჩევს ბოიკინსმა, რომელმაც მაკგრეიდის ის აცილებული მოიხელთა, ორ ქულად აქცია და დენვერელებს გამარჯვება დაუბევა.

„დენვერმა" მოგებებს გემო გაუგო და ასეთ ვითარებაში თამაშის სულ უფრო მცირე შანსი აქვს ცქიტიშვილს, „ნაგიტსი" უმისოდაც იგებს. წინა სეზონში კლუბის შეფებმა იცოდნენ, რომ ბაჭაჭყანებით შორს ვერ წავიდოდნენ და ახალბედა ცქიტიშვილიც, ასე თუ ისე, გაჰყავდათ ხოლმე მოედანზე. დღეს კი სხვა ვითარებაა. დენვერელებმა რამდენიმე გამოცდილი და ერთიც ყოჩალი ახალბედა კალათბურთელი შეიმატეს და ახლა მათთვის შედეგი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, დავუშვათ, ჯერაც ნედლი ცქიტიშვილის ხელებში ყურება, ვნახოთ ერთი, როდის ათამაშდებაო.

ცქიტიშვილის ავანჩავანი თუ უკვე შეისწავლეს დენვერელებმა, ფაჩულია ორლანდოელთათვის ჯერაც უცხო ხილია. ზაზა თითქმის ყოველ მატჩში შეჰყავთ მოედანზე, მაგრამ ყოველთვის მცირე ხნით. კვირას „ორლანდო" „კლიპერსთანაც" დამარცხდა, ათიდან ცხრა წაგება დაუგროვდა და მაჩანჩალის სტატუსსაც დამსახურებულად ატარებს. „ორლანდო" ახლა დაახლოებით ისეთივე უსუსურია, როგორიც წინა სეზონში „დენვერი" იყო, მაგრამ დოკ რივერსი ბზდელიკზე გაცილებით ამბიციური მწვრთნელია და ახალბედებს ნებაზე არ მიუშვებს, აქაოდა, მაინც ვაგებ, ითამაშონ ბიჭბუჭებმაო. „კლიპერსთან" ფაჩულიამ სამადლო 2 წუთი ითამაშა და სამი ორქულიანიდან ერთი ჩააგდო.

მესამე ქართველზეც ვთქვათ, რომელიც, თვისტომთა დარად და ტრადიციულად სათამაშო წუთების ნაკლებობას უჩივის. ვლადიმერ სტეფანიას თანდათან უმკვიდრდება ღრმა სათადარიგოს სახელი, შაბათს ის 8 წუთი ათამაშეს „ნიუ ორლეანთან" და ნიკას და ზაზას მსგავსად ვოვამაც 2 ქულა ჩააგდო.

# ლებრონმა აივერსონი იყნესა
## ბოში ბოვში არ გეგონოთ...

14 ნოემბერი

**ბოსტონი 91:82 კლივლენდი**

**მაიამი 105:101 ვაშინგტონი**

ძირითადი დრო 93:93

**ფილადელფია 100:96 სან ანტონიო**

**ჰიუსტონი 90:85 ფინიქსი**

**გოლდენ სტეიტი 98:104 კლიპერსი**

**ნიუ ჯერსი 85:80 ნიუ იორკი**

**ინდიანა 101:78 სიეტლი**

**მინესოტა 77:85 იუტა**

**საკრამენტო 94:64 ტორონტო**

**ლეიკერსი 94:89 დეტროიტი**

15 ნოემბერი

**ვაშინგტონი 71:95 სან ანტონიო**

**ნიუ იორკი 94:95 ინდიანა**

**ნიუ ორლეანი 101:79 პორტლენდი**

**ჩიკაგო 90:98 სიეტლი**

**ფინიქსი 91:100 დეტროიტი**

**ატლანტა 85:100 ნიუ ჯერსი**

**კლივლენდი 91:88 ფილადელფია**

ძირითადი დრო 82:82

**მემფისი 108:101 დალასი**

ძირითადი დრო 95:95

**მილუოკი 100:95 იუტა**

16 ნოემბერი

**ტორონტო 101:97 ჰიუსტონი**

ძირითადი დრო 83:83

**ლეიკერსი 99:77 მაიამი**

**საკრამენტო 106:104 გოლდენ სტეიტი**

თამაშებით გადატვირთულ უქმეებზე საინტერესო ბევრი მოხდა. ჩვენ შედარებით დამაინტრიგებელი და დაძაბული მატჩები გამოვარჩიოთ.

ოროვერტაიმიან უდრამატულეს ჯახს უმასპინძლა მოყინულმა ტორონტომ, სადაც სეზონის რიხით დამწყები „ჰიუსტონი" ჩასულიყო თავის წოწოლა იაო მინგით. კანადურ გუნდს ერთი-ორი საამაყო გამარჯვება კი უჭყავის საამსეზონო თამასაში, მაგრამ ვინს კარტერის ამქარი ხანდახან ისე უიმედოდ აგებს, რომ საკუთარ ანტირეკორდებს მიყოლებით აახლებს. ერთადერთი ხსნა „მფრინავ კარტერშია". თუ ის არაა ჯანზე, ტორონტოელები წასაგებად არიან განწირულნი.

თუმც ეს მატჩი ხომ სწორედ განსაკუთრებული მოვლენის გამო გამოვარჩიეთ, ჰოდა, მთავარი ინტრიგაც ის გახლავთ, რომ კარტერმა „ჰიუსტონთან" ბევრი-ბევრი საშუალოდ ითამაშა, მაგრამ „ტორონტომ" მაინც იმარჯვა. მატჩის გმირი გახდა წლევანდელი დრაფტის მე-4 ნომერი, აქამდე ჩრდილში მყოფი კრის ბოში, ვინც ნბა-ში თავისი პირველი სამქულიანით ოვერტაიმში გადაიყვანა თამაში და საბოლოოდ გაამარჯვებინა კიდეც ტორონტოელებს.

ოვერტაიმი იყო მემფისშიც და იქაურმა „დათვებმა" ამ სეზონში უკვე მესამე ვეშაპი დაბარჯეს. მემფისში ქედმოხრილ „ლეიკერსსა" „სან ანტონიოს" შაბათს „დალასიც" შეუერთდა. არადა, ტეხასელებმა სული ოდნავ მოითქვეს, როცა თითქმის წაგებული მატჩის ბოლო წამზე ანტუან უოლკერმა უშორესი სამიანი ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.

„უოლკერმა ლამის ჩიკაგოდან ჩაგვიგდო ის სამქულიანი — გაოცებას ვერ მალავდა მემფისელთა მწვრთნელი ჰუბი ბრაუნი — ეს საოცარი სროლა იყო. მიკვირს, ამის შემდეგ როგორ მოვახერხეთ საღ აზრზე მოსვლა."

და ერთ ოვერტაიმიან ჯაზზეც, რომელშიც ასევე აუტსაიდერმა იმარჯვა შედარებით სახელიან მეტოქესთან ჭიდილში. „კლივლენდს" „ფილადელფიასთან" ბოლო 16 შეხვედრა წაეგო და შაბათს ეს სამარცხვინო სერია შეწყვიტა ლიტველი ჟიდრუნას ილგაუსკასისა და, რა თქმა უნდა, ვუნდერბალღის ლებრონ ჯეიმსის დახმარებით.

ბალტიელმა გოლიათმა 28 ქულა მიითვალა, თუმც ამაზე მეტად ლებრონომანიით „დასნებოვნებულ" კლივლენდელ ფანებს ჯეიმსის 22-ქულიანი ბოგინი აღაფრთოვანებდათ, თანაც „დრაფტის მეფემ" ოვერტაიმის ბოლო წამზე უსათუთესად დაუფარა ფილადელფიელთა ახალბედა კაილი კორვერს, რომელიც მეორე ექსტრახუთწუთეულის მონადირებას ლამობდა.

„ფილადელფიელებმა აივერსონი სატყუარად გამოიყენეს, მაგრამ ფეხი არ ჩაუვიდათ — ამბობდა ლებრონი — ყველაფერს მივხვდი და კორვერს ჩავუსაფრდი, დანარჩენი კი ტექნიკის საქმელა იყო."

**ირაკლი პირტაია**

## ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

14 ნოემბერი

**ვაშინგტონი 2:5 ტამპა**
*0:2 2:3 0:0*

**ბუფალო 1:2 პიტსბურგი**
*0:0 1:0 0:1 0:1*

**კოლუმბუსი 0:4 ბოსტონი**
*0:4 0:0 0:0*

**ჩიკაგო 3:4 დეტროიტი**
*1:1 0:1 2:1 0:1*

**დალასი 3:3 ფინიქსი**
*0:0 1:1 2:2 0:0*

15 ნოემბერი

**კოლორადო 3:0 დალასი**
*1:0 2:0 0:0*

**ნიუ ჯერსი 5:0 რეინჯერსი**
*1:0 3:0 1:0*

**ლოს ანჯელესი 0:1 სენტ ლუისი**
*0:1 0:0 0:0*

**ბოსტონი 2:1 ვანკუვერი**
*0:1 1:0 0:0 1:0*

**კაროლინა 1:2 ვაშინგტონი**
*0:0 1:1 0:1*

**ოტავა 2:3 მონრეალი**
*1:2 1:0 0:1*

**ფილადელფია 4:0 ატლანტა**
*0:0 0:0 4:0*

**პიტსბურგი 1:3 ფლორიდა**
*0:1 0:2 2:0*

**მინესოტა 1:1 დეტროიტი**
*0:0 1:0 0:1 0:0*

**ნეშვილი 4:3 აილენდერსი**
*1:0 2:1 1:2*

**ედმონტონი 2:1 კალგარი**
*1:0 0:1 0:0 1:0*

**სან ხოსე 2:2 ტორონტო**
*0:0 0:2 2:0 0:0*

16 ნოემბერი

**ატლანტა 5:2 ფლორიდა**
*1:0 1:0 3:2*

**კოლუმბუსი 2:2 ფინიქსი**
*0:2 1:0 1:0 0:0*

**ჩიკაგო 2:2 რეინჯერსი**
*1:0 0:1 1:1 0:0*

**ანაჰაიმი 4:3 სენტ ლუისი**
*2:2 1:1 1:0*

# ამერიკა ცარიელია, მიზეზი შვეიცარიელია



როჯერ ფედერერი

## მასტერსთასი

ჰიუსტონი. მაგარსაფარი

საპრიზო 3,7 მილიონი $

პარასკევი. 14 ნოემბერი

### წითელი ჯგუფი

**ენდი როდიკი (1, აშშ) — გილერმო კორია (4, არგენტინა) 6:3, 6:7 (7:3), 6:3; კარლოს მოია (7, ესპანეთი) — რაინერ შუტლერი (6, გერმანია) 7:5, 6:4**

| | | | |
|---|---|---|---|
| შუტლერი | 2:1 | 4:4 | 43:42 |
| როდიკი | 2:1 | 5:4 | 51:42 |
| კორია | 1:2 | 4:4 | 36:39 |
| მოია | 1:2 | 3:4 | 29:36 |

### ლურჯი ჯგუფი

**როჯერ ფედერერი (3, შვეიცარია) — ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 6:3, 6:1**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფედერერი | 3:0 | 6:1 | 43:23 |
| აგასი | 2:1 | 5:4 | 46:48 |
| ნალბანდიანი | 1:2 | 3:4 | 31:32 |
| ფერერო | 0:3 | 1:6 | 21:38 |

ჯგუფური ეტაპის ბოლო სამი მატჩიდან პრინციპული მნიშვნელობა მხოლოდ ერთს, როდიკისა და კორიას შეხლას ჰქონდა — აქ მეოთხე სანახევარფინალო საგზურის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ამიტომაც, ორ დანარჩენ შეხვედრასთან შედარებით, რომელთაც ერთობ ცალკორტად და ულიმღამოდ ჩაიარეს, ეს მატჩი დაძაბული და აიწონა-დაიწონა გამოდგა.

ამქრის უსტაბაშმა უკანასკნელ ოთხეულში მხოლოდ ძალთა უკიდურესი მობილიზების შედეგად გააღწია. ყველაფერი მესამე სეტში, კორიას მოწოდებაზე მოთავდა, როცა როდიკმა 0:40-დან გამოძრომა და მეტოქისთვის გეიმის წართმევა შეძლო.

### ნახევარფინალი

**ფედერერი — როდიკი 7:6 (7:2), 6:2; აგასი — შუტლერი 5:7, 6:0, 6:4**

მთელი ამერიკა ენდი როდიკისა და ანდრე აგასის საარაკო ფინალის მოლოდინში იყო, მაგრამ მასპინძელთა სეზონდამაგვირგვინებელი ოცნებების წინაშე როჯერ ფედერერის უდახვეწილესად მოჩოგნავე ფიგურა აღიმართა.

არამხიარული როჯერი ენდიბოისთვის ნიადაგ უხერხული მეტოქე გახლდათ — მონრეალის წლევანდელ მასტერსნახევარფინალამდე ისინი ერთმანეთს ოთხჯერ შეხვედრონენ და ოთხჯერვე შვეიცარიელს მოეგო. ნავსის გატეხვა როდიკმა სწორედ მონრეალში შეძლო — უჩაუქეს ფორმაში მყოფმა, ეგებ თქვენც გახსოვდეთ, მაშინ მიჯრით იმარჯვა კანადურ და ცინცინატურ მასტერსტურნირებზე და წარმატებულ სერიას მერე აშშ-ის ღია პირველობაც მიაბა.

მაგრამ ჰიუსტონში ენდი აშკარად არ ჩანდა ტიტულის მომგები. მძიმე სეზონით გადაღლილობის ბრალი იყო თუ იმისა, რომ ამქრის პირველოსნობაგანაღდებულს ბრძოლის იშტა გაძნელდა, მაგრამ ფაქტია — ის უკვე აღარ ჰგავდა იმ მოუწყვლელ იანკის, ვინაც ზაფხულ-შემოდგომის მიჯნაზე ყველას ერთი ჩოგნით გადაალაჯა.

როჯერი კი პირუკუ, ჰიუსტონში ფორმის პიკზე ჩავიდა, კარიერის პირველი გამარჯვებები იზეიმა აქამდე მის ხუთგზის მძლეველ დავიდ ნალბანდიანსა და მასთან პირველად დაპირისპირებულ ანდრე აგასიზე და მერე დაუნდობლად გაუსწორდა ხუან კარლოს ფერეროსაც. რაც მთავარია, მან ეს ყველაფერი ისე ნატიფად, მრავალფეროვნად და უზადოდ შეასრულა, რომ ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი — აქ მას ველარავინ გააჩერდა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ენდიბოის გაიმასქნებას როჯერმა მხოლოდ 62 წუთი მოანდომა. ეს მათი მეექვსე მატჩი იყო და ფედერერი უკვე 5:1 იგებს.

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალურ განდაგანას, მასში მილეთმა ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ფინალური შეხლის რემატჩი იხილა. მართალია, იმ ფინალისგან განსხვავებით თავის პირველ მასტერსთასზე მობურთავე შუტლერმა მეტოქეს შეუდარებლად დიდი წინაალმდეგობა გაუწია, მაგრამ უფრო ჩუბინი და უფრო შენახული მაინც 33 წლისა და 6 თვის ფაკირი აღმოჩნდა. „შენახული", რადგანაც, თუკი ჰიუსტონობა გერმანელისთვის 28-ე (!) საამსეზონო ტურნირი იყო, აგასი წლეულს თავის მხოლოდ მე-19 ტურნირზე გამოდიოდა.

### ფინალი

**ფედერერი — აგასი 6:3, 6:0, 6:4**

მრავალჩოგნა ღმერთკაცივით მოშუშპრავე როჯერს ვერც აგასის მიერ წლეულს გამოზოგილი ენერგია დაუდგა და ვერც მისი ათას კორტზე შეძენილი გამოცდილება. ანდრემ ისიც ვერ მოახერხა, 9 წლით უმცროს მეტოქეს მათი ჯგუფური მატჩის დარად გასძალიანებოდა და ერთი სეტი მაინც მოეგო.

არმენოამერიკელს ვერც ორსაათნახევრიანმა „საწვიმარმა" პაუზამ უშველა (რამაც შეხვედრა 6:3, 2:0-ზე შეწყვიტა) და ვერც ადგილობრივთა შლეგურმა მხარდაჭერამ — თავის მეშვიდე საამსეზონო და მეთერთმეტე საკარიერო ტიტულზე მონადირე ფედერერი სრულიად უნაკლო და შემზარავად ულმობელი იყო.

შედეგად, ის გახდა პირველი შვეიცარიელი, წლის შემაჯამებელი ტურნირის მოგება რომ შეძლო. მის დარად შვიდი ტიტული წლეულს სხვას არავის მოუნაგრავს, ისევე როგორც სხვა ვერავინ მოიძევს ამ სეზონის განმავლობაში 78 გამარჯვებას, რაიც მან მხოლოდ 17 მარცხის წილ მოაქუჩა.

ხოლო ჰიუსტონში საპრიზოდ ნარგებმა 1,52 მილიონმა დოლარმა მისი საამსეზონო ჭირნახული ასევე ამ სეზონისთვის სარეკორდო თანხამდე, 4 მილიონ 680 დოლარამდე აიყვანა.

ტურნირის 1990 წლის გამარჯვებული და უკვე მეოთხე ფინალში მოდრეკილი აგასი კი თავს 700 ათას დოლართან ერთად კიდევ იმითაც ინუგეშებს, რომ მასზე ბებერს წლის ჩამამთავრებელი შეჯიბრის ფინალში 1978 წლის მერე აღარ უთამაშია. იმ წელს ნიუიორკულ მასტერსფინალში გარჯილი არტურეში მასზე ზუსტად ორი წლით უფროსი ყოფილა.

**ლევან ძელაურაძე**



# ირაკლი ლაბაძე ჩელენჯერია

**ირაკლი ლაბაძემ** დნეპროპეტროვსკში ჭერქვეშა ჰარდზე გამართულ ტურნირზე თავისი მესამე საამსეზონო ჩელენჯერტიტული მოიპოვა. პირველ წრეში მან მსოფლიო რეიტინგსიის 42-ე საფეხურზე მდგომ რუს მიხაილ იუჟნის აჯობა 6:2, 6:4, მეორეში — იტალიელ ვინჩენცო სანტოპადრეს 6:4, 6:3, მეოთხედფინალში ვეება ხორვატ ივო კარლოვიჩს გაუმკლავდა 6:2, 2:1 (კარლოვიჩმა მატჩი შეწყვიტა), ნახევარფინალში რუმინელ ანდრეი პაველს 6:3, 7:6 (7:5), ხოლო გადამწყვეტ მატჩში ისრაელელ ჰარელ ლევის მოერია 6:3, 3:6, 6:1. რაკილა ეს ჩელენჯერტურნირი იყო, ლაბაძეს საჩემპიონთარბოლო ქულები არ დარიცხვია და რბოლა მან 110-ე ადგილზე გაასრულა. შეგახსენებთ, რომ ქართველმა მეჩოგნემ წლეულს კიდევ სენჟანდელუსა და კიევის ჩელენჯერტურნირებზეც იმარჯვა.



# ქართველებმა ბოლო შანსი დაიტოვეს

**გასულ** უქმეებზე კანადაურ ვანკუვერში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი უქართველებოდ და დიდი სკანდალით დაიწყო. უკვე პირველი მედლებიც გათამაშდა და ოლიმპიური საგზურების კანდიდატებიც გამოიკვეთნენ. სპორტის სხვა სახეობათაგან განსხვავებით, შტანგისტებს ლიცენზიის აღება მხოლოდ ორი ტურნირით, მსოფლიოსა და ევროპის თითო ჩემპიონატით შეუძლიათ. ათენში წამსვლელთა 80 პროცენტზე მეტი ვანკუვერშივე გაირკვა ან გაირკვევა, დანარჩენი იღბლიანი კი აპრილში უკრაინაში ევროპის პირველობაზე გამოვლინდება.

სიდნეის ოლიმპიადაზე საქართველო სამი ძალოსნით გამოვიდა. ათენში კი ჩვენებურ ძალოსანთა რაოდენობა ორ კაცს ვერ ასცდება. ამისთვის ევროპაზე გუნდურ ჩათვლაში პირველ-მეორე ადგილზე გასვლა იქნება აუცილებელი. კანადაში ამდენივე საგზურს ოცდამეხუთე-ოცდამერვე ადგილები იძლევა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართული გუნდის წაუსვლელობის მიზეზი, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით გავარკვიეთ. ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი კი ალბათ ისაა, რომ რამდენიმე ძირითადი სპორტსმენი, მათ შორის გიორგი ასანიძე, ტრავმების გამო ჩვეულ ფორმაში ჯერაც არ ჩამდგარა, ხოლო ახალგაზრდებით გამოსვლას, როგორც ჩანს, ხელმძღვანელებმა ევროპის ჩემპიონატისთვის შინაურ კედლებში მომზადება არჩიეს. კანადაში მხოლოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია გაფრინდა.

რაც შეეხება უშუალოდ მსოფლიოს ჩემპიონატს და სკანდალს, გუნდური პირველობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტსა და ექვსივე ლიცენზიაზე მეცადინე ბულგარეთის ნაკრებს, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ მძიმე დარტყმა მიაყენა. სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი გალაბინ ბოევსკი (69კგ) და მსოფლიოს ჩემპიონები — გეორგი მაკაროვი (77კგ) და ზლატან ვანევი (85კგ) დოპინგ-კონტროლზე ჩავარდნენ. აღსანიშნავია, რომ დისკვალიფიკაცია მათ არა აკრძალული პრეპარატების მიღებისთვის, არამედ კონტროლგასავლელი შარდის ჩუმად შეცვლისთვის მისცეს.

IWF-ის თავკაცების მკაცრ განცხადებებს ბულგართა ძალოსნობის ფედერაციის შეფმა საპროტესტო წერილით უპასუხა, ხოლო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ სულაც ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან ერთად როგთან აფრინა ნოტა. საერთაშორისო ფედერაცია გამოძიების დასრულებამდე გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. სამი ბულგარელი ჩემპიონისთვის კანადური ტურნირი უკვე დამთავრებულია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**56 კგ**

1 ვუ მეთინი (ჩინეთი) — 287,5 (127,5+160)
2 ადრიან ჟიგაუ (რუმინეთი) — 280 (125+155)
3 სედათ ართუჩი (თურქეთი) — 277,5 (125+152,5)

**62 კგ**

1 ჰალილ მუტლუ (თურქეთი) — 322,5 (147,5+175)
2 ჩიუნ ში (ჩინეთი) — 317,5 (147,5+170)
3 გენადი ოლიშჩუკი (ბელარუსი) — 317,5 (142,5+175)

**69 კგ**

1 ბუჩენ ჩანგი (ჩინეთი) — 345 (152,5+192,5)
2 ვლადისლავ ლუკანინი (რუსეთი) — 340 (147,5+192,5)
3 ბაი-იუნგ ლი (კორეა) — 340 (150+190)


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge